პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 69. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღ. მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ. საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 20 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ბევრჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— სამხრეთ - სლავიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი.
— ბარსელონაში მოელიან საერთო გაფიცვას.
— სტუდენტების დემონსტრაცია კალკუტაში.
— რეფორმისტების სასტიკი დამარცხება საფრანგეთის რკინიგზის საბჭოს არჩევნებში.
— ბელორუსელ პოლიტიკურ მოღვაწეთა დაპატიმრება ვილნოში.
— სტუდენტების დაპატიმრება ბუქარესტში.
— პუანკარეს ფინანსიური პროგრამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 5 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 30 (2073)

საქართველოს კომპარტიის (ბ)
მეხუთე მოწვევის
ცენტრალური კომიტეტის მეორე
პლენუმი
ს. კ. პ. (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტების
მდივნებთან ერთად
შესდგება 10 თებერვალს საღ. 6 საათ. სასახლის წითელ დარბაზში
ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხ. კახიანი

კომუნისტი
გრძელდება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

დრო ცოტა დარჩა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცირკულიარის თანახმად სახალხო მსაჯულთა არჩევნები უნდა მოხდეს საბჭოებისა და დეპუტატების მიერ ამომრჩევლების წინაშე საანგარიშო კამპანიის ჩატარებასთან ერთად.

სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა სასამართლოს ერთ-ერთი განმასხვავებელი თვისებაა. სახალხო მსაჯულთა საშუალებით საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოები მჭიდრო კავშირს ამყარებენ მშრომელ მასებთან. ეს კი ერთი იმ მთავარი პირობათაგანია, ურომლისოდაც წარმოუდგენელია საბჭოთა აპარატის წარმატებითი მუშაობა. ამასთან ერთად სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი იმის ზედმეტ გარანტიას წარმოადგენს, რომ ჩვენი სასამართლოს ორგანოები უფრო სწორად, უფრო განუხრელად დაიცავენ მუშებისა და ღარიბ გლეხების ინტერესებს. ამასთან ერთად სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი მშრომელთა საუკეთესო სკოლას წარმოადგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ მუშაობის დარგში.

აქედან აშკარაა, რამდენათ ყურადღებით და ფრთხილად უნდა მიუდგენ ადგილობრივი ორგანოები სახალხო მსაჯულთა არჩევნების საქმეს. აქ საჭიროა მთელ რიგ პირობების დაცვა, რომელნიც გარკვევით არის ნაჩვენები სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ცირკულიარულ წერილში.

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება სახალხო მსაჯულთა არჩევნების დროს, ეს ისაა, რომ მტკიცედ იქნას დაცული სოციალური შემადგენლობის შეფარდება, რომელსაც იძლევა ცაკის ცირკულიარული წერილი. ამ წერილის თანახმად სახალხო მსაჯულებათ შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ მუშები, გლეხები, წითელ-არმიელები და საბჭოთა მოსამსახურენი. არც ერთ არამშრომელ ელემენტს, არც ერთ მუქთახორას, რომელიც მოკლებულია საარჩევნო უფლებას, ადგილი არა აქვს სახალხო მსაჯულთა შორის. ეს მტკიცეთ უნდა ახსოვდეს ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს.

ამასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კანდიდატის არა მარტო სოციალური მდგომარეობა, არამედ მისი ზნეობრივი ყოფა-ქცევაც. ვისაც თავისი ანტისაზოგადოებრივი მოქმედებით დაუკარგავს ნდობა მშრომელ მასებს შორის. ვისაც შეუბღალავს საბჭოთა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციის ავტორიტეტი, ის თავისთავად ცხადია, ვერ გამოდგება სხვის მსაჯულის როლში საბჭოთა სასამართლოს მაღალი პრესტიჟის დაცვისა და საქმეების სწორათ გადაწყვეტის აუცილებლობა ჩვენ მოვალედ გვხდის თავი შევიკავოთ ასეთი ელემენტების სახალხო მსაჯულებათ არჩევისაგან. ცაკის ცირკულიარულ წერილში ამის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „სახალხო მსაჯულებათ შეიძლება არჩეულ იქნან მუშები, მშრომელი გლეხები, წითელ-არმიელები და საბჭოთა მოსამსახურენი, გარდა იმ პირთა: ა) „ვინც გამორიცხულია საზოგადოებრივ და პროფესიონალური ორგანიზაციიდან სახელის შემბღალავი მოქმედებისა და ყოფაქცევისათვის და ბ) ვინც სასამართლოს მიერ გამტყუნებულია სახელშემბღალავი დანაშაულის ჩადენისათვის“.

ამავე დროს სახალხო მსაჯულთა არჩევნებში არ უნდა დარჩეს ადგილი იმ არასაჩვეულო მდგომარეობას, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ბევრ სხვა არჩევნების დროს: ესაა ერთგვარი უყურადღებობა ქალთა წამოყენებისადმი საკანდიდატო სიაში სასამართლოს მუშაობაში ქალთა მონაწილეობას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს. სასამართლოში ხშირად ისეთი საკითხები ირჩევა, რომელთა გადაწყვეტაშიაც ქალთა მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გამოცდილებამ არა ერთხელ ცხადჰყო ეს.

სახალხო მსაჯულთა არჩევნების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობაც. ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს დაახლოებისათვის ყველა ეროვნებათა მშრომელ მასებთან. ამიტომ ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესები სავსებით უნდა იქნას გათვალისწინებული არჩევნების დროს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად სახალხო მსაჯულთა არჩევნების მთელი საორგანიზაციო და მოსამზადებელი მუშაობა უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე. ამრიგად დრო არც თუ ისე დიდი დარჩენილა. ადგილობრივი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ და ენერგიულად უნდა შეუდგნენ საქმეს.

სოფლად მუშაობის ამოცანები და საბჭოები

პარტია უშუალოდ შეუდგა სოციალისტურ ამოცანების განხორციელებას სოფლად. ამაში მდგომარეობს მთავარი აზრი საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობის დადგენილებისა სოფლად მუშაობის შესახებ.

პარტიის და სახელმწიფოს ყველა ღონისძიება, რომელთაც აყენებს რეზოლიუცია, დასახულია სოფლად სოციალისტურ ელემენტების ყოველმხრივ განვითარების თვალსაზრისით. სოფელი სოციალიზმისაკენ მიდის **საბჭოების და კოოპერაციის საშუალებით.**

პროლეტარულ სახელმწიფოს პოლიტიკის უშუალო გამტარებლები სოფლად არიან საბჭოები,—ამიტომ სახელმწიფოს მიერ დასახულ ღონისძიებების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ენერგიულად და გულდასმით შეუდგებიან ჩვენი სასოფლო საბჭოები სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის იმ რთული და ძნელი ამოცანების გადაჭრას, რომლებიც სდგას მათ წინაშე.

ახლანდელ პირობებში საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა უდიდეს მნიშვნელობას ღებულობს, ვინაიდან საბჭოების გამოცოცხლება ნიშნავს მათი მუშაობის იმნაირად მოწყობას, როცა „საბჭოები (მათი სექციები და კომისიები) თანდათან გადაიქცევიან სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრების მომწესრიგებელ ცენტრად, მმართვა-გამგეობის სკოლად, ღარიბ და საშუალო გლეხთა ახალ კადრების დაწინაურების იარაღად და სხვ.“. (რეზოლიუციიდან „სოფლად მუშაობის შესახებ“). მხოლოდ საბჭოების შემდგომი გამოცოცხლების და განმტკიცების პირობებში შესძლებენ ისინი იმ უმნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრას, რომლებიც ამჟამად წამოყენებულია მათ წინაშე.

ჩვენი სათემო საბჭოების ორგანიზაციის და მუშაობის გაუმჯობესების საქმეში ჩვენ შედარებით დიდი მიღწევები გვაქვს: ამომრჩეველთა აქტიობის ზრდა, საბჭოების სხდომებზე დეპუტატების დასწრების პროცენტის გადიდება, პლენუმთა მუშაობის შინაარსის გაუმჯობესება, სექციების (კომისიების) მოწყობა და მათი მუშაობა, საბჭოების წევრების ნაწილობრივ ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში და სხვ.

„ჩვენ ვიცით“,—ამბობს ამხ. მოლოტოვი თავის მოხსენებაში, „რომ ჩვენ ჯერ საბჭოების გამოცოცხლების საკითხს ხშირად ჩინოვნიკურად უდგებიან.

ეს განსაკუთრებით ითქმის იმ შემთხვევაში, როცა საბჭოების გამოცოცხლება გამოიხატება ყოველგვარ სხდომების გადიდებაში ან მრავალრიცხოვან და ტრაფარეტულ რეზოლიუციების გამოტანაში საბჭოების გამოცოცხლების გარშემო. ყველაფერი ეს არის საბჭოების გამოცოცხლების საქმისადმი ჩინოვნიკური მიდგომა. ჩვენთვის კი საჭიროა საბჭოების ისეთი გამოცოცხლება, რომ პარტიის გარშემო, მუშათა კლასის გარშემო დარაზმულ იქნეს გაცილებით უფრო ძლიერი უპარტიო გლეხთა აქტივი მოჯამაგირეებისა და ღარიბ და საშუალო გლეხებისაგან. აი საბჭოების როგორი გამოცოცხლება გვჭირდება ჩვენ. აი რას ქვია საბჭოების ნამდვილი გამოცოცხლება“.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომა არსებობს ჩვენშიაც. შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი ფაქტი როცა საბჭოები თუმცა რეგულიარულად მართავენ სხდომებს და ამ სხდომებზე ირჩევა სოფლისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. მაგრამ არ ხდება ამ საკითხების სერიოზულად გადაჭრა ან მიღებულ გადაწყვეტილებას არავინ ასრულებს.

შეგვიძლია მოვიყვანოთ ფაქტები, როცა საბჭოებში, „როგორც წესი და რიგია“, მოწყობილია ყველა სექცია, მაგრამ ისინი არაფერს არ აკეთებენ ან მათი დადგენილება მხოლოდ კეთილ სურვილად რჩება.

ქაღალდზე, წარმოდგენილ ანგარიშების მიხედვით, სხდომების საკმაო რაოდენობაც არის გატარებული, საქმიანი საკითხებიც გაირჩა. სექციებიც მოწყობილია—არის გარეგნული გამოცოცხლება, განმტკიცება, ყოველგვარი კეთილდღეობა. ხოლო სინამდვილეში კი არის მხოლოდ ცარიელი ადგილი.

ჩვენი სათემო საბჭოების მუშაობაში ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სათემო საბჭოებს ჯერ კიდევ არ მოუკიდიათ ხელი სერიოზულად სოფლის სამეურნეო-საზოგადოებრივ საკითხებისათვის, ისინი (საბჭოები) აქამდის უმთავრესად ადმინისტრატიულ ორგანოებად დარჩნენ.

საბჭოების გამოცოცხლების საქმეში ამჟამად ჩვენ ძირითად ამოცანას წარმოადგენს მათი მუშაობის იმნაირად მოწყობა, რომ ისინი გადაიქცნენ სოფლის მთელი პოლიტიკური, კულტურული, სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრების ნამდვილ ცენტრად.

სათემო საბჭო უნდა გახდეს სოფლის ყველა ორგანიზაციის (სკოლა, სამკითხველო, კოოპერატივი, კოლექტიური მეურნეობა, სამანქანო ამხანაგობა, აგრო-პუნქტი, გლეხკომი, ნებაყოფლობით საზოგადოების უჯრედი და სხვ.) ნამდვილ ხელმძღვანელად და პროლეტარულ სახელმწიფოს **ყველა წამოწყების** (მიწათ-მოწყობა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხი, აპარატის რაციონალიზაცია და სხვ.) გამტარებლად.

სოფლის საბჭოების მუშაობას აქვს კიდევ მეორე არსებითი ნაკლი, რომელიც პირველის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს. ეს ნაკლია სექციების მუშაობა. სექციების გარშემო ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართე აქტივის დარაზმვის საქმე ჯერ ვერ არის საკმაოდ მტკიცე ნიადაგზე დაყენებული.

ამიტომ „განვავრძობთ რა საბჭოების, როგორც მშრომელ გლეხობის ფართე მასების პოლიტიკურად აღმზრდელ ცენტრების, გამოცოცხლების პოლიტიკას. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ უპარტიო ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის შექმნას და გაფართოებას, უნდა გავაძლიეროთ მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების ჩაბმა ამ აქტივში“ (რეზოლიუციიდან „სოფლად მუშაობის შესახებ“).

ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა თემსაბჭოების სექციების (კომისიების) სწორი ორგანიზაცია და მათი მუშაობის დაყენების გაუმჯობესება. სექციების მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ გლეხები და გლეხ-ქალები. მოჯამაგირეების და მოჯამაგირე ქალების და სოფლის მშრომელი ინტელიგენციის ფართე მასები და ყველა საკითხები, რომლებიც შედის საბჭოების განმგებლობაში, ყველა ღონისძიებები, რომელთაც ახორციელებს საბჭო, წინასწარ უნდა იქნეს განხილული და დამუშავებული საბჭოებში.

რა ძირითადი ამოცანების გადაჭრისაკენ უნდა იქნეს მიმართული სასოფლო საბჭოების ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა?

1. სოფლის საწარმოო ძალების გადიდება და გლეხთა ფართე მასების კეთილდღეობის ზრდა (სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მაშინიზაცია, მიწათმოწყობა და სხვ.)

2. ინდივიდუალურ კერძო მეურნეობიდან თანდათანობით გადასვლა მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე (კოოპერაცია, კოლექტიური მეურნეობანი. სამანქანო ამხანაგობანი და სხვ).

3. სასოფლო -სამეურნეო ბურჟუაზიის ექსპლოატატორული მისწრაფებათა შემდგომი შეზღუდვა (საგადასახადო პოლიტიკა, დაქირავებულ შრომის დაცვა, იჯარა და სხვ.)

4. კულტურის ზრდა (საყოველთაო სავალდებულო სწავლება, ღარიბ გლეხთა ბავშვებისათვის სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, პროფტექნიკურ სკოლების ქსელის გაფართოება და სხვ.)

ყველა ღონისძიება, რომლებიც დასახულია საკავშირო კომპარტიის მიერ მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის, კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობათა აღმშენებლობის, გადასახადებით დაბეგვრის, დაქირავებული შრომის დაცვის, კულტურულ აღმშენებლობის და სხვ. დარგებში, ყველა ეს ღონისძიება მიმართულია ზემოდ აღნიშნულ ძირითად ამოცანების გადაჭრისაკენ. ამ ღონისძიებათა განხორციელებაში უშუალო აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდენ საბჭოები თავისი უფლებების, შესაძლებლობათა და ტერიტორიის ფარგლებში. ეს არის აუცილებელი პირობა ხსენებულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

თემსაბჭოების მუშაობის ხელმძღვანელობა ამჟამად სწორედ ამ ხაზით უნდა იქნეს მიმართული.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ზოგიერთი სამაზრო აღმასკომები უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს თემსაბჭოების მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეს. არის ამის დამამტკიცებელი ფაქტები. გარდა ამისა, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებამ ძლიერი გავლენა იქონია სამაზრო აღმასკომების აპარატზე (საორგანიზაციო განყოფილებები), რომელიც ხელმძღვანელობს თემსაბჭოების მუშაობას. გავლენა იქონია ამ აპარატის შესუსტების მხრივ.

ზოგიერთ მაზრაში საორგანიზაციო განყოფილებები ფაქტიურად გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს თემსაბჭოების მუშაობაზე. საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ასეთი მოვლენების წინააღმდეგ.

უშუალო პრაქტიკული დასკვნები, რომლებიც ჩვენ საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობის დადგენილების შედეგათ უნდა გამოვიყვანოთ ჩვენს მუშაობაში თემსაბჭოების საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის,—არის შემდეგი:

1. უნდა მოვახდინოთ ჩვენი სათემო საბჭოების მდგომარეობის და მუშაობის გენერალური გადათვალიერება.

2. ჯამი უნდა გაუკეთოთ საბჭოების გამოცოცხლებისათვის ჩატარებულ მუშაობაში შეძენილ უდიდეს გამოცდილებას და გამოვიყენოთ ის მუშაობის ფორმების გარკვეულად ჩამოყალიბების და გაუმჯობესების მიზნით.

3. [illegible] უნდა გაუკეთდეს [illegible] თუ რა მდგომარეობაშია თემსაბჭოების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმე.

4. უნდა გავაძლიეროთ საბჭოების ყურადღება იმ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ამოცანების გადაჭრის დარგში, რომლებიც პარტიამ წამოაყენა სოფლად მუშაობის სფეროში.

5. ფართოდ უნდა დავრაზმოთ ქვედა საფეხურის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების აზრი საბჭოების შემდგომი გამოცოცხლების საკითხების გარშემო.

„ამჟამად საბჭოების წინაშე იხსნება მათი განვითარების ახალი ხანა“. (ამხ. მოლოტოვი) საბჭოები, რომლებიც თავისი არსებობის პირველ პერიოდში წარმოადგენდენ ხელისუფლების დაპყრობის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოებს. ხოლო შემდგომ პერიოდში —მეურნეობის აღდგენის ორგანოებს, ეს საბჭოები ამჟამად უნდა გახდენ სოფლად სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორებად და მთელი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნის ორგანოებათ.

შ. მათიკაშვილი.

დიპლომატიური კამათი

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხი ხელახლა დღის წესრიგში დასვა შტრეზემანის სიტყვამ და საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის პასუხმა. არა გვგონია, რომ ამ ლაპარაკს „გაეფანტა ის გაუგებრობა, რომელიც ორსავე ქვეყანას შორის არსებობს“, როგორც ამბობენ ხოლმე თავაზიანი დიპლომატიური ენით.

უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, ის უფრო პაექრობას შეავდა, რომელშიაც გამოსჭვიოდა იმედის გაცრუება, გაღიზიანება და იმ ჩიხის შეგნება, სადაც ორივე მოპირდაპირე მომწყვდეული.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ბრიანი და შტრეზემანი ერთად საუზმობდნენ ტუარიში, მაგრამ ის საკითხი, რომელთა გადაჭრასაც ისინი ტუარიში ვარაუდობდნენ, ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ. ერთიცა და მეორე მხარეც ამას ნათლად გრძნობს.

ბრიანიცა და შტრეზემანიც წარმომადგენლები არიან იმ მოქნილი და ფრთხილი იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომელიც აბრეშუმს ნიღაბის ჩამოფარებას პაციფისტური სიტყვებით, რომელიც უმჯობესად სცნობს დრომდე ერიდოს პროვოკაციულ სამტრო საქციელს და ითამაშოს იმ წყლულეთა განმკურნებლის როლი, რომლებიც კაცობრიობას მსოფლიო ომმა მიაყენა.

ტუარიში გადაკვრით იყო ლაპარაკი ახეთ „კონსტრუქტიულ“ ევროპიულ-კონტინენტალურ პოლიტიკაზე: საფრანგეთს ხელი უნდა აეღო რეინის ოკუპაციაზე, სამაგიეროდ მის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო გერმანიის სარეპარაციო ვალდებულებათა განსაზღვრული ნაწილის დაუყოვნებლივი მობილიზაცია. ამგვარად, საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობაში უნდა გამორკვეულიყო ყველაზე უფრო მტკივნეული იარა, ხოლო ორივე ქვეყნის მძიმე მრეწველობის შორის ეკონომიური ხასიათის შეთანხმებას უნდა მოეწესრიგებინა დანარჩენი საკითხებიც. შესაძლებელი ხდებოდა დაახლოება და, იქნებ, კავშირიც კი გუშინდელ დაუძინებელ მტერთა შორის. მაგრამ კავშირი ვის წინააღმდეგ? ამის შესახებ დიპლომატთა სამყაროში ლაპარაკი მიღებული არაა იქ აქსიომად არის აღიარებული, რომ ყოველი კავშირი იკვრება „ერთა კეთილდღეობისათვის“ და „ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად“.

მაგრამ ტუარიში ანგარიში პატრონის დაუსწრებლად შეადგინეს. გამოჩნდნენ ძალები, რომელთათვისაც ხელსაყრელი არ იყო, რომ საფრანგეთს რეინის ოლქის ევაკუაციისათვის ფინანსიური უპირატესობა მიეღო და ამავე დროს ინგლისისა და ამერიკის მიმართ თავისი საკუთარი ვალები არ მოეწესრიგებინა. გამოჩნდნენ სახელმწიფოები, რომლებსაც სრულებითაც არ ეპიტნავებოდათ ძლიერი კონტინენტალური ბლოკის შექმნა, რომლის ბაზისად იქნებოდა საფრანგეთის და გერმანიის მძიმე მრეწველობის შეთანხმება. გამოჩნდნენ თვითეული ქვეყნის შინაური ძალებიც, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ ამ გეგმას; ესენი არიან: საფრანგეთის სამხედრო წრეები და ნაციონალური ბლოკის ის წრეები, რომელთაც ყველაზე მეტად ეშინიათ, რომ გერმანიას კისრიდან მოხსნან რეინის ოკუპაციის მძიმე უღელი, აგრეთვე გერმანიის მემარჯვენენი, რომელნიც რევანშისათვის აშკარად ოცნებობენ.

ტუარიში ნავარაუდევი პროექტები მიერშა ჩამოეკიდა. უფრო მეტი: შინაურმა პოლიტიკურმა მოსაზრებამ აიძულა ბრიანიცა და შტრეზემანიც, რომ მთელი თავისი ძალით ცდილიყვნენ დაემტკიცებინათ მემარჯვენე მეგობრებისათვის თავისი კეთილსაიმედობა, ე. ი. რაც შეიძლება მეტი ჯიუტობა და მტკიცე კილო გამოეჩინათ.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია უკანასკნელი დიალოგი. შტრეზემანის გამოსვლა ძალიან მოიწონეს ნაციონალისტებმა. გაზეთმა „დერ ტაგ“-მა მას „ლოკარნოს გეგმის ხმილერა“ უწოდა. გაზეთი მიესალმა შტრეზემანის სიტყვას, როგორც იმ შეცდომის აღიარებას, ვითომც საფრანგეთის პოლიტიკა დაფუძნებული იყოს კეთილშობილებასა, დიდსულოვნებასა და სოლიდარობის გრძნობაზე, მაშინ როდესაც ეს პოლიტიკა ნამდვილად დაფუძნებულია იმაზე, რომ ებღაუჭება პარაგრაფების წვრილმანებს, იჩენს ჯიბრსა და ფულისას. გაზეთი ელის მარრიგ აღიარებას, რომ საფრანგეთთან შეთანხმება საერთოდ შეუძლებელია; იგი ფიქრობს, რომ სწორედ მაშინ გაიხსნება გერმანიის ნაყოფიერი საგარეო პოლიტიკის გზა. ნაციონალისტების ორატორმა ფრეიტაგ - ლორინჰოვენმა კონკრეტიზაცია გაუკეთა ამ სურვილებს, ხაზგასმით ხსენა მუსოლინისთან დაახლოება და საფრანგეთის საწინააღმდეგო ბლოკის შექმნა. თუმცა შტრეზემანი თავის მეორე გამოსვლაში გაემიჯნა ნაციონალისტებისაგან, მაგრამ ეს გამიჯვნა საკმაოდ რბილი და ფრთხილი იყო.

სამაგიეროდ ერთმა მისმა ახლო თანამშრომელმა დეპუტატმა რეინბაბენმა განავითარა გერმანიის ნეოიმპერიალიზმის ფართო პროგრამა. მან გამოსთქვა ის, რაც უკვე იყო და კვლავაც იქნება ტუარის პოლიტიკის დაბრკოლებად, სახელდობრ: გაძლიერებულ გერმანიას, აღორძინების გზაზე შემდგარი იმპერიალიზმის გერმანიას არ სურს შეურიგდეს თავის აღმოსავლეთის საზღვრებს, არ სურს ხელი აიღოს ავსტრიასთან შეერთების გეგმაზე და არ აპირებს უკან წაიღოს თავისი მოთხოვნილება პოლიტიკური და სამხედრო თანასწორობის შესახებ. რაც უფრო მეტად გრძნობს გერმანიის ბურჟუაზია ეკონომიური ძლიერების დაბრუნებას, მით უფრო იზრდება გერმანიის ბურჟუაზიის მოუთმენლობა.

თანდათან სუსტდება მისი უნარი, რომ შეჰყროსლი გაიღოს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებისათვის; ბურჟუაზიული კოალიციური მთავრობის შენარჩუნებისა და იქ ნაციონალისტების მყვიდრად ყოფნის სურვილი აიძულებს შტრეზემანს და საერთოდ სახალხო პარტიას, რომ საგარეო პოლიტიკაში უფრო ხშირად მტკიცე კილოთი ილაპარაკონ.

მართალია, ამ გამოსვლებში ბევრი რამ უნდა მივაწეროთ არჩევნებისათვის სამზადისს, რომლებშიაც სახალხო პარტია უნდა შეეჯიბროს ნაციონალისტებს „პატრიოტიზმში“, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება საკმაოდ მკაფიოდ ისახება. საბოლოოდ დამარცხდა ის იდეა, რომელსაც აქამდე გერმანიის სოციალ-დემოკრატები ჩასციებოდნენ, სახელდობრ, ვითომც შტრეზემანს არ შეუძლია „შეთანხმების“ პოლიტიკა აწარმოოს მათი დაუხმარებლად. შტრეზემანმა თავის მეორე სიტყვაში აშკარად დაამტკიცა, რომ მხოლოდ, პირიქით, გაცილებით უკეთესათ საკუთარი „შეთანხმების“ პოლიტიკა აწარმოოს, თუ დრო და დრო რომელიმე ლორინჰოვენის მსგავსი ცოფმორეული ნაციონალისტი მუშტებს ქნევას დაიწყებს და საფრანგეთს მუქარას შეუთვლის.

ძნელი არ იყო ბრიანის პოლემიკის წინდაწინვე გამოცნობა. თუ შტრეზემანმა განაცხადა, რომ „შეთანხმების პოლიტიკის ყველაზე უფრო თავგამოდებულ მომხრეებს არ შეუძლიათ პასუხის გაცემა იმ საკითხზე, თუ რისთვის იმყოფებიან უცხოეთის ჯარები გერმანიაში“, სამაგიეროდ ბრიანმა გამოსთქვა რწმენა, რომ გერმანიის რეიხსტაგში გამართული კამათი საკმაო საბუთია იმისა, რომ საფრანგეთმა რეინის ოლქის ოკუპაცია „უნდა“ გააგრძელოს. ბრიანმა დაანახვა ყველას საფრანგეთის გადაწყვეტილება, რომ მას მზად უჭირავს ხიშტები გერმანიის წინააღმდეგ და შესაძლებლად ჩათვალა გაელაშქრა იმ „ქვეყნის წინააღმდეგ; რომლის სამხედრო ალიანსშიც 700.000 კაცი იღებდა მონაწილეობას“, ე. ი. იმ ერთად-ერთი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც ნამდვილ ბრძოლას აწარმოებს მშვიდობიანობისათვის. ამ გალაშქრებამ ხელი ვერ შეუშალა ბრიანს, რომ თვალთმაქცი სიტყვები წარმოეთქვა მშვიდობიანობის შესახებ და ლოკარნოსთვის სიტყვასიტყვით ეწოდებინა „საშინელი ომის პროგრამა“. ბრიანმა გამოსთქვა, რომ ლოკარნო განუყრელია ვერსალისაგან და რომ ლოკარნოს ხელშეკრულებაში იყო „დაპირებანი, მაგრამ არა მტკიცე ვალდებულებანი“ (ალბად, აქ გულისხმობს გერმანიის აღმოსავლეთ განაპირა ოლქების ბედის საკითხს); მან აღნიშნა, რომ 1935 წელს შემდეგ, როდესაც ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით ოკუპაციის ვადა თავდება, საჭიროა ზრუნვა საგანგებო მექანიზმის შექმნისათვის, რომელმაც გერმანიის სანაპირო ზონის დემილიტარიზაცია უნდა მოახდინოს.

აქ ლაპარაკია, ალბად, იმაზე, რომ ამ ზონისათვის დაწესდეს უცხოეთის მუდმივი კონტროლი, ე. ი. ლაპარაკია სწორედ იმ „ხანგრძლივ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სცილდებიან ვერსალის ხელშეკრულების ჩარჩოებს“ და რომელნიც შტრეზემანმა თავის სიტყვაში მოულოდნელად გამოაცხადა.

ასეთია ამ სიტყვიერი დუელის შინაარსი. თავისთავად ცხადია, რომ ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც დიპლომატები ლაპარაკობენ.

გაღიზიანებას და იმედის გაცრუებას დიპლომატებისათვის სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ლირიკოსი პოეტებისათვის. მწარე სიტყვები ზოგჯერ მეტად პრაქტიკული საქმის გარიგების შესავალს წარმოადგენენ. მაგრამ ობიექტური ფაქტიური მდგომარეობა თავისთავად მეტყველობს. 1870-71 წლების ომის შემდეგ ელზას-ლოთრინგის საკითხის გამო პოლიტიკური უფსკრული გაითხარა, ამ უფსკრულს დაერთო მრავალი წინააღმდეგობა, რომელიც იმპერიალიზმის ეპოქამ შექმნა. ეს კვანძი, რომელიც მთელი ომის ჯერის უნვად არის ამოვლებული საფრანგეთ-გერმანიის მუშათა და გლეხთა სისხლში, ახლა კიდევ უფრო მეტად დაიხლართა. ელზას-ლოთრინგის ერთი საკითხის მაგიერ ახლა საკითხების მთელი გროვაა. ომის შემდეგ იმპერიალისტური მეტოქეობა უფრო ულმობელად და უფრო გააფთრებით განვითარდა. ევროპის ორი უძლიერესად კულტუროსანი ერის მთავრობანი ნადირის ინსტინქტებით უთვალთვალებენ ერთიმანეთის ყოველ მოძრაობას და თან განაგრძობენ პირმოთნეობას ლაპარაკს „შეთანხმების პოლიტიკაზე“ და „ერთა მშვიდობიან თანამშრომლობის“ შესახებ.

მხოლოდ ბრმას შეუძლია ვერ დაინახოს, თუ საითკენ მიდის ეს გზა.

მაგრამ ევროპის მშრომელი მასებისათვის დღითი-დღე უფრო აშკარა ხდება საქმის ნამდვილი მდგომარეობა და უკანასკნელ სიტყვას ისინი იტყვიან.

„პრავდა“, 4 თებერვალი.

ბრიანი საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

„მე ვფიქრობ, რომ საფრანგეთისათვის არ არის სასარგებლო სისტემატიურად ეძიოს საბაბი ურთიერთობის გასაწყვეტად ისეთ დიდ ქვეყანასთან, როგორიც არის რუსეთი“.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხი დანციგის პარლამენტში

გერმანიის პრესა გერმანია-საფრანგეთის დამოკიდებულებაზე

ბრიანი საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 3 თებერვალი. თავისი გამოსვლა სენატში ბრიანმა დაამთავრა პასუხით მემარჯვენე სენატორ ქაპის ინტერპელიაციაზე.

ბრიანმა განაცხადა, რომ საერთოდ მან უკვე გააკეთა ყველა აუცილებელი ახსნაგანმარტებანი, და განაგრძო:

„ქაპი ამ ტრიბუნიდან ლაპარაკობდა რუსეთთან ურთიერთობის შესახებ. ამ ურთიერთობაზე ერთგვარი ცუდი გავლენა იქონია ინციდენტმა. რომელიც ისე დამთავრდა, როგორც თქვენ მოგეხსენებათ. ამ ინციდენტმა საშუალება მოგვცა ერთხელ კიდევ დაგვედასტურებია, რომ საფრანგეთის როლი არ მდგომარეობს იმაში. რომ იგი ჩაერიოს სხვა ქვეყნების შინაურ პოლიტიკაში. როგორიც არ უნდა იყოს ის რეჟიმი, რომელსაც ამყარებენ თავისთვის სხვადასხვა ხალხები. საფრანგეთს არ ესაჭიროება, რომ დაიწყოს ამ რეჟიმის გასწორება. ასეთ ცდებს უმრავლეს შემთხვევებში შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ გამოუსწორებელი გაუგებრობანი ხალხებს შორის.

არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ რუსეთი ჩვენი მოკავშირე იყო ომის წლებში, არც ის, რომ ბრძოლის ველზე მან დაჰკარგა ასეული ათასობით ხალხი, რომელიც იბრძოდა ჩვენი საქმისათვის. აგრეთვე არ უნდა დავივიწყოთ ხანგრძლივი მეგობრობა ჩვენს შორის. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ კონტაქტის დაკარგვა ასეთ ქვეყანასთან არ იქნებოდა ხელსაყრელი საფრანგეთისათვის. ამ ქვეყნის მთავრობასთან ჩვენ უნდა განვიხილოთ საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მე იმედი მაქვს, რომ ეს საკითხები მოწესრიგდება ჩვენს თანამემამულეთა სასარგებლოდ.

ამიტომ დავკმაყოფილდით იმით. რომ მოვაგონოთ ამ ქვეყნის წარმომადგენელს ჩვენში, რომ ის ვალდებულია დაიცვას ერთგვარი წესიერება, რომელიც საერთოა ყველა დიპლომატიურ წარმომადგენლებისათვის. აგრეთვე მოვაგონოთ მას, რომ როდესაც ჩვენ ვიცანით რუსეთის ახლანდელი რეჟიმი და აღვადგინეთ ურთიერთობა, ამას გაუკეთდა გარკვეული შენიშვნა, რომ ეს ხდება კატეგორიული პირობით, რომლის ძალით რუსეთი კისრულობს ვალდებულებას არასოდეს არ მოახდინოს საფრანგეთის შინაურ საქმეებში ჩარევის ცდა.

მე თვალყურს ვადევნებ იმას, რომ ამ პირობას პატივისცემით ეპყრობოდენ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ელჩი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა, რათა დაიკავოს თავისი პოსტი, აღფრთოვანებულია ასეთივე მისწრაფებით.

ჩვენ კიდევ საკმაო დიდი მანძილის გავლა დაგვჭირდება ერთად, რათა მოვაწესრიგოთ ის სერიოზული პრობლემები, რომლებიც ისეე სდგას ორივე ქვეყნის წინაშე. **ამიტომ ჩვენ არ უნდა გავართულოთ ჩვენი ურთიერთობა ისეთი მოქმედებით, რომლებიც გამომდინარეობს შინაურ პოლიტიკის მოსაზრებებიდან. ჩვენ სრულებით არ ვაპირებთ გადავიდეთ რუსეთში და ვიმოქმედოთ იქ ჩვენი შინაური პოლიტიკის სასარგებლოდ.**

თუ ორივე მხარე საკმაოდ განიმსჭვალება ამ რწმენით, მე დარწმუნებული ვარ, რომ ორივე ქვეყნის ურთიერთობა კარგ შედეგებს გამოიღებს. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ **საფრანგეთისათვის არ არის სასარგებლო სისტემატიურად ეძიოს საბაბი ურთიერთობის გაწყვეტისათვის ისეთ დიდ ქვეყანასთან, როგორიც არის რუსეთი**“.

ბრიანის განცხადების შემდეგ სენატორმა ქაპიმ უკან წაიღო მის მიერ წარმოდგენილი ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასვლის შესახებ (ადს).

დანციგი და საბჭოთა კავშირი

ვარშავა, 3 თებერვალი. დანციგიდან იუწყებიან, რომ სეიმში მთავრობის დეკლარაციის გარშემო გამართულ კამათის დროს პოლონელთა ფრაქციის, ნაციონალისტების და ნაციონალ-ლიბერალების წარმომადგენლებმა მოიწონეს დეკლარაციის ის ნაწილი, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირთან მეგობრულ სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობას.

პოლონელთა ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დანციგის მთავრობამ თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მომავალ მოლაპარაკების დროს მხედველობაში იქნეს მიღებული დანციგის ინტერესები, ვინაიდან საბჭოთა კავშირიდან საქონლის ტრანზიტი დანციგის კორიდორით დანციგის ვაჭრობის ზრდის მთავარ პირობას წარმოადგენს (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

პარიზი, 3 თებერვალი. საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციის გუშინდელ სხდომაზე კომინტერნის წარმომადგენელი მიესალმა კონფერენციას, რომლის გადაწყვეტილება ოპოზიციის საკითხში სავსებით ეთანხმება საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ღია წერილში გატარებულ ხაზს. ორატორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საარჩევნო კამპანიის დროს აუცილებელია „კლასი კლასის წინააღმდეგ“ ტაქტიკის წარმოება და ბრძოლა დემოკრატიული ილიუზიების წინააღმდეგ. სემარის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ცენტრალურ კომიტეტის ღია წერილის შესახებ გამოვიდნენ გრენიე, ვალტერ, ბერნარი, ბონფუსი, რაინი, კორბ, კუტიული, მარტი და სხ. კამათში გამოსულ დელეგატების საპასუხოთ, სემარმა აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანია არის მხოლოდ ერთი მხარე კომპარტიის პოლიტიკური მუშაობის. კომპარტიამ სწორი საარჩევნო ტაქტიკით უნდა დაუმტკიცოს მუშათა კლასს, რომ კომპარტია არის ერთად-ერთი მუშათა პარტია, რომელიც ცდილობს მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნას გაერთიანებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აი ამიტომ კომპარტიამ უნდა შეიტანოს საკუთარი კანდიდატი ყველა ბურჟუაზიული კანდიდატების წინააღმდეგ და აგრეთვე, როგორც საერთო წესი, სოციალისტური კანდიდატების წინააღმდეგ. რომელთაც უარყვეს კომპარტიის წინადადება მუშურ-გლეხური საარჩევნო ბლოკის შედგენის შესახებ (ადს).

პარიზი, 3 თებერვალი. საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციის უკანასკნელ დღის ირჩეოდა პარტიის საარჩევნო პროგრამა.

კონფერენციის მიერ ჩინეთის კომპარტიის სახელზე გაგზავნილ მისალმების დეპეშაში, სხვათაშორის, ნათქვამია:

„კონფერენცია ესალმება ჩინეთის კომპარტიას, რომელმაც აურაცხელ სიძნელეთა პირობებში მოახერხა კომინტერნის აღმასკომის ხელმძღვანელობით გამოესწორებინა თავისი შეცდომები და გამხდარიყო ჩინეთის მუშათა და გლეხთა ერთად-ერთ რევოლუციონურ ბელადათ. საფრანგეთის კომპარტია კისრულობს დარაზმოს საფრანგეთის პროლეტარიატი ულმობელ ბრძოლისათვის საფრანგეთის იმპერიალიზმის და მის ინტერვენციონისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში“ (ადს).

გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობის გარშემო

ბრიანის გულწრფელობა

პარიზი, 3 თებერვალი. ბრიანმა სენატში პასუხი გასცა შეკითხვებზე საგარეო პოლიტიკის შესახებ და განაცხადა, რომ მას ძლიერ აფასებს ის დიალოგი, რომელიც გაიმართა მასა და შტრეზემანს შორის.

„ჩვენსა და ჩვენ ხალხებს შორის,—სთქვა ბრიანმა,—არის გაუგებრობანი, რომელიც უნდა გაიფანტოს. ჩვენ ერთმანეთს უნდა მოუსმინოთ. შტრეზემანი ცდილობს ხელი გამოგვიწოდოს, მაგრამ არ გვაძლევს ხელს. როცა შტრეზემანი ლაპარაკობდა რეინის ოლქზე და უშიშროებაზე, მას წამოსცდა სიტყვა—პირფერობა, ის პასუხი, რომელიც შტრეზემანმა გასცა ზოგიერთ დეპუტატებს, ამართლებენ ჩვენ ზრუნვას გარანტიებზე და ნათელყოფენ იმას, რომ საფრანგეთი იძულებული იყო მოეხდინა რეინის ოლქის ოკუპაცია. სხვათა შორის, ამ ოკუპაციის ხასიათი შეიცვალა და საფრანგეთს არ შეუძლია დამოუკიდებლათ გადასწყვიტოს ოკუპაციის მოხსნა თუ მისი გაგრძელება“ (ადს).

გერმანიის პრესის გამოძახილი ბრიანის სიტყვაზე

ბერლინი, 3 თებერვალი. მთელი გერმანიის პრესა დადებითად აფასებს ბრიანის სიტყვას მხოლოდ იმ მხრივ, რომ მან დასძრა მკვდარ წერტილიდან საკითხი დაკავებულ ოლქების ევაკუაციის შესახებ. რაც შეეხება ბრიანის დამოკიდებულებას ევაკუაციის საკითხისადმი და იმ განმარტებას, რომელსაც აძლევს იგი ლოკარნოს ხელშეკრულებას და ტუარის მოლაპარაკებას, გაზეთები აკრიტიკებენ საფრანგეთის მინისტრის ამ დებულებებს მეტი თუ ნაკლები სიმკაცრით, თავის პარტიულ მიმართულების მიხედვით. მთავრობის მომხრე პარტიების გაზეთები, გარდა ნაციონალისტურ გაზეთებისა, სდგანან გერმანიის ოფიციალურ თვალსაზრისზე. ნაციონალისტურ პრესის მსჯელობის ნიმუშს წარმოადგენს „დოიჩე ტაგესცაიტუნგ“-ის კომენტარიები.

„ბრიანის პასუხი—სწერს გაზეთი — ყველაფერია, მხოლოდ არა მოწონება. მიუხედავად თავაზიან გამოთქმისა, ის უარს წარმოადგენს. ნამდვილი გულწრფელობა, პატიოსნება და გარკვეულობა მასში სრულებით არ არის“.

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ის აზრით, საფრანგეთი როგორც სჩანს მზად არის დაუბრუნდეს ბრიანის მიერ ტუარში წამოყენებულ წინადადების განხილვას (ევაკუაცია ფინანსიურ კომპენსაციების სამაგიეროდ), თუმცა ბრიანი სთვლის, რომ ეს საკითხი შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ რეპარაციების მთელ პრობლემასთან დაკავშირებით. აღნიშნავს რა ამას, გაზეთი გამოსთქვამს რწმენას, რომ ბერლინი სიამოვნებით დაიწყებს ამ დისკუსიას ხელმეორედ. (ადს).

ჯონ საიმონი

ინდოეთის საკონსტიტუციო რეფორმების შემმოწმებელ კომისიის თავმჯდომარე

ბარსელონა საყოველთაო გაფიცვის წინ

პარიზი, 3 თებერვალი. პარიზში მიღებული ცნობებით, ბარსელონის (ესპანეთის უდიდესი სამრეწველო ცენტრი) მუშებში დაიწყო მღელვარება გადასახადის შემოღების გამო სამუშაო ხელფასზე. მთელ რიგ წარმოებებში, მათ შორის მანქანების სააღმშენებლო კომპანიის წარმოებებში, დაიწყო გაფიცვა. მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა. ხელისუფლება ღებულობს სამხედრო დაცვის გაძლიერებულ ზომებს (ადს).

„ხარტალ“-ი

ლონდონი, 4 თებერვალი. როგორც ბომბეიდან იუწყებიან, სვარაჯისტებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელსაც ხელს აწერს ბოზე (საიმონის კომისიისათვის ბოიკოტის გამოცხადების მოძრაობის ლიდერი. კალკუტის ყოფილი ქალაქის თავი), სვარაჯისტები მოუწოდებენ მოსახლეობას ყველა საშუალებებით შეუწყონ ხელი საიმონის კომისიის ინდოეთში ჩამოსვლის გამო გამოცხადებულ „ხარტალ“-ის (ნაციონალურ გლოვის) რაც შეიძლება სრულ განხორციელებას.

მოწოდება მოითხოვს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას.

პუანკარეს საფინანსო პროგრამა

პარიზი, 3 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„თავის საპროგრამო სიტყვაში საფინანსო საკითხების შესახებ, რომელიც წარმოსთქვა პრემიერმა პუანკარემ დეპუტატთა პალატის 3 თებერვლის სხდომაზე, მან გაილაშქრა კაპიტალის დაბეგვრის წინააღმდეგ, კერძოდ კაპიტალის საგანგებო ერთდროულ დაბეგვრის წინააღმდეგ. პუანკარე ამტკიცებდა, რომ კაპიტალის დაბეგვრა სახელმწიფოს მისცემდა მხოლოდ მოჩვენებით შემოსავალს. მხოლოდ პროგრესიული გონივრული ღონისძიებები შეამცირებს საერთო საგადასახადო ტვირთს. პუანკარე უარს არ ამბობს განიხილოს საკითხი შემოსავლო გადასახადის ახალი ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს უნდა მოხდეს უდიდესი სიფრთხილით.

შემდეგ პუანკარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, საფრანგეთის ვალიუტის აღდგენა უნდა განხორციელდეს საერთო სამეურნეო აღდგენასთან ერთად და გამოსთქვა აზრი შრომისა და კაპიტალის ჰარმონიულ თანამშრომლობის სასარგებლოდ იმ მიზნით, რომ მრეწველობა რაციონალურად იქნას გამოყენებული უცხოეთის კონკურენციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თავისი სიტყვა პუანკარემ დაამთავრა განცხადებით, რომ მთავრობა მიილტვის საფრანგეთის საერთო აღორძინებისაკენ, რაც შეიძლება სავსებით განხორციელდეს მხოლოდ შინაურ და საგარეო მშვიდობიანობის პირობებში.

პუანკარეს სიტყვა დაფარა პალატის ცენტრის, მემარცხენე და მემარჯვენე ნაწილის ტაშმა. ტაშს უკრავდენ ზოგიერთი ოპოზიციონურ პარტიების დეპუტატებიც კი“ (ადს).

სტუდენტების დაპატიმრება ბუქარესტში

ვენა, 3 თებერვალი. ბუქარესტის გაზეთების ცნობით, გუშინ ბუქარესტში დააპატიმრეს რამოდენიმე პირი უმთავრესად სტუდენტები, რომლებიც თითქოს კომუნისტები არიან, დაპატიმრებულთა შორის იმყოფება **მარიამ ხოფრანი**, რომლის ბინაზე თითქოს აღმოჩენილია მოწოდებები. დაპატიმრებულია აგრეთვე ორი წლის წინად საპყრობილეში შიმშილისაგან გარდაცვლილ მაქს გოლდშტეინის ცოლის-ძმა (ადს).

რეფორმისტების დამარცხება

პარიზი, 3 თებერვალი. საფრანგეთის რკინისგზების უმაღლეს საბჭოს არჩევნები დამთავრდა შრომის უნიტარულ ფედერაციის გამარჯვებით. არჩევნების შედეგები ასეთია: უნიტარულმა პროფკავშირებმა მიიღეს 182851 ხმა—21 მანდატი, რეფორმისტებმა მიიღეს 61.150 ხმა—22 მანდატი.

შენიშვნა: რკინისგზების უმაღლესი საბჭო არის ორგანო, რომელიც სხვადასხვა რკინისგზების მუშაობას აერთიანებს ტექნიკის, სამუშაო ხელფასის და სხვა საკითხებში. მის მუშაობაში, რომელიც დაკავშირებულია შრომის საკითხებთან, სათათბირო ხმით მონაწილეობას იღებენ რკინისგზელთა პროფკავშირის წარმომადგენლები (ადს).

ლატვიელ პუტჩისტების საქმე

რიგა, 3 თებერვალი, ობერ-ლეიტენანტ იკშეს საქმესთან დაკავშირებით (იკშეს ბრალად ედება სამხედრო გამოსვლების მომზადება და ხყუენეკის მთავრობის დასამხობად) ხანგრძლივ შვებულებაში წავიდა ლატვიის არმიის სარდალი რადინში.

ლატვიის სამხედრო მინისტრმა კაუნინშმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ იკშე ოქტომბერში მართლაც აწარმოებდა აგიტაციას პუტჩის სასარგებლოდ და ეხლა მიცემულია სამხედრო სასამართლოში. პრესა ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ რადინშის დაუყოვნებლივ გადაყენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან, რომ შეკითხვას შეიტანენ სეიმში.

გენ. ლოგან ფელანდი

შეერთებულ შტატების ჯარების მთავარსარდალი ნიკარაგუაში

ამხ. სტეფანოვის საქმე

ვენა, 3 თებერვალი. როგორც ბუქარესტიდან იტყობინებიან, ბორის სტეფანოვის პროცესის მეორე დღეს, დამცველებმა შუამდგომლობა აღძრეს, რათა სასამართლოს ეცნო ის, რომ ეს საქმე არ ეხება სამხედრო სასამართლოს. დამცველები ემყარებიან იმას, რომ ბრალდებულები დაპატიმრებამდე სცხოვრობდენ სხვადასხვა ადგილას, რისთვისაც მათი საქმე უნდა გაირჩეს სხვადასხვა სასამართლოებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შემდეგ დამცველები აღნიშნავენ, რომ, რადგან არც ერთი ბრალდებულთაგანი არ სცხოვრობდა იმ რაიონებში, სადაც გამოცხადებული იყო საალყო წესები, ამის გამო, მათ წინააღმდეგ წარმოებული საქმე უნდა გაირჩეს მხოლოდ სამოქალაქო სასამართლოებში. სამხედრო სასამართლომ უარყო დამცველების შუამდგომლობა (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ვაშინგტონის კონვენციის გადასინჯვა

ბერლინი, 4 თებერვალი. ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე დასრულდა კამათი ინგლისის წინადადების გარშემო, რომ გადასინჯულ იქნას ვაშინგტონის კონვენცია 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. სხდომამ 15 ხმით „მუშათა წარმომადგენლების“ 6 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ავალებს განსაკუთრებულ კომისიას წარუდგინოს საბჭოს უახლოეს სესიას მოხსენება ვაშინგტონის კონვენციის გადასინჯვის შესახებ.

იმპერიალისტების საფრთხობელების დაწვა

ლონდონი, 4 თებერვალი. ბომბეიში საიმონის კომისიის ჩამოსვლის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციის დროს მუშებმა დასწვეს ბოლდუინის, ბირკენჰედის, საიმონის და მაკდონალდის გამოხატულებები. (ადს).

კლასობრივი იუსტიცია

ბერლინი, 3 თებერვალი. ესენის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი წითელ ფრონტელთა კავშირის წევრების საქმეზე. წითელი ფრონტელები პასუხისგებაში იყვნენ მიცემული იმის გამო, რომ ბრალდებოდათ საზოგადოებრივ წესრიგის დარღვევა. საქმე აღძრული იყო ფაშისტებისა და წითელ ფრონტელთა კავშირის წევრებს შორის შარდინგში მომხდარ შეტაკების გამო. წითელ ფრონტელთა კავშირის რვა წევრს მიესაჯა საპყრობილეში დაპატიმრება 8 თვიდან 1 წლამდე და 3 თვემდე. ფაშისტები პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილან.

სტუდენტების გამოსვლა კალკუტაში

ლონდონი, 3 თებერვალი. რეიტერი იუწყება, რომ კალკუტის პოლიცია ცდილობდა დაეთანხმებინა სტუდენტები, რომლებმაც ქვები დაუშინეს ადგილობრივ დირექტორს, რომ ისინი დაშლილიყვნენ. სტუდენტებმა ამაზე უარი განაცხადეს, ქვები დაუშინეს ხელისუფლების წარმომადგენლებს და ხელში დასჭრეს პოლიციის კომისარი. ამის გამო ქალაქის ჩრდილოეთ უბნებში გამოწვეულ იქნა სამხედრო ნაწილები. რამოდენიმე სტუდენტი დაპატიმრებულია, რამოდენიმე კი გაგზავნეს ჰოსპიტალში. შემდეგში წესრიგი აღარ დარღვეულა. (ადს).

„ინდიანის სტანდარტ ოილ“-ის დირექტორის დაპატიმრება

ვაშინგტონი, 3 თებერვალი. სენატმა მიიღო დადგენილება ნავთის სამრეწველო კომპანიის „ინდიანის სტანდარტ ოილ“-ის კომპანიის დირექტორ სტიუარტის დაპატიმრების შესახებ, ვინაიდან მან უარი განაცხადა მიეცა ჩვენება სენატის კომისიისათვის საზიდო მანიპულიაციების შესახებ, სინკლერის და ფოლის საქმესთან დაკავშირებით.

კათოლიკურ აჯანყებულთა დამარცხება

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. მექსიკიდან მიღებულ ცნობით, მთავრობის ჯარებმა მოჰკლეს 45 კათოლიკური აჯანყებული, რომლებსაც მეთაურობდა კათოლიკური მღვდელი.

მატარებლის კატასტროფა ბირმაში

ლონდონი, 4 თებერვალი. ბელგიიდან მიღებულ ცნობებით, მანდალაიდან რანგუნში მიმავალი მატარებელი დაემსხვრა. ორთქლმავალი, ორი საბარგო და სამი სამგზავრო ვაგონი გადავარდა თხრილში. მოკლულია 52 მგზავრი, მძიმედ დაიჭრა 16. უმთავრესად და შარალდენ მატარებლით მიმავალი მუშები.

კატასტროფა გამოიწვია გზის დაშლამ. 1-ლ და მე-2 კლასის მგზავრებს შორის მსხვერპლი არ ყოფილა.

გაფიცვა ბერლინში

ბერლინი, 3 თებერვალი. ვინაიდან მეწარმოებლებმა უარი სთქვეს, 1 საათის მუშაობისთვის მინიმალურ ხელფასად დაეწესებიათ ერთნახევარი მარკა, ბერლინის ლითონის მრეწველობის ხელსაწყოების მკეთებელ მუშებს შორის ჩატარებულ იქნა რეფერენდუმი, რომლის დროს გაფიცვის გამოცხადებას ხმა მისცა მუშების ორ მესამედმა.

გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებს 5.000 მუშა. მოსალოდნელია გაფიცვის გავრცელება ლითონის მრეწველობის სხვა დარგებზედაც. (ადს).

20.000 უმუშევარს მოესპო დახმარება

ბერლინი, 4 თებერვალი. მუშათა დაქირავებისა და უმუშევართა დაზღვევის სახელმწიფო საშუამავლო ბიუროს თავმჯდომარის განკარგულებით ჩრაკვალიფიციურ მუშებს და აგრეთვე იმ მუშებს, რომლებიც ხშირად იცვლიან თავის სამუშაოს, მოესპო დახმარების მიცემა უმუშევრობის დროს. ამის გამო რურის ოლქში დახმარება მოესპობა 20.000 უმუშევარს. რეიხსტაგის კომფრაქციამ შეიტანა რეიხსტაგში შეკითხვა, რომელშიაც მოითხოვს აღნიშნულ განკარგულების გაუქმებას.

გერმანიის ოკუპაციაქმნილ რაიონებში

ბერლინი, 3 თებერვალი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„დაპყრობილ პროვინციების სამინისტროს ბიუჯეტის დამტკიცების წინ რეიხსტაგში გამოვიდნენ რეინის ოლქის სხვადასხვა პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლნი. გამოსულ ორატორები აღნიშნავდენ, რომ საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედება წინანდებურათ დიდ ზიანს აყენებს ოლქის მეურნეობას, რის გამო უმუშევართა რიცხვი შეუჩერებლივ იზრდება. 3 ნახევარი მილიონი გერმანელი 8 წლის განმავლობაში ცხოვრობს სამხედრო კანონების მოქმედების პირობებში ყოველგვარ უფლებრივ გარანტიის გარეშე“. (ადს).

სოლიდარობის დემონსტრაცია

ვარშავა, 3 თებერვალი. ლიუბლინში შესდგა მუშების დემონსტრაცია იმ დაპატიმრებულ კომუნისტების საპატივცემლოთ, რომლებიც ლიუბლინის ციხიდან გადაიყვანეს ლომჟის საპატიმროში.

სადგურზე დემონსტრანტები დაპატიმრებულებთან ერთად მღეროდენ ინტერნაციონალს. (ადს).

მთავრობის კრიზისი სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 3 თებერვალი. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრ მარინკოვიჩმა გუშინ პრემიერ ვუკიჩევიჩს გადასცა ფორმალური განცხადება ყველა მინისტრ - დემოკრატების გადადგომის შესახებ (ვუკიჩევიჩის კაბინეტში არის 5 მინისტრი-დემოკრატი). პრემიერ ვუკიჩევიჩთან ახლო მდგომ წრეებში აცხადებენ, რომ ვუკიჩევიჩის მთავრობას, იმ შემთხვევაშიაც, თუ მინისტრი-დემოკრატები გავიდენ მთავრობიდან, პარლამენტში ეყოლება საკმაო უმრავლესობა იმისათვის, რომ გაატაროს საქვარო კანონპროექტი უცხოეთის სახელმწიფო სესხის და საგადასახადო რეფორმის შესახებ (ადს).

ინგლისის კომპარტია ინდოეთის ბრძოლის მეთოდების შესახებ

ლონდონი, 3 თებერვალი. სპარტის ხელმეორედ დაპატიმრების გამო ინგლისის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც შეიცავს პარტიის თვალსაზრისს ინგლისის იმპერიალიზმთან ბრძოლის მეთოდებზე ინდოეთში. ცეკა ხაზს უსვამს, რომ, რეფორმისტულ მუშათა პარტიისგან განსხვავებით, კომპარტიას მიაჩნია, რომ ინდოეთის ხალხის ინტერესები, და აგრეთვე ინგლისის მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს იმპერიის დაშლას.

თვითეულ კომუნისტის მოვალეობას შეადგენს დახმარება გაუწიოს ინდოელ ნაციონალისტებს და მხედველობაში მიიღოს სახარგებლო გაკვეთილები ჩინეთის რევოლუციონური გამოცდილებიდან. კომპარტია არახოდეს არ აპირებდა ლოიალობა გამოეჩინა თავის ქვეყნის ბურჟუაზიის მიმართ.

პირიქით, ის ყოველგვარ იმპერიალიზმის აშკარა მტერია და მომავალშიაც იბრძოლებს მის წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებებით.

შენიშვნა: სპარტი დააპატიმრეს ბომბეიში 15 იანვარს „კომუნისტურ პროპაგანდისათვის“, რომელიც გამოიხატა ფურცლების დარიგებაში ბომბეის გაფიცულ ფეიქართა შორის (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ფინ-იუ-სიანის შეტევა ბრძელდება.

შანხაი, 3 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ფინ-იუ-სიანის ჯარებმა აიღეს ქალაქი ცაოსიანი. ქალაქი ცაოსიანი მდებარეობს შანდუნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. (ადს).

მუკდენელებს ამარცხებენ

შანხაი, 3 თებერვალი. გლეხთა ორგანიზაციის „ტიენმენგუი“-ს (ცისკარების საზოგადოება) რაზმებმა შიცზიანჟუანის რაიონში დაამარცხეს მუკდენის ჯარები. (შიცზიანჟუანი მდებარეობს 300 კილომეტრით პეკინიდან).

ჩან-ფა-გუას დამარცხება

შანხაი,, 3 თებერვალი. გონკონგიდან იტყობინებიან, რომ ჩან-ფა-გუას ჯარები დამარცხდენ ხოპინის ახლოს, რომელიც მდებარეობს გუანდუნი - ცზიანსიის საზღვარზე. ჩან-ფა-გუს ჯარები უკან იხევენ ცზიანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილისაკენ.

14 აეროპლანი გლეხობის მოძრაობასთან საბრძოლველად

პეკინი, 3 თებერვალი. გოვენის სააგენტო იუწყება, რომ ჩან-ფა-გუს დახმარებას უწევენ გლეხთა რაზმები, რომელთაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ კანტონი მალე ევროპიდან მიიღებს 14 აეროპლანს.

ბრძოლა „წითელ შუბებთან“

პეკინი, 3 თებერვალი. გაზეთები იუწყებიან, რომ პეკინიდან 120 ვერსზე მუკდენის ჯარები აწარმოებენ ბრძოლას „წითელ შუბების“ რაზმებთან.

„ნორტ ჩაინა სტანდარტ“ იუწყება, რომ პეკინში შესავალ კარებთან დაყენებულია პოლიციის გაძლიერებული რაზმი. პოლიცია გაუჩხრეკავად არავის უშვებს ქალაქში (ადს).

ჩან-კაი-შის პროგრამა

შანხაი, 3 თებერვალი. ნანკინის მთავრობის დეპეშათა სააგენტო „გომინ“-ის ცნობით, გომინდანის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის პირველ სხდომაზე გამოვიდა ჩან-კაი-ში შემდეგი პროგრამით:

„პირველ რიგში საჭიროა განადგურება კომუნიზმის, შემდეგ კი მილიტარიზმის. უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმება უნდა მოხდეს ამ ამოცანების გაუქმების შემდეგ. ჩრდილოეთის ექსპედიცია გაგრძელებულ უნდა იქნეს“ (ადს).

მბეჭდავთა დაპატიმრება.

შანხაი, 3 თებერვალი. დააპატიმრეს შანხაის სტამბის რამოდენიმე მუშა. მუშებს ბრალდებათ ფურცლების და რევოლიუციონურ შინაარსის ბროშიურების ბეჭდვა. (ადს).

„ბანდიტები“

პეკინი, 3 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, 1 თებერვალს მოხდა თავდასხმა ცზიანსის პროვინციაში ცზიუცზიან-ნანჩანის რკინისგზის ერთ-ერთ სადგურზე. სადგურზე თავდამსხმელებს რეიტერი უწოდებს „ბანდიტებს“, რომლებსაც ეხმარებოდა კომუნისტები“.. თავდამსხმელებმა სადგური გაძარცვეს (ადს).

ცენტროსოიუზის თანამშრომელთა გაძევება ხანკოუდან

შანხაი, 3 თებერვალი. „ისტერან ტაიმს“-ის ცნობით, ცენტროსოიუზის ხანკოუს განყოფილების სამი თანამშრომელი, რომლებიც უხანის ხელისუფლებამ გააძევა განყოფილების დახურვის გამო, გაემგზავრენ ხანკოუდან

ნავთის მონოპოლია ესპანეთში

პარიზი, 3 თებერვალი. მადრიდიდან მიღებულ ცნობებით, ესპანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა ზოგიერთ უცხოელ ნავთის მრეწველთა განცხადების გამო, რომ ესპანეთმა დაარღვია უცხოელთა უფლებები ნავთის მონოპოლიის შემოღებით.

ცნობაში ნათქვამია, რომ ესპანეთის მთავრობა „სამართლიანად აუნაზღაურებს ზარალს უცხოელ ნავთის მრეწველ ფირმებს“, —გადაუხდის მათ მონოპოლიის შემოღების დროს ჩამორთმეულ ნავთის პროდუქტების ღირებულებას.

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ ნავთის მონოპოლია ესპანეთში „შემოღებულია იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მომხმარებლებისა და ხაზინის ინტერესები, აგრეთვე იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღოს იმ უზომო მოგებას, რომელსაც აძლევდა ნავთის პროდუქტებით ვაჭრობა უცხოელებს ისე, რომ მათ ამისთვის არ სჭირდებოდათ არავითარი რისკია და შრომის გაწევა“ (ადს).

რა ესიზმრება ბურჟუაზიულ პრესას

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. ამერიკის პრესას მოჰყავს მსოფლიო ბურჟუაზიული პრესის მიერ უკანასკნელ დღეებში გავრცელებული ცნობები ლონდონიდან, ბერლინიდან, რიგიდან, ვილნოდან და სტამბოლიდან. ამ ცნობებში სხვადასხვანაირად არის აწერილი „აჯანყებები“ საბჭოთა კავშირში და „კრემლისათვის ზარბაზნების დაშენა“.

ხსენებულ ცნობებს კომენტარიებს უკეთებს ამერიკის უდიდესი სააგენტო „ასოშიეტედ პრეს“ და აღნიშნავს, რომ ამგვარი ხმები, რომელსაც ავრცელებდენ წინად, უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ამერიკის გაზეთების და სააგენტოების მოსკოველმა კორესპონდენტებმა ირონიული პასუხი გასცეს ნიუ-იორკიდან ტელეგრაფით მიღებულ შეკითხვებზე „აჯანყებების“, „კრემლისათვის ზარბაზნების დაშენის“ და სხვ. შესახებ. კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ასეთი უსაფუძვლო ხმების გავრცელება ახსნება საბჭოთა კავშირის ნამდვილი მდგომარეობის სრული უცოდინარობით და რომ საბჭოთა კავშირში ამჟამად ინტენსიური სამეურნეო აღმშენებლობა სწარმოებს. ზოგიერთი გაზეთები ამასთანავე ერთად იტყობინებიან პურის დამმზადების შესახებ კავშირის სხვადასხვა რაიონებში.

ამერიკა არ უარყოფს

ომის შესაძლებლობას

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა სამინისტრო უარყოფს ბრიანის ცდას, რომ საფრანგეთ-ამერიკის მომავალ საარბიტრაჟო ხელშეკრულების შესავალი მუხლი განმარტოს ისე, თითქოს ის შეუძლებლად ხდის საფრანგეთ-ამერიკის ომს. სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ ეს მუხლი არ შეიცავს წინადადებას მუდმივი მშვიდობიანობის შესახებ, არამედ წარმოადგენს უბრალო წინასიტყვაობას, რომელიც არავის არაფერს არ ავალებს“.

სხვადასხვა

ინგლის-ნორვეგიის დავა

ლონდონი, 1 თებერვალი. ნორვეგიის ელჩმა ლონდონში ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ჩააბარა საპროტესტო ნოტა იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის მთავრობამ ნება დართო ვეშაპების დამჭერ ნორვეგიულ კომპანიას აწარმოოს ვეშაპების ჭერა კუნძულ ბუვეს გარშემო (ატლანტის ოკეანეს სამხრეთ ნაწილში, სამხრეთის პოლიუსის რაიონში), ნორვეგია კუნძულ ბუვეს თვლის, როგორც ნორვეგიის ტერიტორიას, ინგლისს კი ეს კუნძული მიაჩნია ინგლისის ტერიტორიად და აღნიშნავს, რომ ის 1925 წელში დაიკავა ინგლისის ორმა ალქნიანმა გემმა. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხ. პეტროვსკის დაბადების 50 წლის თავი

ამხ. გ. პეტროვსკი

მოსკოვი, 4 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა ამხ. პეტროვსკის სახელზე გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„თქვენი დაბადებიდან 50 წლისა და რევოლუციონური მოღვაწეობის დაწყებიდან 25 წლის თავის შესრულების დღეს საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი გიძღვნით მხურვალე სალამს. ქარხნის დაზგასთან, ბერ-ქვეშ და გადასახლების დროს, ყოველთვის დაუღალავად იღვწოდით ბრძოლას პროლეტარიატის რევოლუციონური საქმისათვის და გაიარეთ გზა შეუპოვარი მებრძოლი-რევოლუციონერისა, რომელმაც თავის სიცოცხლე დაუკავშირა ლენინის და მისი პარტიის საქმეს.

თქვენ იყავით უკრაინისა და საბჭოთა კავშირის მუდმივი ხელმძღვანელი რევოლუციონურ ბრძოლაში, კვლავ მჭიდრო კავშირი გაქვთ ფართო მასებთან და როგორც ყოველთვის, სარგებლობთ მათი სიყვარულით.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი გისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლეს მომავალი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე
კალინინი.
საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი
ენუქიძე.

ამხ. პეტროვსკისადმი მისასალმებელ წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ამხ. ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, ბუხარინი, რუძუტაკი, ტომსკი, კალინინი, შკირიატოვი; სოლცი, რიკოვი, კვირინგი, იაროსლავსკი, ზატონსკი, იაკოვლევი, რუხიმოვიჩი, ლებედი, კლიმენკო, კოსიორი, იანსონი, ენუქიძე, ბულატი, კუზნეცოვი, ავერინი, ლუგოვოი, როიზენმანი, ვლადიმირსკი, კრჟიჟანოვსკი, შმიდტი და ბუბნოვი, ნათქვამია:

„ჩვენი პარტიის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ, ემყარებოდა რა მუშათა კლასს, მისი წრიდან იღებდა საუკეთესო მოწინავე მუშებს და ამათგან ამზადებდა პროლეტარული მოძრაობის ბელადებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ,—ბოლშევიკების ძველი თაობის—ლენინის კოგორტას საუკეთესო პროლეტარულმა წარმომადგენელმა, სამართლიანად დაიმკვიდრეთ პირველი ადგილი ჩვენი პარტიის ხელმძღვანელთა პირველ რიგში. გაიარეთ რა ლენინის მახლობელი თანამებრძოლების, გამოჩენილი რევოლუციონერების ბაბუშკინის, მოროზოვის და სხ. სკოლა, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ეკატერინოსლავის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის პირველი საფუძვლების შექმნაში. ეკატერინოსლავის და მთელი დონეცის ბასეინის ქარხნებში მუშაობით, წარმოებიდან წარმოებაში გადასვლით თქვენ საძირკველს უყრიდით დონეცის და ეკატერინოსლავის ორგანიზაციებს, რომელთაც სახელოვანი როლი ითამაშეს უკრაინაში რევოლუციონური ბრძოლის ისტორიაში.

განვლეთ რა თქვენი რევოლუციონური მუშაობის პირველ პერიოდში,—მეფის რეჟიმის დევნა, დაპატიმრებანი, ციხეები და გადასახლება, აუცილებელი ყველა რევოლუციონერისათვის—თქვენ 1905 წლის რევოლუციონური ტალღის პირველი აზვირთებისთანავე ჩადექით მუშათა კლასის მოწინავე რევოლუციონერების რიგებში და განაგრძობდით ბრძოლას ბოლშევიზმის საქმისათვის, ლენინის პარტიის შექმნისათვის.

თქვენმა მოღვაწეობამ სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატად ყოფნისა და ბოლშევიკური ფრაქციის თავმჯდომარეობის დროს მუშათა მოძრაობის ისტორიაში ჩასწერა სახელოვანი ფურცლები, რაიც განსაზღვრავდა ლენინის ტაქტიკისა და სტრატეგიის იმ ნაწილს მუშათა მოძრაობაში, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა იმ მხრივ, რომ არალეგალური ბოლშევიკური რევოლუციონური პროპაგანდა და მუშათა მასების შეკავშირება შეფარდებულ იქნა მუშათა ორგანიზაციების ლეგალურ მუშაობასთან, როცა სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლენინი, ფაქტიურად იყო მუშათა მოძრაობის ცენტრი. თქვენ არ დაიხიეთ საფრთხეთა წინაშე, მიუხედავად ჟანდარმერიის თარეშისა და ენერგიულად განაგრძობდით მუშათა კლასის შეკავშირების საქმეს; სასამართლოში პროლეტარული რევოლუციონერის ღირსებით იცავდით ბოლშევიკურ ხაზს, მეფის სასამართლოს მიერ დასჯის შემდეგაც, როცა თქვენ იყავით შორეულ იაკუტიაში, თქვენ არ შეგიწყვეტიათ კავშირი მუშათა კლასთან და მის პარტიასთან.

მუშათა კლასის პირველი გამარჯვება 1917 წელში მოხდა თქვენი აქტიური მონაწილეობით და თქვენმა მუშაობამ ბოლშევიკური რიგების მოსაწყობად და აღსადგენად უკრაინაში ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდის განმავლობაში დაგაკავშირათ თქვენ უკრაინის მუშებთან და გლეხებთან. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გაქვთ უნარი ყოველთვის იყოთ მასებთან და მიხვდეთ მათ სულისკვეთებას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ გაქვთ განსაკუთრებული პირადი თვისება გაიგოთ ღარიბისა და მშრომელი გლეხის ნაღები; თქვენ, შთამომავლობით მუშამ, შესძელით პროლეტარიატის კლასობრივი ხაზის შეთანხმება ღარიბი მშრომელი გლეხობის ინტერესებთან და ამასთანავე თქვენ საუკეთესო მაგალითს აძლევდით იმისა, რომ ლენინის პოლიტიკა მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან,—სოციალისტურ მშენებლობაში განხორციელებულიყო პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. აი, სწორედ ამიტომ თქვენ უკრაინის მუშებმა და გლეხებმა შორის სამართლიანად მოიპოვეთ მუშურ-გლეხური წითელი მამასახლისის სახელწოდება.

მთელი თქვენი წარსული ამტკიცებს, რომ თქვენ, პეტროვსკის—ბოლშევიკ-რევოლუციონერს, მუშათა კლასის ხელმძღვანელს განუყრელი კავშირი გქონდათ მასებთან იმ საერთო მძიმე, მაგრამ სახელოვან ბრძოლაში, რომლის შედეგადაც ჩვენმა პროლეტარიატმა გაიმარჯვა და ემზადება კომუნიზმის მომავალი გამარჯვებისათვის (ადს).

ხარკოვი, 4 თებერვალი. ყველა ცენტრალურმა პროფორგანიზაციებმა ამხ. პეტროვსკის მისალმებით მიმართეს მისი დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო (ადს).

უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას მისალმება ამხ. პეტროვსკისადმი

ხარკოვი, 4 თებერვალი. საკავშირო ცაკის და უკრაინის ცაკის თავმჯდომარე ამხ. პეტროვსკის დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულების გამო უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკამ მიმართა ამხ. პეტროვსკის მისალმებით.

„მუშა-მელითონე ამხ. პეტროვსკიმ,—ნათქვამია მისალმებაში,—თავის ხანგრძლივ რევოლუციონურ მოღვაწეობაში გამოაშკარავა თავისი პროლეტარული კლასის სიძლიერე. მუშათა კლასთან ერთად იბრძოდა ის ბოლშევიკური პარტიის პირველ რიგებში შავ-ბნელი რეაქციის ხანაში. დაიწყო რა თავისი მოღვაწეობა უკრაინაში როგორც პატარა არალეგალური წრეების ორგანიზატორმა, ამხ. პეტროვსკი თავისი ცხოვრების მეექვსე ათეულ წელში გვევლინება არა მარტო უკრაინის რესპუბლიკის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მეთაურ-თავმჯდომარედ. ბოლშევიკური პარტიის ძალა მდგომარეობდა და მდგომარეობს იმაში, რომ ის მჭიდროდ დაკავშირებული მასებთან და თავდადებით ემსახურება მუშათა კლასისა და პროლეტარული რევოლუციის საქმეს. ბოლშევიკური პარტიის ძალა მდგომარეობს მუშათა კლასიდან ორგანიზატორების და ხელმძღვანელების შერჩევას, წამოყენებასა და აღზრდაში. ამ ორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების ძალა კი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი პარტიასთან ერთად იცავდნენ და იცავენ მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასების ინტერესებს, ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ პარტიის კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობასთან და პარტიის ხაზს ატარებენ და მის პროგრამას ნერგავენ მუშებში და გლეხების ფართო მასებში. ასეთ ბოლშევიკურ ხელმძღვანელების კატეგორიას ჩვენ სრული უფლებით ვაკუთვნებთ გრიგოლ ივანეს ძე პეტროვსკის. უსურვებთ მას ჯანმრთელობას, სიმხნევეს და ძალას შემდგომ მძიმე მუშაობაში სოციალისტური საბჭოთა უკრაინისა და მისი ავანგარდის—ლენინური ბოლშევიკური პარტიის მშენებლობისათვის“ (ადს).

რ უ ს ე თ ი

ტოლსტოის დაბადების 100 წლისთავი

მოსკოვი, 4 თებერვალი. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ, ლევ ტოლსტოის დაბადების 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით გადასწყვიტა შემოიღოს საყოველთაო სწავლება იასნაია პოლიანის რაიონის სოფლებში.

სკოლა—შვიდწლედი ოსტაპოვოში, სადაც გარდაიცვალა ტოლსტოი, გადაკეთდება ცხრაწლედად (ადს).

კარელიის ყოფილ განათლების სახ. კომისრის საქმე

პეტროზავოდსკი, 4 თებერვალი. კარელიის ყოფილი განათლების სახალხო კომისარ ხოხლოვს მექრთამეობისა, გაფლანგვისა და დაუდევრობისათვის მიესაჯა ათი წლით დაპატიმრება მთელი ქონების კონფისკაციით და ორი წლით სამოქალაქო უფლებების წართმევით (ადს).

გლეხკომების [illegible]

მოსკოვი, 2 თებერვალი. [illegible] სრ. საკავშირო ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო მარტისათვის, მოწვეულ იქნება მაისში (ადს).

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მესამე პლენუმი

მოსკოვი, 2 თებერვალი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 27 თებერვლისათვის დანიშნოს საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს მესამე პლენუმი (ადს).

სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოკვლა კულაკების მიერ

ნეჟინი, 2 თებერვალი. თავის სახლთან მოჰკლეს ლიხარევსკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კორსიძი. მკვლელები არიან კულაკები (ადს).

დიდი პროცესი

არტემოვსკი, 4 თებერვალი. უკრაინის უზენაეს სასამართლოს სესია შეუდგა იაროშჩუკის, შილინისა და სხვ. საქმის გარჩევას.

არტემოვსკის მოსახლეობის მუშური ნაწილი დიდ ინტერესს იჩენს პროცესისადმი, რის გამო სასამართლოს სხდომები სწარმოებს ქალაქის ერთ-ერთ დიდ შენობაში.

პასუხისგებაში მიცემულ პირებს წაყენებული აქვთ შემდეგი ბრალდება:

იაროშჩუკს ბრალდება ის, რომ როცა იაროშჩუკი არტემოვსკის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე იყო, ოქტომბრის ათი წლის თავის ზეიმის დღეს მოაწყო ქეიფი საოლქო მილიციის უფროს მაქსიმოვის ბინაზე. ზომაზე მეტად მთვრალმა იაროშჩუკმა თავისი უხეში ყოფა-ქცევით შილინა მიიყვანა ისეთ ფსიქიურ მდგომარეობამდე, რომ მან თავი მოიკლა.

შილინმა, რომელიც ქალაქის მილიციის უფროსი იყო, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავის დღის მონაწილეობა მიიღო ამ ქეიფში და თავისი მოქმედებით, მუქარით, საყვედურებით და დაცინვით გამოიწვია შილინის ფსიქიური მდგომარეობა და მით ხელი შეუწყო მის თვითმკვლელობას.

საოლქო მილიციის უფროსის ცოლს—მაქსიმოვას ბრალდება ის, რომ მან მიიყვანა შილინა ამ ქეიფზე და ხელს უწყობდა იაროშჩუკს თავისი ზრახვების განხორციელებაში.

მაქსიმოვს ბრალდება ქეიფის მოწყობა და მასში მონაწილეობის მიღება.

იაროშჩუკი, მაქსიმოვი და მაქსიმოვა თავს დამნაშავეთ არ სცნობენ.

შილინს წაყენებული ბრალდება სწორად მიაჩნია.

სასამართლომ პირველად დაჰკითხა შილინი, რომელიც სასამართლოს მოუთხრობს თავისი ცოლის თვითმკვლელობის პირობებს. ქეიფის დროს მან ცუდად იგრძნო თავი და გავიდა ოთახიდან სამზარეულოში. რამდენიმე ხნის შემდეგ მან მოისმა თავისი ცოლის ყვირილი და გაემართა მისაშველებლად, მაგრამ ოთახის კარები გადაკეტილი აღმოჩნდა. შილინმა გააღო კარი და დაინახა, რომ იაროშჩუკი უხეშად ეპყრობოდა შილინას, რომელიც ივერიებდა მას. შილინი აცხადებს, რომ იაროშჩუკმა, ალბათ, გააუპატიურა მისი ცოლი, თუმცა ამის კატეგორიულად მტკიცება მას არ შეუძლია.

შემდეგ შილინი აცხადებს, რომ მან თავისი ცოლი გამოსტაცა იაროშჩუკს და გაიყვანა დერეფანში. მას დაედევნა იაროშჩუკი ქურდული გინებით და დაუწყო ცემა.

წინასწარი გამოძიების მასალებიდან ჩანს, რომ შილინი ამის შემდეგ ყოველნაირად დასცინოდა თავის ცოლს, რითაც მიიყვანა ის თვითმკვლელობამდე. ეხლა კი შილინი ამტკიცებს, რომ მას ეს არ ახსოვს. (ადს).

ხელფასის გადიდება ა.-კ. პროფესურისათვის

მოსკოვი, 4 თებერვალი. საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო ასიგნობების გადიდება ა.-კ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატებისათვის ა.-კ. ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლების პროფესურისა და სამოსწავლებლო პერსონალის ხელფასის გასადიდებლად (ადს).

სასაცილო ამბავი

„ბრწყინვალე თავადი“ ვოლკონსკი—„ქრისტიანული“ მთავრობის მოლოდინში

რიაზანის გუბერნიის, მიხეილის მაზრის სოფელმა მალინკისა და ლუკის გლეხებმა მიიღეს წერილი საფრანგეთიდან—„თავად“ ვოლკონსკისაგან.

„1917 წ. დამლევს,—სწერს „თავადი ვოლკონსკი,—ჩამორთმეულ იქნა მთელი ინვენტარით ჩემი კუთვნილი მამაპაპეული მამული ლუკის ვოლოსტში.

ათი წელი შესრულდა მამულის ჩამორთმევის დღიდან. რომ მომავალში არავინ შესძლოს თქმა იმის, რომ ჩემს უფლებებს აღნიშნულ მამულზე ვადა გაუვიდა, ამით გაუწყებთ თქვენ და თქვენი სახით ყველა იმათ, ვინც ამას უნდა უწყოდეს, შემდეგს:

მე არასოდეს არ განმიცხადებია უარი ფლობის უფლებაზე ჩემს მამაპაპეულ მამულზე, რომელიც ჩემამდის ეკუთვნოდა მარად სახსოვართ—პაპაჩემის მამას ბრწყინვალე თავად პეტრე მიხეილისძეს, პაპაჩემს—თავად გრიგოლ პეტრესძეს და მამაჩემს,—თავად პეტრე გრიგოლისძე ვოლკონსკს.

უფლებები ჩემი ქონების დამტაცებლების, ვინც არ უნდა იყოს ისინი, მე არასოდეს მიცვნია და არც ვაპირებ ვიცნო.

არავითარი შემოსავლის აკრეფას ჩემი მამულიდან მისი ჩამორთმევის ხანაში მე არ ვაპირებ და ამავე დროის განმავლობაში არავითარი გადასახადების გადახდა მამულისათვის არ მსურს.

აღნიშნული მამული, მთელი თავისი ინვენტარით, ყოველთვის მზად ვარ მივცე თავის მფლობელობაში, როგორც ჩვენს განაწამებ სამშობლოში კვლავ დამყარდება ქრისტიანული ხელისუფლება.

ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში მამული ჩემს გადადის მემკვიდრეობით კანონების თანახმად. ბრწყინვალე თავადი პეტრე პეტრესძე ვოლკონსკი“.

მალინკისა და ლუკის გლეხებმა „ბრწყინვალე თავადის“ ეს წერილი წაიკითხეს თავიანთ საჯარო კრებებზე, გულიანად იცინეს და შეთანხმებულად შეადგინეს პასუხი რომელშიაც სწერენ:

„ჩვენ სოფ. მალინკის გლეხებს დღემდის არ დავიწყებია თქვენი თავადური მათრახები და კომბლები, რომლებიც დასეირნობდა ჩვენს ზურგზე. ჩვენ არ დაუშვებთ, რომ კვლავ დაბრუნდენ ისინი, ვინც აღგავა ოქტომბრის რევოლუციამ და ამიტომ შენ, არამზადა ვოლკონსკი, ნუ იცინებ ჩვენთვის მიწების და უფლებების წართმევაზე და ჩვენზე ბატონობაზე.

კიდევ თავს ვალად ვთვლით მოგაგონოთ თქვენ, თავადო, რომ ჩვენ დიდი შეცდომა დაუშვით, როცა ცოცხალი გაგიშვით საბჭოთა ქვეყნიდან.

წყევა-კრულვას გიგზავნის შენ, თავადო, ხოფ. ლუკის გლეხთა საერთო კრება“.

თავისი პასუხი „თავადს“ რიაზანელმა გლეხებმა გადაუგზავნეს საფრანგეთში.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

გერმანიის საგარეო პოლიტიკა. — დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. — დეტერდინგების ანტისაბჭოთა კამპანიის გაკოტრება. — ჟუოს „იმედი გაუცრუვდა“. — მექსიკის წინადადებები უარყვეს.

უკანასკნელი კვირა გერმანიის ეხლანდელი საერთაშორისო პოლიტიკის გამოაშკარავების კვირა იყო. გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა მემორანდუმი, ე. წ. უშიშროების საკითხის შესახებ, ამავე დროს რეიხსტაგში ფართე დისკუსია გაიმართა საგარეო პოლიტიკის გარშემო.

20 თებერვლისათვის ჟენევაში უნდა შეიკრიბოს უშიშროების კომიტეტი, ამჟამად კი პრაგაში მიმდინარეობს იმ პირთა თათბირი, რომლებსაც მინდობილი აქვთ ხსენებულ კომიტეტის სხდომებზე მოხსენებების წარმოდგენა. ამასთან დაკავშირებით კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობები არკვევენ თავის პოზიციას უშიშროების პრობლემის მიმართ.

როგორც ვიცით, განიარაღების კომისიის უკანასკნელ სესიაზე საფრანგეთმა შესძლო განიარაღების განხორციელების დაკავშირება უშიშროების უზრუნველყოფასთან: ჯერ უშიშროება უნდა იქნეს დაცული და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განიარაღებაზე ლაპარაკი. საფრანგეთს საკმარისად არ მიაჩნია ის გარანტიები, რომლებსაც ერთა ლიგა და ლოკარნოს ხელშეკრულება იძლევა, — ის მოითხოვს დამატებით გარანტიებს ვერსალის სისტემით შექმნილ მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ასეთი გარანტიების მიცემის წინააღმდეგ ილაშქრებენ ინგლისიც და გერმანიაც, რომელთა მიზანია საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციების შერყევა და მის მაგივრად თავისი ჰეგემონიის დამკვიდრება, ცოტა წინად ინგლისის და შემდეგ გერმანიის მიერ გამოქვეყნებული მემორანდუმები და საფრანგეთის მთავრობის თვალსაზრისი უდავოდ ხდიან, რომ უშიშროების საკითხში არავითარი შეთანხმება არ იქნება მიღწეული და ამით კვლავ უშედეგოდ დამთავრდება მუშაობა განიარაღების კომისიის სესიისა, რომელიც მოწვეულია მარტში.

ერთხელ კიდევ გამართლდება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომელიც გამოხატულ იქნა ჩვენს დეკლარაციაში საყოველთაო განიარაღების შესახებ: ნამდვილი მშვიდობიანობა და უშიშროება მიღწეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაო განიარაღება გატარდება; უამისოდ ყოველგვარი ლაყბობა უშიშროების გარანტიის შესახებ გამოგონილია იმ მიზნით, რომ დაბნელებულ იქნას ნათელი საკითხი განიარაღების შესახებ, ვინაიდან კაპიტალისტური ქვეყნები განიარაღებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ სულ უფრო იარაღდებიან და ომისათვის ემზადებიან.

გერმანია მით უფრო არ დაეთანხმება საფრანგეთს უშიშროების საკითხში, რომ უკანასკნელი დღემდე აგრძელებს მის მიმართ აშკარა მტაცებლურ პოლიტიკას. კერძოდ ეს გამოიხატება რეინის ოლქის ოკუპაციაში, რომელსაც დასასრული არ უჩანს. რეიხსტაგში რეინის ოლქის საკითხი მწვავედ წამოიჭრა. როგორც შტრეზემანის, ისე სხვების სიტყვების აზრი ის იყო, რომ შეუძლებელია რაიმე მკვიდრი პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა დამყარდეს საფრანგეთ - გერმანიის შორის, სანამ გერმანიის ტერიტორიას ფრანგი ჯარისკაცები ფლობენ. ისინი მოითხოვდენ რეინის ოლქის დაცლას იმ ვადაზე ადრე, რომელიც ვერსალის „ზავითაა“ გათვალისწინებული.

საერთოდ ამ ორ ქვეყანას შორის ნორმალურ ურთიერთობის ჩამოგდება (რამდენადაც ეს იმპერიალიზმის პირობებში მოსახერხებელია) მხოლოდ ვერსალის სრული რევიზიის ნიადაგზე შეიძლება, მაგრამ ამაზე საფრანგეთს გაგონებაც არ სურს. აქედან — მათი დამოკიდებულების დამახასიათებელია მტრობა და შური - შეთხზვა?, მიუხედავად დროებით შესაძლებელ კომპრომისებისა და ხანდახან თვალთმაქცურ ლაპარაკისა თვითეულ მათგანის მეორის მიმართ „სამშვიდობო და მეგობრულ“ განწყობილების შესახებ.

გერმანიის კაპიტალი მოღონიერდა, შიგნით ის მძლავრ ტრესტებათ გაერთიანდა და ეხლა გამოდის იმპერიალისტურ პოლიტიკის ფართე გზაზე. ის ცდილობს დაიბრუნოს ომის შედეგად დაკარგული პოზიციები და უფრო გააფართოვოს ისინი. ამ მხრივ საყურადღებოა სახალხო პარტიის დეპუტატის, შტრეზემანის უახლოეს თანამშრომლის რეინბაბენის გამოსვლა; მან სთქვა: „მომავალ გერმანიის მოხაზულობა ასე გვაქვს წარმოდგენილი: დასავლეთით — თავისუფლება რეინისა და საარის საზღვრებზე; აღმოსავლეთით — აუტანელ საზღვრების შეცვლა; შემდეგ ავსტრიის შემოერთება. ამას უნდა მიუმატოთ გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო თანასწორობა“. ეს საკმაოდ ფართე იმპერიალისტური პროგრამაა, რომლის განხორციელება მეტოქე სახელმწიფოებთან (საფრანგეთი, პოლონეთი) ომის გარეშე შეუძლებელია.

* * *

გერმანიის კაპიტალის იმპერიალისტურ აქტივობის მაჩვენებელია აგრეთვე საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების რამდენიმედ შეცვლის ცდა, რის მოწმენი ჩვენ ვართ ამ ბოლო დროს. როცა გერმანია ყოველნაირად დამცირებული იყო „მოკავშირეთა“ მიერ, მაშინ (1922) ჩვენ დავდევით მასთან სრული თანასწორობის საფუძველზე მეგობრობის ხელშეკრულება რაპალოში. ამ აქტმა გაარღვია რა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ფრონტი, ამავე დროს უეჭველად დიდად შეუწყო ხელი გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას. შემდეგ დადებულ იქნა სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს გერმანიის მეურნეობის აღორძინებაში.

მაგრამ გერმანიის ზოგიერთი კაპიტალისტური წრეები, როგორც ჩანს, ამით არ კმაყოფილდებიან, მარტო ის ფაქტი რადა ღირს, რომ „რუსეთის კრედიტორებმა“ გერმანიაში ამას წინედ რეიხსტაგს მიმართეს მემორანდუმით, რომ გერმანია - საბჭოთა მომავალ სავაჭრო მოლაპარაკების დროს მათი ინტერესები მხედველობაში იქნეს მიღებული და რომ გერმანიის მთავრობამ ჩვენ წამოგვიყენოს მოთხოვნა მათთვის მეფის ვალების გადახდის შესახებ. ამ სასაცილო პრეტენზიის დაცვას თუმცა გერმანიის მმართველი წრეები, ცხადია, ვერ გაბედავენ, მაგრამ ის მაინც დამახასიათებელია, როგორც გერმანიის კაპიტალის იმპერიალისტურ მიდრეკილებათა მაჩვენებელი.

უფრო სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს გერმანულ სამრეწველო წრეებში შემჩნეულ უკმაყოფილებას გერმანია - საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებით, რამდენადაც ეს უკმაყოფილება კანონიერად მიაჩნია გერმანიის მთავრობასაც შტრეზემანის პირით.

თურმე ნუ იტყვით: გერმანიის კაპიტალისტებს იმედი ჰქონიათ, რომ საბჭოთა ბაზარი თითქმის მთლიანად აუნაზღაურებდა მათ დანაკლისს, რომელიც მათ განიცადეს მსოფლიო ბაზრების დაკარგვით. ეს, რა თქმა უნდა, უნიადაგო, ძალიან გადაჭარბებული იმედი იყო. მისი განაღდება საბჭოთა კავშირის გერმანიის მრეწველობის აგრარულ დამატებად გადააქცევდა. ჩვენ კი მტკიცე კურსი გვაქვს აღებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ და გერმანიასთან სავაჭრო დამოკიდებულებასაც ამ მიზნით ვიყენებთ.

ეს სავაჭრო დამოკიდებულება კი უაღრესად სასარგებლოა გერმანიისათვის. მას პირველი ადგილი უკავია ჩვენი იმპორტის ჯამში. გერმანიის საქონლის — ექსპორტი საბჭოთა კავშირში უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში 600 მილიონ მანეთამდე აღწევს. ამასთან ჩვენ იქიდან უფრო მეტი შემოვზიდეთ, ვინემ იქ გავიტანეთ; გერმანია-საბჭოთა ვაჭრობის აქტივი პირველის სასარგებლოდ ხსენებულ პერიოდში გამოიხატება 140 მილიონ მარკით. ასეთი სინამდვილის წინაშე ყოველგვარი ძალა ეკარგება გერმანიის მრეწველთა ლაპარაკს, ვითომ ჩვენთან დადებული ხელშეკრულება გერმანიისათვის ხელსაყრელი არ იყოს.

გერმანიის სამრეწველო - კომერციული ჯგუფების უკმაყოფილებას უმთავრესად ორი გარემოება ასაზრდოებს: პირველი ის, რომ ჩვენ გერმანიაში (როგორც სხვა ქვეყნებშიც) ვიძენთ სასტიკად განსაზღვრულ საგნებს, რომლებიც გვესაჭიროება სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, მეორე ის, რომ იქ გამოვდივართ ორგანიზაციულად, მთლიანი ფრონტით, რაც კაპიტალისტებს უსპობს უზომო მოგების მიღების საშუალებას. ერთი სიტყვით, ისინი ილაშქრებენ ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, რომ მიეცეთ თავისუფლება ჩვენში შემოზიდონ ყოველგვარი საქონელი და ამავე დროს მეტი სარგებლობა ნახონ ჩვენში საზღვარ-გარეთელ სავაჭრო ოპერაციების დარგში ორგანიზაციულობის მოსპობით.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის აბსოლიუტურად მიუღებელია. საბჭოთა მთავრობა მზად არის გერმანია - საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობა განიხილოს მისი მეტი ნაყოფიერების და რაციონალიზაციის მისაღწევად, მაგრამ მხოლოდ ჩვენი საგარეო ვაჭრობის პრინციპების შეურყევლობის ნიადაგზე. გერმანიისათვის საბჭოთა კავშირთან ნორმალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულების შენარჩუნება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შემდეგშიც ის იძულებული შეიქნება აღკვეთოს თავისი გადაჭარბებული მოთხოვნილებები ჩვენს მიმართ და ორივე ქვეყნისათვის მისაღებ პირობებში განაგრძოს ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობა.

* * *

ეს მით უფრო, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან ფართოვდება და გერმანიამ, თუ მისმა მმართველ წრეებმა გონიერება არ გამოიჩინეს შეიძლება თან და თან დაკარგოს ის პოზიციები, რომლებიც მას საბჭოთა ბაზარზე უკავია.

ინგლისიც კი, რომელიც სულ მუდამ იმის ცდაშია, რომ ეკონომიური ბოიკოტი განახორციელოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იძულებული ხდება აღებ - მიცემობა აწარმოოს ჩვენთან, მიუხედავად საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტისა.

ავიღოთ, მაგალითად, საბჭოთა ნავთი, რომლის გარშემო ბოლო დროს ამდენი განგაშია ატეხილი. დეტერდინგი ყოველი საშუალებით ებრძვის საბჭოთა ნავთს და ლამობს მის განდევნას მსოფლიო ბაზრიდან. მაგრამ აქედან არაფერი გამოუდის. რომ არ ვილაპარაკოთ სხვა ქვეყნებზე (საფრანგეთი, იტალია და სხვ), სადაც ჩვენ დიდი წარმატებით ვასაღებთ ნავთს, თვით ინგლისში, დეტერდინგის სამფლობელოში იზრდება მოთხოვნილება საბჭოთა ნავთზე, ასე რომ იქ ჩვენ გვიხდება ნავთის გამყიდველ ორგანიზაციის გაფართოება.

დეტერდინგის კამპანიის გაკოტრება ნათელსაყოფად, სხვათა შორის, მეტად დამახასიათებელია ქ. გულის საბჭოს წევრის და კონსერვატიულ პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის, გარი სმიტის განცხადება: „მე წავიკითხე ყველაფერი, რასაც საბჭოთა ნავთის შესახებ „დეილ მეილ“ სწერს და ამან ჩემზე არავითარი გავლენა არ მოახდინა. თუ მე, — როგორც საქმის კაცი, ასეულ ტონობით ვყიდულობ რუსეთის ხეტყეს, ვერ ვხედავ მიზეზებს, რატომ არ შეიძლება საბჭოთა ნავთის შესყიდვა“-ო. სმიტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ნავთი ჯდება 25-30 პროცენტით უფრო იაფად სხვა ქვეყნების ნავთთან შედარებით. სმიტის გამოსვლასთან დაკავშირებით გულის ტრამვაის მოძრაობის კომიტეტმა დაადგინა დასვას საკითხი საბჭოთა ნავთის შეძენის შესახებ, როცა საჭირო იქნება ნავთის ახალი პარტიის შესყიდვა.

ყველაფერი ეს უაღრესად საგულისხმოა. ჩვენ ეკონომიურად ვამარცხებთ დეტერდინგებს მათ სამშობლოშიც კი, სადაც იზრდება უკმაყოფილება მათი ანტისაბჭოთა კამპანიით, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს ინგლისის მრეწველობისა და მომხმარებელთათვის. მაგრამ დეტერდინგები და ბირკენჰედები ამას არ დაგიდევენ და წინანდებურად განაგრძობენ გაბოროტებულ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგ., ბირკენჰედმა (ინდოეთის საქმეთა მინისტრი) იმავე გულში ამას წინედ თავისი მორიგი ანტისაბჭოთა გამოლაშქრებით ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ამის გამო გაზ. „იუნინგ სტანდარდ“ სწერდა: „საბჭოთა კავშირი უსაზღვრო ეკონომიურ შესაძლებლობათა ქვეყანაა და მას შეუძლია ინგლისს უფრო მეტი ზიანი მიაყენოს, ვინემ რომელიმე სხვა სახელმწიფომ. მაგრამ ყველაფერი ეს ბირკენჰედმა ვერ გაითვალისწინა“.

რასაც „ვერ ითვალისწინებს“ ბირკენჰედი, ამას კარგად ხედავენ ინგლისის გონიერი წრეები და ფართე მასები. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტით ინგლისს გაცილებით მეტი ზარალი მოსდის, ვინემ საბჭოთა კავშირს. ასეთი ეკონომიური სინამდვილიდან ინგლისის ხალხი ბოლოს და ბოლოს შესაფერ დასკვნას გამოიყვანს.

* * *

ერთა ლიგასთან არსებობს შრომის საერთაშორისო ბიურო, რომელსაც ევალება შრომის საკითხების მოწესრიგება. რეფორმისტები, რომლებიც ამ ბიუროში შედიან, მუშათა მდგომარეობის „გაუმჯობესებას“ მისი საშუალებით ფიქრობენ. აქაც ტარდება კაპიტალთან სოციალ - გამცემელთა თანამშრომლობა, რომელიც საერთოთ მათი „მოღვაწეობის“ მთელ შინაარსს შეადგენს, თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, აშკარად მიმართული პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ.

ამ ბიუროს, სხვათა შორის, დააკისრეს რვა საათის სამუშაო დღის შესახებ ვაშინგტონის კონვენციის რატიფიკაციის მიღწევა, ამსტერდამის გაერთიანების ბიუროს ამას წინეთ შემდგარმა სხდომამ დაადგინა ამ მხრივ ნაბიჯები გადადგას.

უნდა ვიცოდეთ, რომ 1919 წ. ვაშინგტონში შესდგა კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც გამოიმუშავა შეთანხმება რვა საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ მრეწველობაში (ევროპის და არა ევროპის ქვეყნებში, გარდა ინდოეთის, სპარსეთის და სიამისა.) ეს იყო მსოფლიო ომის მომდევნო ხანა, როცა მუშათა მოძრაობა მკაფიოთ გამოხატულ რევოლიუციონურ ხასიათს ატარებდა, ხოლო კაპიტალიზმი ნგრევას განიცდიდა. ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა რეფორმისტებთან ერთად მაშინ აუცილებლად სცნეს 8 საათის სამუშაო დღის შემოღებასა და საერთოთ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე თვალთმაქცურად ლაპარაკის ჩამოგდება, რომ ამ გზით შეენელებიათ პროლეტარიატის რევოლიუციონური ენერგია.

ნამდვილად კი არავინ ფიქრობდა ვაშინგტონის შეთანხმების განხორციელებას. თვით ეს შეთანხმება ორჭოფულია, მასში ცალკე არის აღნიშნული, რომ ის კატეგორიულ ხასიათს არ ატარებს, — და მისი შემოღება უნდა მოხდეს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, ამასთან დაშვებულია მასში ცვლილებების შეტანაო. ამნაირად, შეთანხმება არსებითად მის ხელმომწერ ქვეყნებს არაფერს არ ავალდებულებდა. ამავე დროს საყურადღებოა ის არის, რომ ეს ქვეყნები დღემდე უარს ამბობენ ასეთი შეთანხმების დამტკიცებაზედაც კი. კერძოდ აღსანიშნავია, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა ერთა ლიგის შრომის ბიუროს სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში შესდგა, გადაჭრით უარი განაცხადა ვაშინგტონის კონვენციის რატიფიკაციაზე და მოითხოვა მისი გადასინჯვა.

ცნობილმა ფრანგმა რეფორმისტმა ჟუომ, რომელიც თავის დანიშნულებას ბურჟუაზიასთან თანამშრომლობაში ხედავს, „გაკვირვება და უკმაყოფილება“ გამოსთქვა ინგლისის ასეთი პოზიციის გამო, თითქო მოსალოდნელი ყოფილიყოს, რომ ინგლისის მმართველები სხვაგვარად მოიქცეოდენ. ჟუოს „აღშფოთება“ თავიდან ბოლომდე უტიფარი ფარისევლობაა. განა ჟუო და მისი კოლეგები ამსტერდამის თუ მეორე ინტერნაციონალიდან კაპიტალისტებთან ერთად არ ილაშქრებენ მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომელიც იბრძვის რვა საათის სამუშაო დღისათვის.

მუშათა კლასისათვის ერთხელ კიდევ აშკარა ხდება, რომ ის თავის მდგომარეობას გააუმჯობესებს არა ერთა ლიგის და სოციალ - გამცემლების დახმარებით, არამედ გადაჭრილი რევოლიუციონური ბრძოლის გზით. რაც შეეხება ჟოუსთანა მოღალატეთ, ისინი მიუხედავად ინგლისის მთავრობის მხრით „იმედის გაცრუებისა“, ცხადია ძველებურად განაგრძობენ ხოხვას კაპიტალისტების წინაშე.

* * *

უფერულად და შეერთებულ შტატების წინასწარ გეგმით მიმდინარე პან-ამერიკულ კონფერენციაში თითქო გამოცოცხლება შეიტანა მექსიკის დელეგაციამ. მან წამოაყენა პან-ამერიკულ კავშირის რეორგანიზაციის პროექტი.

უნდა ვიცოდეთ, რომ დღემდე თავმჯდომარის და გენერალურ დირექტორის (საქმეთა მმართველად) ადგილები ამ კავშირში, რომელშიაც გარდა შეერთებულ შტატებისა, შედის ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის 20 „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო, მუდამ უკავიათ შეერთებულ შტატების წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ამ სახელმწიფოების წარმომადგენლებად კავშირში, არსებულ წესის მიხედვით შეიძლება იყვნენ მარტო მათი ელჩები ვაშინგტონის მთავრობასთან. ამ ელჩებად კი ეს მთავრობა, ცხადია, მხოლოდ ისეთ პირებს ღებულობს, რომლებიც სავსებით მისი საგარეო პოლიტიკის მორჩილნი იქნებიან. ამგვარად, პან-ამერიკულ კავშირის ხელმძღვანელი ორგანო იმგვარადაა მოწყობილი, რომ უზრუნველყოფს კავშირში შეერთებულ შტატების სრულ ბატონობას.

ჩრდილოეთ- ამერიკის ასეთი დიქტატურის წინააღმდეგ გავანის კონფერენციაზე გამოვიდა მექსიკა. მისი ზემოდხსენებული პროექტი მოითხოვს, რომ პან-ამერიკულ კავშირის თავმჯდომარედ და გენერალურ დირექტორად რიგ-რიგობით ინიშნებოდენ მასში შემავალ ყველა წევრების წარმომადგენლები; რიგი უნდა წესდებოდეს სახელმწიფოთა სახელწოდების ანბანის მიხედვით. ამასთან, კავშირში ლათინურ ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებად უნდა იყვნენ არა უეჭველად მათი ვაშინგტონელი ელჩები, არამედ აღნიშნულ ქვეყნებს ამ შემთხვევაში უნდა მიეცეთ არჩევანის თავისუფლება.

ამ პროექტის წარდგენა მეტად არა სასიამოვნო სიურპრიზი იყო კულიჯისათვის. მან წინასწარ მიიღო ყოველი ზომა, რათა შეერთებულ შტატების წინააღმდეგ კონფერენციაზე რაიმე გამოსვლას არ ჰქონოდა ადგილი და, პირიქით, მიეღწია იმისათვის, რომ პან-ამერიკული კავშირი გადაექცია შეერთებულ შტატების იმპერიალიზმის უფრო ბრმა იარაღად ლათინურ ამერიკის სრული დამონებისათვის. კერძოდ გაფრთხილებულ იქნა მექსიკა. ვაშინგტონიდან მას მოუწოდებდენ „ლოიალურ“ პოზიციის დაჭერისკენ კონფერენციაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდენ ეკონომიურ-ფინანსიური რეპრესიების მიღებით და მასთან საერთოდ დამოკიდებულების გართულებით.

როგორც ჩანს, ყველაფერ ამან ვერ გასჭრა და მექსიკის დელეგაციამ გაბედა საკუთარი თვალსაზრისის წამოყენება, რაც იმავე დროს უეჭველად ლათინურ ამერიკის ყველა ქვეყნების შეხედულებას გამოხატავს, თუმცა ამ საკითხში მათ დელეგატებს კონფერენციაზე ვაშინგტონის შიშით პირში წყალი აქვთ დაგუბებული. მექსიკის გამოსვლა დამახასიათებელია. ის გამოხატულებაა შეერთებულ შტატების მტაცებლობის წინააღმდეგ მექსიკასა და ცენტრალურ-სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში არსებულ ღრმა აღშფოთებისა, რომლის გავლენის ქვეშ მოექცენ მექსიკის მმართველი წრეები. ამავე დროს მექსიკის ნაბიჯში უეჭველად მოსჩანს წაქეზება საფრანგეთის და კერძოდ ინგლისის მხრით, რომელნიც თითქო თვითონ ისინი არ სჩაგრავდენ სხვა ხალხებს, მოსთქვამენ შეერთებულ შტატების იმპერიალიზმზე და მასთან ბრძოლაში მხარს უჭერენ ლათინურ ამერიკას.

ეჭვს გარეშეა, აგრეთვე ლონდონიდან ნაკარნახევი სალვადორის დელეგატის წინადადება კონფერენციაზე, რომ პან-ამერიკულ კავშირის წევრებს შორის აღმოცენებული სადაო საკითხები და კონფლიქტები სავალდებულო გადასწყვეტილების გამოსატანად გადაეცეს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალსო. ამით ინგლისს სურდა რამოდენიმედ შეეზღუდა შტატების გავლენა ლათინურ ამერიკაში. ვაშინგტონმა ეს წინადადება უარყო და განაცხადა, რომ ამერიკის საქმეები მხოლოდ ამერიკამ უნდა მოაწესრიგოს და ევროპა მასში არ უნდა ერეოდესო. ასევე უარყოფილ იქნა მექსიკის პროექტიც პან-ამერიკულ კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობა და სტრუქტურა უცვლელი დარჩა და შეერთებულ შტატებმა იქ სავსებით შეინარჩუნეს თავისი დიქტატურა.

მაგრამ ბრძოლა ჩრდილოეთ- ამერიკის იმპერიალიზმთან ამით, რა თქმა უნდა, არ შეწყდება. მისი ცდა ლათინურ ამერიკის ქვეყნების სრული დამორჩილებისა და იქიდან ინგლისის განდევნისა ამ ქვეყნებს ხდის ნიუ-იორკელ „მზრუნველობის“ წინააღმდეგ აჯანყების და ინგლის-შეერთებულ შტატების შეხლა-შემოხლის მუდმივ ასპარეზად.

გ. კ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

რა გვიჩვენა დელეგატ ქალთა არჩევნებმა

დელეგატ-ქალების გადარჩევის მომზადებამ დაწყო დიდი ხნით ადრე გადარჩევის მომენტამდე, რამაც გეგმიანი ხასიათი მისცა გადარჩევას და ხელი შეუწყო მუშა და გლეხი ქალების უფრო ფართოდ ჩაბმას ამ კამპანიაში.

ღონისძიებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქალთა დელეგატების გადარჩევას, გამომუშავა საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებასთან მოწყობილმა საქართველოს ქალთა ორგანიზაციების თათბირმა.

ეს ღონისძიებები, დამტკიცებულია საქარ. კომპარტიის (ბ) ცეკას მიერ, შემდეგ განიხილეს მაზრკომებისა ოლქკომების პრეზიდიუმებში და მაზრკომების ქალთა განყოფილებებთან სპეციალურად მოწვეულ თათბირებზე.

მიუხედავად იმისა, რომ მზადება გადარჩევისათვის სწარმოებდა იმ დროს, როცა სამაზრო და საოლქო პარტიული კონფერენციები იმართებოდა — პარტორგანიზაციებმა ქალთა დელეგატების გადარჩევის საკითხებს მაინც საკმაო ყურადღება უთმობდნენ.

ეს მდგომარეობა განსაკუთრებით დამახასიათებელია ახალქალაქის მაზრისათვის, სადაც მუსლიმანური მოსახლეობა სჭარბობს.

გარდატეხას ქალზე შეხედულებებში ადგილი აქვს საქართველოს ყველა რაიონებში, იქამდე ნაცუმცირესობათა ჩამორჩენილ რაიონებშიაც კი.

სოფელ ეშერში (სოხუმის მაზრა) თურქი-კომუნისტი დელავერ ოღლიმ თავის სოფლიდან გამოიარა 10 ვერსი და დელეგატ ქალების გადარჩევის კრებაზე მოიყვანა 4 თურქი ქალი.

მეტ წილ მაზრებში ქალთა დელეგატების გადარჩევა ტარდებოდა გლეხი ქალების მასიურ კრებებზე.

ამ კრებებზე გამოსული გლეხი ქალები ლაპარაკობდნენ ქრთა-კერვის სკოლების მოწყობისა და სამეანო-წინდების ქსოვის საქმის შესწავლის აუცილებლობაზე. გლეხი ქალები მოითხოვდნენ აგრეთვე ბრძოლას წერა-კითხვის უცოდინარობასთან გლეხ ქალებს შორის, რაც მათ გათვითცნობიერებას მოწმობს.

გარდა ამისა გლეხი ქალები მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ დელეგატებსა და ამომრჩევლებს შორის არაა მჭიდრო კავშირი გადარჩევის შემდეგ მეორე გადარჩევამდე. გლეხი-ქალები საყვედურობდნენ აგრეთვე იმას, რომ ქმრები ხანდახან არ უშვებენ მათ კრებებზე, გარეშე პირებთან კი ამბობენ: „რატომ დელეგატ ქალების კრებებზე არ მიდიხარ"-ო?

დელეგატ ქალების გადარჩევა ქალაქებშიაც მასების დიდი აქტივობით ჩატარდა.

მარტო თბილისში დელეგატ ქალების გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო 11.626 კაცმა, აქედან 4.846 მამაკაცმა. შარშან კი გადარჩევაში მხოლოდ 6.469 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ეს ციფრები იმას მოწმობს, რომ დიდათ გაიზარდა ინტერესი ქალთა შორის მუშაობისადმი და ჩვენ კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სავსებით აღმოიფხვრა წინად არსებული შეხედულება, რომ „ქალთა შორის მუშაობა — თვით ქალების საქმეა"-ო.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქალაქებში პარტიულები უფრო სუსტ აქტივობას იჩენდნენ დელეგატ ქალების გადარჩევის კამპანიაში, ვიდრე სოფლად.

თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი თავის ანგარიშში დელეგატ ქალების გადარჩევის შესახებ აღნიშნავს, რომ „უჯრედებმა მთელი მუშაობა დელეგატ ქალების გადარჩევის საქმეში დააკისრეს ქალთა ორგანიზატორებს და მობილიზაციაქმნილ ამხანაგებს".

ამასთანავე, ზოგიერთი პარტიულები (თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი) ხსნიდნენ თავიანთი ცოლების კანდიდატურას, რასაც მიბაძეს ზოგიერთმა უპარტიოებმაც.

დელეგატ ქალების გადარჩევის შედეგი საქართველოში (აფხაზეთისა და 2 მაზრის გამოკლებით) ასეთია: შექმნილია დელეგატ ქალების 290 პუნქტი 8.853 დელეგატი ქალით.

ახლად არჩეულ დელეგატ ქალების შემადგენლობა ასეთია: ქართველი — 7.631, სომეხი — 630, რუსი — 438, ოსი — 284, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ნაცუმცირესობანი — 91 და სხვა ეროვნების — 112

ა. გ—ი.

კომკავშირში

ს. ა. ლ. კ. კ. აჭარისტანის ორგანიზაციის მე-11 კონფერენცია

28 იანვარს 8 საათზე, პროფკავშირთა კლუბში გაიხსნა ს.ა.ლ.კ.კ. აჭარისტანის ორგანიზაციის მე-11 კონფერენცია. კონფერენცია გახსნა აჭარკომის პ.-მგ. მდივანმა ამხ. ი. ფირცხალავამ. ამხ. ფირცხალავას სიტყვის დროს კონფერენციას ეწვია საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე და აჭარისტანის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. მ. გოგიბერიძე, რომელთაც კონფერენცია ოვაციებით შეხვდა.

კონფერენციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ამხ. ფილიპე მახარაძემ და მ. გოგიბერიძემ.

ს.კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კეკელიამ. აჭარისტანის საქართველო-საფაბრიკო სკოლის მოწაფეთა სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ჯანჯღავა.

მისალმებების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა საქართველოს ა.ლ.კ. კავშირის ცეკას პასუხისმგებელი მდივნის ამხ. გობეჩიას მოხსენება ცეკას მუშაობის შესახებ.

ამხ. გობეჩიას მოხსენებით დასრულდა პირველი სხდომა.

მეორე სხდომა შესდგა ამხ. მუხტაფა ჩახავას თავმჯდომარეობით. სხდომაზე გაიხსნა კამათი ცეკას მუშაობის გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. გოგოლაძემ, მეგრელიძემ, ხალვაშმა, მამალაძემ, ხვინგიამ, ტუღუშმა, აშრინკომ, ტოლმაჩოვმა, ხმალაშვილმა, დოლმაჯიანმა, ჯიბლაძემ, ხაფანოვმა, ლაფაჩმა და ხეროსენკოვმა.

კამათის შემდეგ ამხ. მ. გობეჩიამ ამომწურავი პასუხი გასცა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე და კამათში გამოსულ ორატორებს.

კომკავშირის ორგანიზაციის მესამე სხდომა შესდგა პროფკავშირთა კლუბში ამხ. ი. კოშლამაზაშვილის თავმჯდომარეობით. საკავშირო კომპარტიის მე-15-ე ყრილობის შედეგების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ფანცხავამ. ამხ. ფანცხავას მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ კომკავშირის აჭარკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფირცხალავამ.

როგორ მუშაობდა აჭარკომი

აჭარისტანის ორგანიზაციის ზრდას შემდეგი ციფრები ახასიათებს. ორგანიზაციაში ირიცხებოდა 869 წ. და 46 კანდიდატი—სულ 915 კაცი. მათგანთაგან 14 პროც. ქალიშვილებია. სოციალური მდგომარეობით: მუშები—41.5 პროც.; მოჯამაგირეები—4,4 პროც.; [illegible] 3.5 პროც.; ღარიბი გლეხები—39,5 პროც.; საშუალო გლეხები—7.6 პროცენტი, მოსამსახურენი და სხვა — 3.5 პროც. ეროვნული შემადგენლობიდან: ქართველი—75 პროც.; (აქედან აჭარლები—41.8 პროც.); რუსები—14.8 პროც.; სომხები—6 პროც. და სხვ.—5.2 პროც. მუშების მიღება განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში გაიზარდა.

აჭარისტანის ორგანიზაციაში ოპოზიცია არ იყო ძლიერი. დისკუსიის დროს აღმოჩნდა 10 ოპოზიციონერი, ე. ი. ორგანიზაციის 0,8 პროცენტი.

საბჭოებში კომკავშირელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. სოფლათ თემსაბჭოებში 1926 წელში იყო არჩეული 98 კომკავშირელი, 1927 წელში კი—131. ამჟამად საბჭოებში კომკავშირელები შეადგენენ 8 პროც.

ჯარის კომკავშირულ უჯრედების მუშაობა რამოდენიმეჯერ იყო გამოკვლეული და უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა კარგად არის დაყენებული. აჭარისტანის ორგანიზაციაში სულ ზოგ მერყევ ელემენტებზე სათანადო გავლენა 27 მუშური უჯრედია, აქედან 22 ქალაქისა. საანგარიშო წელში 11 სასკოლო უჯრედი იყო.

ამ უჯრედების შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია, რადგან უმრავლესობა მუშების გლეხების და ხელოსნების შვილებია.

უჯრედების ბიუროების გადარჩევა დაიწყო 1927 წ. ოქტომბერში და დასრულდა დეკემბერში. გადარჩევამ გამოარკვია მთელი რიგი დეფექტები. კომკავშირელთა აქტივობის ზრდა გამოიხატა საარჩევნო საანგარიშო კრებებზე დიდძალ შეკითხვების მიცემასა და კამათში მონაწილეობის მიღებაში. გადარჩევამ მდივნების შემადგენლობაში მოახდინა დადებითი ცვლილება. მუშები შეადგენენ 16 პროც.; გლეხი კი—30 პროც.

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას საანგარიშო წლის განმავლობაში ახასიათებს შემდეგი მომენტები:

1. პარტიაში და კომკავშირში ჩატარებულ დისკუსიის შედეგების სწორი შესწავლა და ამასთან დაკავშირებით კომკავშირში პოლიტიკურ მუშაობის გაძლიერება.

დისკუსიამ დიდმნიშვნელოვანი აღმოჩნდა კომკავშირისათვის. ჯგუფურ კრებებზე და ქალაქის ორგანიზაციის აქტივზე შესძლეთ ცეკას ხაზის დაწვრილებით გაშუქება, რამაც ზოგ მერყევ ელემენტებზე სათანადო გავლენა მოახდინა და გაამაგრა ისინი სწორ ლენინურ პოზიციაზე. დისკუსიის ჩატარების შემდეგ კომისიამ აწარმოვა მუშაობა ოპოზიციონერებში გახლეჩილ ელემენტებს შორის და სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს ნაწილმა უკვე აღიარა თავისი შეცდომები.

ანტირელიგიური მუშაობა აჭარისტანში ერთობ ძნელ პირობებში გვიხდება. იყო გადაწყვეტილება, რომ მაზრებში მოგვეწყო „უღმერთოთა წრეები", მაგრამ ეს დადგენილება ვერ განხორციელდა. მაშინ კომიტეტმა დააარსა ბუნებისმეტყველების წრეების ქსელი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამონაკლისს, ეს დადგენილება სისრულეში მოყვანილია. ამას გარდა სახელმძღვანელოებში ეწყობოდა საუბრები კოსმოგრაფიიდან, ბუნებისმეტყველებიდან და სხვ., რითაც უხსნით ახალგაზრდობას ქვეყნის წარმოშობის ისტორიას.

საანგარიშო წელში ეკონომმუშაობის დარგში ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი. უმუშევრობა საგრძნობლად გაიზარდა. ეს იხსნება იმით, რომ აჭარისტანში დაიწყო მთელი რიგი საამშენებლო სამუშაოები და ყველა კუთხიდან მოაწყდნენ ბათომს უმუშევრები. გაიზარდა უმუშევარ კომკავშირელთა რიცხვი. მათთვის დახმარების აღმოსაჩენათ დაარსდა უმუშევართა ფონდი.

პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობა საანგარიშო წლის განმავლობაში ერთობ რთული იყო. საანგარიშო წელში მოხდა ძველი ფორმების დაძლევა და მუშაობის ახალი ფორმების შემოღება. პიონერ ორგანიზაციების ეროვნული შემადგენლობა ასეთია (ქართველები—2.327 (აქედან აჭარლები—1.870), რუსები—931, ბერძნები—191, სომხები—194, სხვები—296. პიონერ-ორგანიზაციის მუშაობაში მტკივნეული საკითხი იყო მეკადრეობის სისტემის მოძველება. კოლექტივების მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭირო იყო ბავშვებისათვის თავისუფალ დროს გასართობების საკითხის მოწესრიგება. ამ მიზნისათვის ბავშვებისათვის ეწყობოდა კინო-სეანსები, დილები. პიონერები ეწევიან აგრეთვე ხელოსნობას, მოწყობილია მკინძავთა, ხელსაქმის, სამოდელო, სამხატვრო და სხვა წრეები. საზაფხულო მუშაობა დაიწყო სერიოზულ სამზადისის შემდეგ. საბანაკოთ გასვლა მოეწყო ქობულეთში და ბორჯომში.

როგორ უნდა ჩავატაროთ პრესის დღე

საკავშირო კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პრეზიდ. დადგენილებით 15 თებერვლიდან პირველ მარტამდე ამიერ-კავკ. ჩატარებული იქნება კომკავშირის პრესის ორკვირეული. კომკავშირის ორგანიზაციებმა კამპანიაში უნდა ჩააბან ახალგაზრდობის ფართე ფენები. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საკავშირო დღეები. საჭიროა უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად მკითხველთა და აბკორთა კონფერენციების მოწვევა და სხვა. პრესის ორკვირეულმა აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს პიონერთა ლიტერატურის, ბავშვთა სამკითხველოების და სახელმწიფო გამომცემლობის ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას. ბიბლიოთეკებმა უნდა მოაწყონ წიგნების, გაზეთების და ადგილობრივი და ცენტრალური ჟურნალების გამოფენები. კომკავშირის უჯრედები ორკვირეულისათვის უშვებენ კედლის გაზეთს, აწყობენ კონკურსს საუკეთესო უჯრედზე, რომელიც აწარმოებს მუშაობას პრესის გარშემო, აჯილდოვებენ საუკეთესო კედლის გაზეთებს და უჯრედის აბკორებს. კამპანიის ჩატარებაში განსაკუთრებული მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალგაზრდა მწერლებმა (კომკავშირელებმა და უპარტიოებმა), რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ კრიტიკის საღამოებში, კედლის გაზეთის გამოცემაში, ლიტერატურულ საღამოებში და სხ. ორკვირეულის განმავლობაში უნდა ხდებოდეს აგრეთვე გამოცდილების გაზიარება კომკავშირის გაზეთებსა და რესპუბლიკის ჟურნალებს შორის. მოსამზადებელი მუშაობა კამპანიის ჩასატარებლათ უნდა დაეკისროს კომკავშირის კომიტეტებს, უჯრედებს და გაზეთების რედაქციებს. საკავშირო კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი დააჯილდოებს კომკავშირის გაზეთებს, რომელნიც გააუმჯობესებენ გაზეთის ხარისხს, გაზრდიან მის ტირაჟს და სხ. ორკვირეულმა უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად არიან დაკმაყოფილებული ახალგაზრდობის ფართე ფენები კომკავშირის ლიტერატურით.

კომკავშირის უჯრედი უკან რჩება კომუჯრედს

(ნოქალაქევი, სენაკის მაზრა)

ნოქალაქევის თემის სოფ. ჯინას კომუჯრედი იზრდება, როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივადაც.

უჯრედი მუშაობს გეგმის მიხედვით. ღია კრებები ეწყობა ყოველ ორ კვირაში ერთხელ. უჯრედის კრებებს ესწრება უპარტიო გლეხობა.

უჯრედი ფართო კამპანიას ატარებს სხვადასხვა საკითხებზე, როგორიც მაგალითად არის არჩევნები სხვადასხვა ორგანიზაციაში და საქონლის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა. ის ხელმძღვანელობას უწევს ღარიბთა ჯგუფს, ქალთა სადელეგატო კრებას და სხვა. უჯრედი ატარებს აგრეთვე კამპანიას ტრადიციული უქმეების წინააღმდეგ.

უჯრედის ავტორიტეტი თანდათან იზრდება.

აქვე არსებობს კომკ. უჯრედი, რომლის მუშაობა არაა დამაკმაყოფილებელი. არ სწარმოებს ქალიშვილთა შორის მუშაობა. არც ერთი არ იწერს გაზეთს, არც კედლის გაზეთი გამოდის. პიონერთა კოლექტივის ხელმძღვანელობა სუსტია. კრებები თავის დროზე არ იმართება. ყველა ნაკლი სუსტ პარტხელმძღვანელობას მიეწერება.

ან. კირცხალია.



საქართველოს ცაკის მიმართვა

საქართველოს გლეხკაცობას და სოფლის ყველა მშრომელებს

თანახმად საკავშირო ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, ამა წლის 1 თებერვალს გამოვა ახალი ას მილიონიანი სესხი გლეხური მეურნეობის გაძლიერების და განვითარებისათვის გადადებულ თანხების გასაძლიერებლად.

საბჭოთა სახელმწიფოს აქვს თანხები, რომელიც ხმარდება განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განმტკიცებას და აყვავებას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და საჭიროა ახალ თანხების გამონახვა, რათა დაუყოვნებლივ იქნას დაკმაყოფილებული ის აუცილებელი საჭიროებანი, რომელიც აქვს ჩვენს სოფელს და იქ მცხოვრებ სოფლის მუშა-გლეხობას. მთავრობა ამ თანხების შესაგროვებლად მიმართავს გლეხობას, რათა მან სამი წლის ვადით ასესხოს ეს თანხა სახელმწიფოს. ყოველი გლეხი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ას მილიონიან საგლეხო სესხის გავრცელებაში, ე. ი. შეიძენს ამ სესხის ობლიგაციას, გარდა იმისა, რომ სამი წლის შემდეგ უკანვე დაიბრუნებს თავის ფულს, იღებს აგრეთვე ყოველწლიურად ექვს პროცენტს სარგებელს. ხოლო თუ მანამდე დასჭირდება ობლიგაციაში მიცემულ ფულის განაღდება, მას შეუძლია ყოველ წუთში მიიღოს ობლიგაციის ღირებულება სახელმწიფო ბანკში ან ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობაში. იმისთვის, რომ გლეხს გაუადვილდეს ობლიგაციის შეძენა, თითო ობლიგაცია, ღირებული 10 მან. გაყოფილია ოთხ ნაწილად, და თუ მიწის მშრომელი მოისურვებს მისთვის 2 მან. 50 კაპ. გაღება საძნელო აღარ იქნება. ამ ობლიგაციით გლეხს შეუძლია აგრეთვე გაისტუმროს სახელმწიფო გადასახადი ობლიგაციის ღირებულების ფარგლებში. გარდა ამ შეღავათებისა, ობლიგაციის შემძენელს სესხის ტირაჟის გათამაშების დროს შეიძლება შეხვდეს მოგება 25—1000 მანეთამდე.

რას უნდა მოხმარდეს ის ასი მილიონი, რომელსაც ახალი სესხის სახით აგროვებს საბჭოთა ხელისუფლება? მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას, საა.-სამეურ. იარაღების, ტრაქტორების ქარხნების აგებას, გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. გაუმჯობესებულ თესლის შეძენას გლეხებისთვის. მიწის გასანოყიერებელ მასალის შეძენას სოფლებისთვის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერებას, სარწყავი სისტემის მოწყობას და გაუმჯობესებას საქართველოში და მეზობელ რესპუბლიკებში. გარდა ამისა ნაწილი ფული მოხმარდება საავადმყოფოების, გზების და სკოლების აშენებას და გაუმჯობესებას, მექანიკურ წისქვილების მოწყობას და სხვა სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ საჭიროებებს.

საგლეხო ას მილიონიან სესხს წინ უსწრებდა ინდუსტრიალიზაციის სესხის გამოშვება, რომელიც ბრწყინვალედ ჩატარდა; მან მისცა ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას ორასი მილიონი მანეთი. ამ სესხის განაღდებაში მონაწილეობას იღებდნენ განსაკუთრებულად ქალაქის მუშები და მშრომელები.

ქალაქის მშრომელებმა ღირსეულად შეასრულეს თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე. ეხლა ჯერი სოფლის მუშა ხალხზეა.

ყოველ გლეხს, რომელიც შეიძენს ახალი სესხის ობლიგაციას უნდა ახსოვდეს, რომ გარდა იმ სარგებლიანობისა, რომელიც მოჰყვება ყოველი ობლიგაციის შეძენას, ის ამტკიცებს თავის ერთგულებას თავისივე ხელისუფლებისადმი და გვერდში უდგას მას ჭირშიაც და ლხინშიაც.

საგლეხო სესხის ჩატარების დროს ადგილი არ ექნება არავითარ ძალდატანებას. ეს სესხი დაამტკიცებს, რომ გლეხობას კარგად აქვს გარკვეული თავისი დანიშნულება და ის მზად არის ხელისუფლების პირველ მიმართვისთანავე ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობა. მან კარგად იცის, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება დიდათ ზრუნავს მშრომელთა კეთილდღეობისათვის და ის თანდათან გააუმჯობესებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მშრომელთა მდგომარეობას.

ახალი სესხის კარგად ჩატარების საქმეში უნდა ჩაებას სოფლის მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი და სხვა ინტელიგენტი მუშაკები. ეს მუშაობა ერთგვარი გამოცდაა სოფლის ინტელიგენციისა, რომელიც არ დაზოგავს თავის ენერგიას და დაუმტკიცებს ხელისუფლებას, რომ ის მზად არის ღირსეულად გამოიყენოს თავისი ცოდნა და სწორათ განუმარტოს გლეხობას სესხის მნიშვნელობა.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს საქართველოს სოფლის მშრომელებს და მოუწოდებს გააცხოველონ მუშაობა სესხის ჩასატარებლად.

საქართველოს არც ერთი გლეხი არ უნდა დარჩეს სესხის ობლიგაციის შეუძენელი.

ყველა სოფლის მშრომელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სესხის განაღდებაში. ყველა გლეხს უნდა ახსოვდეს, რომ ახალი საგლეხო სესხი მოხმარდება მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობას, რომლის განმტკიცება და აყვავება არის უმთავრესი მიზანი და მოვალეობა საბჭოთა ხელისუფლებისა.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ყველა სოფლის მშრომელი გამოეხმაურება მის მოწოდებას და სესხის განაღდების საქმეში გაამართლებს ცაკის ნდობას.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

პოლიტგანმანათლებელ ორგანოების მონაწილეობა სესხის გავრცელებაში

საქ. პოლიტგანათლების მთავარ მართველობამ ამ დღეებში პოლიტგანის სამაზრო ორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარი იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ ორგანოებმა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩატარებაში.

თანახმად ცირკულიარისა, მაზრპოლიტგანებს ევალება სესხის საგიტაციო მასალები თავის დროზე მიაწოდონ ქოხ-სამკითხველოებს, კლუბებს, სახალხო სახლებს და სხვა საპოლიტგანმანათლებლო ორგანოებს.

ქოხ-სამკითხველოებს თავის მხრივ ევალებათ მოიწვიონ საბჭოს წევრების და აქტივის საერთო კრება, გააცნონ გლეხობას სესხის მნიშვნელობა და ამოცანები და გააძლიერონ კამპანია სესხის რეალიზაციისათვის სოფლებში.

იმ მიზნით, რათა საჭირო ცნობების გლეხებისათვის მიწოდება რეგულიარულად ხდებოდეს, უნდა მოეწყოს საცნობარო მაგიდის ხელმძღვანელთა მორიგეობა. უნდა გამოიცეს აგრეთვე კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, სადაც გაშუქებული უნდა იქნეს: რას მოხმარდება თემისათვის გადადებული ათი პროცენტი, რა პირად სარგებლიანობას აძლევს სესხი გლეხსა და სხ. უნდა მოეწყოს აგრეთვე გამოძახება და იმ გლეხის გვარი უნდა გამოცხადდეს გაზეთში ვინც შეიძენს ობლიგაციას.

თეატრებში და სახალხო სახლებში უნდა დაიდგას ისეთი პიესები, რომლებიც გამოცემული არიან სესხის კამპანიასთან დაკავშირებით. წარმოდგენების გამართვამდე უნდა ჩატარდეს მოხსენებები: „სესხის მნიშვნელობა და მისი ამოცანები".

საქ. ცაკში

დახმარების მისაცემად

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ განკარგულება მისცა განყოფილების საპენსიო ნაწილის გამგეს—ქალაქ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ინვალიდებისათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად—ამ თვეში (თებერვალში) გადასცეს თბილისის ქვედა საპენსიო განყოფილებას—1.700 მან.

გლეხის სახლი ფოთში

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით—ფოთის გლეხკომმა დაადგინა—გახსნას ქალაქ ფოთში გლეხის სახლი.

საბჭოთა გამოფენა ბერლინში

ინტერესი საქართველოს მეაბრეშუმეობისადმი

ამას წინად აბრეშუმის ტრესტმა ბერლინიდან მიიღო ერთი გერმანელი მუშის რუდ. კანისის წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ გერმანელმა მუშებმა დიდის სიამოვნებით დავათვალიერეთ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად ბერლინში მოწყობილი „საბჭოთა აღმშენებლობის მიღწევათა გამოფენა". ამ გამოფენაზე განსაკუთრებით დაგვაინტერესა საქართველოს მეაბრეშუმეობის განყოფილებამ, რომელსაც მთელ გამოფენაზე ერთი პირველი ადგილთაგანი ეკავა. თქვენს ქვეყანაში მეაბრეშუმეობა ძალიან განვითარებული ყოფილა და ეს მით უფრო გვახარებს ჩვენ, რომ თქვენი სახელმწიფოს ბატონ-პატრონი ამჟამად მუშათა კლასია. გერმანიაში მეაბრეშუმეობა ეხლა იკიდებს ფეხს. იგი ხელში ქვს ჩაგდებული შეძლებული კლასების წარმომადგენლებს.

ჩვენ გერმანელ მუშათა ერთ ჯგუფს გვსურს დავაარსოთ მუშათა უჯრედები და ხელი მოვკიდოთ მეაბრეშუმეობას. ამიტომ გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაფერი მასალები და გაგვიწიოთ დახმარება თუ როგორ ან რანაირად დავიწყოთ ეს საქმე".

„საქართველოს ჩაი"-ში

ამხ. სუგაკისა და პოკროვსკის დაბრუნება ჩინეთ-იაპონიიდან

თბილისში დაბრუნდნენ საზ-ბა „საქართველოს ჩაის" თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სუგაკი და საზოგადოების აგრონომი პოკროვსკი, რომელნიც მივლინებულნი იყვნენ ჩინეთსა და იაპონიაში ჩინურ-იაპონურ ჩაის კულტურის შესასწავლად და ჩაის თესლის შესაძენად საქართველოს ახალი პლანტაციებისათვის.

ამხ. სუგაკის გადმოცემით, ჩაის თესლის დიდი რაოდენობით შეძენა ჩინეთში ვერ მოხერხდა, რადგან სუგაკისა და პოკროვსკის შანხაიში ჩასვლისთანავე, საბჭოთა საკონსულოზე თეთრგვარდიელების თავდასხმის გამო, ყველა საბჭოთა მოქალაქეებს წინადადება მიეცათ დაეტოვებიათ ჩინეთი. გარდა ამისა, შანხაის ბაზარზე გამოტანილ თესლის ღირსება დამაკმაყოფილებელი ვერ აღმოჩნდა.

შანხაიდან სუგაკი და პოკროვსკი გაემგზავრნენ იაპონიაში, სადაც ისინი კარგად მიიღეს, განსაკუთრებით იაპონიის ჩაის ცენტრალური ასოციაციის გამგეობამ, რომელმაც მათთვის მოაწყო საზეიმო ბანკეტი ჩაის კულტურის ცენტრში—ქალაქ შიზუოკაში. იაპონიის ჩაის კულტურა, რომელსაც 800 წლის ისტორია აქვს, სწრაფი ტემპით ვითარდება და ამჟამად იაპონიას ამერიკაში გააქვს წლიურად 25 მილიონი გირვანქა საკუთარი ჩაი. იაპონიაში კარგად არის დაყენებული ჩაის კულტურის საცდელი აგრონომიული საქმე. ერთი დესეტინა ჩაის პლანტაცია წლიურად ათჯერ მეტ ნაყოფს იძლევა, ვიდრე საქართველოში.

სუგაკმა და პოკროვსკიმ იაპონიიდან ჩამოიტანეს ჩაის ფოთლის შესახვევი მაკრატლები, რომელთა ხმარება იძლევა 18 კაპ. ეკონომიას თითოეულ გირვანქა ჩაიზე.

ამხ. სუგაკი აღნიშნავს, რომ ჰავითა და ნიადაგით შავი ზღვის ნაპირები, სადაც უმთავრესად გავრცელებულია ჩაის კულტურა, ძალიან გავს იაპონიის ჩაის რაიონებს.

საზ. „საქართველოს ჩაი"-ს განზრახული აქვს (და საამისოდ პრაქტიკული ნაბიჯიც არის გადადგმული), შეიძინოს ჩაის თესლის დიდი პარტია ახალი პლანტაციებისათვის.

საკურორტო სეზონის წინ

ბრძოლა ოთახებით სპეკულიაციასთან

საკურორტო სამმართველომ გადაწყვიტა ამ დღეებში შეუდგეს გასაქირავებელ ოთახების ტარიფის გამომუშავებას. ყველა გასაქირავებელი ოთახები საკურორტო ადგილებზე განაწილებული იქნება 8 კატეგორიათ. გასულ საკურორტო სეზონის განმავლობაში საკურორტო სამმართველომ გააქირავა 500 ოთახი მარტო კურორტ აბასთუმანში. წელს განზრახულია, რომ გარდა აბასთუმანისა ოთახები გაქირავდეს სხვა კურორტებზედაც.

მიღებულია ცნობები, რომ ზოგიერთ კურორტებზე კერძო მესაკუთრენი ბინებს უკვე აქირავებენ ყოველგვარი ტარიფების გარეშე. კერძო მესაკუთრენი უფრო მეტად აფასებენ ოთახებს, ვიდრე შარშან ზაფხულზე. ამიტომ მოსალოდნელია, რომ მომავალი საკურორტო სეზონის დროს ოთახების ფასები კერძო პირთა კუთვნილ სახლში გაიზრდება ერთი-ორად და სამად.

ოთახებით სპეკულიაციასთან საბრძოლველად გადაწყვეტილია მიმართონ ყველა სამაზრო აღმასკომებს, რომ მათ შეიმუშაონ მტკიცე საბინაო ტარიფები ადგილობრივი მნიშვნელობის საკურორტო ადგილებისათვის, ხოლო რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტებზე ამ საქმის მოგვარება მიენდობა ადგილობრივ საკურორტო მართველობებს მთავარ საკურორტო სამმართველოსთან შეთანხმებით და უკანასკნელის ხელმძღვანელობით.



ყოფილ წითელარმიელთა სამსახურში მოწყობა და შრომითი შეღავათები

შვებულ წითელარმიელებსა და უფროსთა შემადგენლობის შორის უმუშევრობის შესანელებლად და იმ კანონმდებლობითი ხასიათის შეღავათების განსახორციელებლად, რომელიც შვებულ წითელ არმიელებსა და უფროს შემადგენლობას ენიჭებათ შრომის დარგში, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს წინადადება მიეცათ წითელი არმიის ათი წლისთავისათვის გატარონ შემდეგი ღონისძიებები.

შრომის სახ. კომისარიატებმა შვებულ უფროსთა შემადგენლობის სამსახურში მოსაწყობად გამოყოფილი მთავრობის კომისიებთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა ჩაატარონ მუშაობა უფროსთა შემადგენლობის სამსახურში გასაწესრიგებლად თანახმად საბჭოთა კავშირის სახ. კ—მ. საბჭოს 1926 წლის სექტემბრის დადგენილებისა და საბჭ. კავშ. სახ. კომისარიატთან არსებულ ცენტრალური კომისიის ინსტრუქციისა. წინასწარ შრომის სახ. კომისარიატებმა მთავრობის კომისიებთან ერთად უნდა ამოიკვლიონ და შეამოწმონ შემდეგი ფაქტები. დაწესებულებების მიერ ნამდვილად შევსებულია თუ არა ის სამპროცენტიანი ჯავშანი, რომელიც მთავრობის განკარგულებით უფროსთა შემადგენლობისთვის იყო დანიშნული. იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი ადგილი აღმოჩნდა, ასეთ ადგილებზე პირველად გაგზავნილი უნდა იქნენ 1927 წელში გაშვებული უფროსთა შემადგენლობის პირები. იმ პირობით, თუ მთავრობის კომისიის მიერ აღრიცხული,—1926 წ. 14 სექტემბრის შემდეგ დემობილიზაცია ქმნილი სამხედრო პირები სავსებით განაწილებული არიან თანამდებობებზე.

უფროსთა შემადგენლობის ის პირები, რომელთა მოწყობა სამსახურში მთავრობის კომისიის მიერ ამ მოკლე ხანში მოსალოდნელი არ არის, დაუყოვნებლივ აღრიცხული უნდა იქნენ შ. ს. კ. საშუამავლო ბიუროების მიერ და სათანადო კვალიფიკაციის მუშა-ხელის პირველი მოთხოვნისთანავე გაგზავნილი სამუშაოებზე.

ამასთანავე შრ. სახ.-კომის ორგანოებს ევალებათ აწარმოონ სისტემატიური აღრიცხვა იმ ადგილებისა, რომელიც ამა თუ იმ პირის ჯარში გაწვევის შემდეგ თავისუფლდება, იმ მიზნით, რომ განთავისუფლებულ თანამდებობაზე გაგზავნილი იქნეს დემობილიზაციაქმნილი სამხედრო პირი.

შრომის სახ. კომისარიატის ორგანოები ვალდებული არიან მიიღონ ზომები, რომ შვებულ წითელ არმიელთა რაც შეიძლება მეტი პროცენტი მოჰყვეს შრომის კოლექტივებში და უმუშევართა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოწყობილ კურსებზე. გარდა ამისა, ქალაქებში და სოფლებში მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩაბმული უნდა იქნენ ყველა ის დემობილიზაციაქმნილი წითელ არმიელები, რომელთა მუდმივ სამუშაოებზე გაგზავნა ამ მოკლე ხანში მოსალოდნელი არ არის. დასასრულ, ნატურალური დახმარება (ღამის გასათევი ბინები, სასადილოები, უფასო და შეღავათიანი საუზმე-სასადილოები) პირველ რიგში უნდა მიეცეთ დემობილიზაციაქმნილ წითელ არმიელებს.

სპარსეთ-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენცია

გაიხსნება თბილისში

ახლო ხანში თბილისში გაიხსნება სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი პირდაპირი სამგზავრო და სატვირთო სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის.

სპარსეთის დელეგაცია უკვე ჩამოვიდა თბილისში. სპარსეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნულია სპარსეთის გენერალური კონსული თბილისში ბ. **მირ ალი-ხან-ზაქირი**. დელეგაციის წევრებია სპარსეთის გზათა სამინისტროს წარმომადგენლები ბ. **მირზა-იდ ალი-ხან-ნაზრი, ჯალილ-ხან ხაშიმ-ზადე** და **გულამ ალი-ხან მეიკადე**.

საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნულია საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინი, წევრებად— ა.-კ. რკინის გზათა გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ივანოვი და ა.-კ. რკინისგზების გამგეობის წევრი ტექნიკურ ნაწილში ამხ. ბერიძე.

სამზადისი შაქრის ქარხნის ასაგებათ

გორის ჭარხლიდან შაქრის დამზადების ცდები. — პროფ. შუმილოვის აზრი. — გორის ჭარხლიდან მიღებულია საუკეთესო ხარისხის ფხვნილი შაქარი და რაფინადი. — 800.000 ფ. ადგილობრივი შაქარი წლიურად.

გორის მაზრიდან დაბრუნდა პროფ. ქურდიანი, რომელიც მივლინებული იყო შაქრის ქარხნის ასაგებად წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოების ჩასატარებლად. მას დავალებული ჰქონდა აგრეთვე გამოერკვია, თუ სად უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ქარხნის აგება. ყველა შეგროვებული წინასწარი მასალები წარდგენილია ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილებაში, სადაც ამჟამად ამუშავებენ შაქრის ჭარხლის პლანტაციების გაშენების გეგმას და იკვლევენ, თუ სად უფრო ხელსაყრელი იქნება ქარხნის აგება.

გუშინ ს. მ. უ. ს.-ში ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან მიიღეს გორის ჭარხლიდან დამზადებული შაქრის ნიმუშები, რომლებსაც თან დართული აქვს შაქრის მრეწველობის სამეცნიერო-გამოკვლევითი კათედრის გამგის პროფ. შუმილოვის განმარტებები. თავის განმარტებაში პროფ. შუმილოვი ამბობს, რომ საქართველოდან გამოგზავნილი ჭარხალი წარმოადგენს საუკეთესო ნედლ მასალას, რომლიდანაც უფრო ადრე ხერხდება შაქრის მიღება, ვიდრე უკრაინის ან ყუბანის ჭარხლიდან. გარდა ამისა, შაქრის მიღების შემდეგ გამოირკვა, რომ გორის ჭარხლიდან დამზადებულ შაქარში შედის მავნე ნივთიერებათა ძალიან ცოტა რაოდენობა, რაც არ აღემატება 0.05 პროცენტს, მაშინ როცა უკრაინულ შაქარში მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (ამიაკი, სხვადასხვა სიმჟავეები, აზოტი და სხვ.) ორჯერ და სამჯერ მეტია.

პროფ. შუმილოვი ამასთანავე დასძენს, რომ გორის ჭარხლიდან დამზადებულია საუკეთესო ღირსების რაფინადი, რომელიც სხვა ქარხნების შაქრიდან განსხვავდება მკვრივი კრისტალობით და დიდი სიტკბოებით.

ს. მ. უ. ს.-თან არსებული შაქრის ქარხნის ასაგებ სამუშაოთა მოსამზადებელი კომისიის გადაწყვეტილებით ახალ შაქრის ქარხანაში წლიურად უნდა დამზადდეს 800.000 ფუთი შაქარი.

თათბირი ახალშენებათა კომიტეტში

გუშინ შესდგა ახალშენებათა კომიტეტის სხდომა, რომელზედაც დასმული იყო საკითხი ახალ ფაბრიკა-ქარხნების აღმშენებლობის ხუთ წლიანი საპერსპექტივო გეგმის შედგენის შესახებ. თათბირმა მოისმინა ახალშენებათა კომიტეტის უფროსის ინჟ. ა. კანდელაკის მოხსენება ახალ საამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საამშენებლო სამუშაოები ყველგან დამაკმაყოფილებლათ მიმდინარეობს. ამჟამად მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს კასპის ცემენტის ქარხნის ასაგებათ. დასრულებულია ქარხნის ასაგები ეკონომიური მხარის შესწავლა და სწარმოებს საამშენებლო მასალათა მიზიდვა ადგილზე.

წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა აგრეთვე გორის საკონსერვო ქარხნის და ხილსაშრობი ქარხნების ასაგებათ ახალციხეში, მეჯვრისხევში და შინდისში. ახლო ხანში დასრულდება საამშენებლო სამუშაოები რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნის ასაგებათ სოფ. ბეჟანოში (ჯავახეთი) და ს. სიონში (დუშ. მ.).

ინჟ. კოვაკინმა თათბირს გააცნო დიდუბის მაუდის ფაბრიკის სამუშაოთა მიმდინარეობა და აღნიშნა, რომ ფაბრიკის მოწყობილობათა დიდი რაოდენობა უკვე მიღებულია ადგილობრივ. ქარხანა მომხსენებლის აზრით სავსებით მზათ იქნება უახლოესი სამი წლის ბოლოს.

შემდეგ თათბირმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალით ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმები დამუშავებული უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში.

გატეხილი ქოთანი და გაბზარული ნიღაბი

(ირ. წერეთლის წიგნაკის გამო)

რომ ჩვენმა მკითხველმა თვალი გადაავლოს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრების უკანასკნელ 7 წლის პერიოდს უეჭველად შენიშნავს ერთს გარემოებას: მენშევიკების შესახებ მსჯელობა თანდათან სუსტდება და ხანგამოშვებით ისპობა კიდეც. აქვს თუ არა, თვით ამ ფაქტს მნიშვნელობა? რას გვეუბნება ეს ფაქტი?

პოლიტიკური პარტია რამდენადაც მძლავრია, იმდენადვე მასზე მეტს ვლაპარაკობთ და პირიქით. გაივლის კიდევ დრო და თანდათან დამდნარი მენშევიკური პარტიის შესახებ არა თუ ვილაპარაკებთ, არა თუ ის გარდაიქცევა ჩვენი ბრძოლის საგნად, არამედ სიმონ ხუნდაძესაც შეეზარება მენშევიკური არქივის ჩხრეკა, რომ თავის „სოციალიზმის ისტორიაში" განგვიმარტოს მენშევიკური სოციალიზმის სიმახინჯენი.

ამჟამად მენშევიკურ პარტიას ახასიათებს ის, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია ყველა პოლიტიკური მოვლენისათვის. რამდენადაც მძლავრია პარტია, იმდენადვე ის მთლიანია. მრავალრიცხოვან კომუნისტის პარტიაში ყრილობამ ოპოზიციის ელემენტი ერთმა ყრილობამვე მოსპო და ოპოზიციის ბელადებს ქედი მოახრევინა. ეს პოლიტიკური შედეგია მძლავრი პოლიტიკური პარტიისა. შეხედეთ ახლა მენშევიკურ პარტიას და თქვენ დაინახავთ მის ძლევამოსილებასაც. 1918 წლიდან, პარტია ფართო პოლიტიკურ მუშაობიდან და ბრძოლიდან თანდათან გადადის უმოქმედობის ნიადაგზე, თანდათან ჰკარგავს პოლიტიკური ბრძოლისათვის საჭირო ცოცხალ ძალებს და დროებით ჩერდება იმ სექტის მდგომარეობაში, რომელსაც სალიტერატურო კამპანია უკანასკნელ თავშესაფარად აქვს დასახული. რასაკვირველია, ეს სალიტერატურო კამპანიაც მთლიანად დაავადებულია და ის იხრჩობა შინაურ კინკლაობაში.

სწორედ ასეთს მდგომარეობაში არიან ამჟამად მენშევიკები. ეხლა მათ გამოსვლა თავისამტერეო საქმედ აქვთ გადაქცეული არა საერთო მოწინააღმდეგის პრობლემა, არამედ საშინაო საკითხები და ერთმანეთ შორის ბრძოლის პრობლემები. ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ მენშევიკების ხვალინდელ დღეს. ამჟამად ისინი ერთმანეთს გლეჯენ, ერთმანეთს აბახებენ, ერთმანეთს აკრიტიკებენ; ხოლო ამ ერთი-მეორეს ჭამას მოსდევს ერთით მეორეს დასუსტება და მაშინ, როცა საერთო პირობები პარტიას ისედაც მიაქანებენ უფსკრულისაკენ, ერთი მეორეს ჭამა ამ საერთო ბუნებრივ პროცესს აჩქარებს, რომ ბოლოს მიიღუქოს ის რედაქცია, რომლის ერთი კარიდან ერთი აზრი გამოდის და მეორე კარიდან კი მისი მოწინააღმდეგე აზრი.

სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო ის კამპანია და ბრძოლა, რომელიც ამჟამად გამართულია ნოე ჟორდანიას და ირაკლი წერეთლის შორის. მართალია უნდა ითქვას, ეს ბრძოლა მენშევიკურ პარტიის ამ ორ ლიდერს შორის რამოდენიმედ მოულოდნელი იყო. ქართველმა მკითხველებმა ძალიან კარგად იციან, რომ პარიზის მენშევიკურმა ჟურნალმა შეაჩვენა და გარიცხა მთელი რიგი პასუხისმგებელი წევრები მენშევიკებისა, რომელთა მხრებს წინად პარტია ეყრდნობოდა. ნიკო ელიავა, კოწია სულაქველიძე, ალფესი ხელაძე, ვანო კაჩუხაშვილი, დიომიდე თოფურიძე, პეტრე გელეიშვილი, ივ. გომართელი, და მრავალი სხვები მენშევიკებმა ტალახში ამოსვარეს. ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ თვით ემიგრაციის [illegible] ჯგუფში კიდევ თავს იჩენდა იმდენად დიდი წინააღმდეგობა და აზრთა სხვადასხვაობა, რომ ისინი თავიანთ წინააღმდეგობებით ვერ მოთავსდებოდნენ ერთსა და ჟურნალში და პარტიის ერთ უმთავრეს ბელადს ამისათვის დასჭირდებოდა პარტიის რედაქციიდან გასვლა და პარტიის წინააღმდეგ საგანგებო წიგნაკით გამოსვლა.

ვისაც ელემენტარული წარმოდგენა აქვს პოლიტიკურ მოვლენებზე მისთვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა პარტიის ერთი [illegible] იძულებულია პარტიის ხაზის წინააღმდეგ გამოვიდეს. ყველა ადვილად წარმოიდგენს იმ დიდ ერთმანეთისადმი უკმაყოფილებას, რომელიც გაჩენილა მენშევიკურ პარტიის სათავეში, როცა ლიდერი იძულებულია ცალკე წიგნაკით გამოვიდეს მეორე ლიდერის წინააღმდეგ.

უეჭველია ირაკლი წერეთლის ლაშქრობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ნურავინ იფიქროს, თითქოს ჩვენი წარმოდგენით ირ. წერეთლის მეცნიერული და პოლიტიკური სიმძიმე ესოდენ დიდი იყოს. ტყუილად არ უთქვამთ, რომ წერეთელი საუკეთესო წარმომადგენელია მხოლოდ უპრინციპო დიპლომატიისა, რომ მთელი მისი მოღვაწეობა კომპრომისებსა და შეურიგებელ აზრთა შერიგებაზე იყო აგებული. მთელი მისი ბრწყინვალება პოლიტიკური და დიპლომატიური დემაგოგიით ამოიწურება. მაგრამ წერეთელი მენშევიკური პარტიისათვის მაინც მეტად დიდი ძალაა, ის ამშვენებდა რუსეთის მთელს სოციალ-დემოკრატიასაც. აი ეს მენშევიკების ოქროპირი ამჟამად გამოვიდა და თავის მძიმე ქვასა სცემს ჟორდანია რამიშვილის ქოთანს, რომელიც ისედაც იყო გაბზარული. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ წერეთელი არის ტიპი კომპრომისების მაძიებელ ადამიანისა, სწორედ ის გაურბოდა შინაურ ალიაქოთის გარედ გამოტანას, ცდილობდა მუდამ არა მარტო მენშევიკების მთლიანობისათვის, ის ამ მთლიანობისათვის ვაჭრებსაც ჰკოცნიდა „მოსკოვის დემოკრატიულ თათბირზე".

რაშია დავა ჟორდანიასა და წერეთლის შორის? ჩვენთვის მთელი რიგი დავისა სრულიად არ არის საინტერესო. მაგრამ ალაგ-ალაგ მენშევიკების იდუმალ პოლიტიკას ნიღაბი აქვს ახდილი და ჩვენც სწორედ გახსნილ და გაბზარულ ნიღაბის სურათი გვაინტერესებს.

ირ. წერეთელმა გამოსცა შემდეგი წიგნაკი: „ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი", (1927 წ.. პარიზი). ნ. ჟორდანიამ სასწრაფოდ გასცა პასუხი „ბრძოლა"-ს № 26-ში, სადაც ის აცხადებს. „წერეთელი ცდილობს გაგვემიჯნოს ჩვენც"-ო.

რად ემიჯნება წერეთელი ჟორდანიას? რა არის წერეთლის წიგნაკში ჩვენთვის პირველ ყოვლისა საყურადღებო?

მათ შორის გამიჯვნა გამოიწვია რუსეთის რევოლიუციის ხასიათმა და ბოლშევიკებისადმი დამოკიდებულებამ. ამ ბრძოლაში ამოტივტივებულია საქართველოს საკითხიც, რომლისათვის ბრძოლის მეთოდებში წერეთელი და ჟორდანია ვერ შერიგებულან.

საგულისხმიეროა, რომ წერეთელსა და ჟორდანიას შორის დავა უკვე კაი ხანია დაწყებულა, მაგრამ ამ ბრძოლას ამდენ ხანს ორივე ლიდერი მალავდა. შემდეგში კი ბრძოლა ვეღარ მოთავსდა სათანადო ქურქელში, ფიალა გაივსო და ძველი მეგობრები ერთმანეთს დაეჯახნენ.

წერეთელი თავისი წიგნაკის შესავალში სწერს: „ბროშიურა გამოსაცემად მზად მქონდა, როცა ბოლშევიკებმა გამოაქვეყნეს „კომუნისტი"-ს 26 ივნისის ნომერში, მათ ხელში ჩავარდნილი ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის წერილები. იმ წერილებს მე წინად არ ვიცნობდი, მაგრამ მათში აღძრული საკითხები დიდ ხანია ჩვენი პარტიული დავის საგანს შეადგენს. ამიტომ არის, რომ ჩემი ბროშიურა თითქოს ამ წერილების პასუხს წარმოადგენს, თუმცა მათი წაკითხვის შემდეგ მისთვის ერთი სიტყვა არ მიმიმატებია".

აქედან ვხედავთ, რომ ჟორდანია და რამიშვილი აწარმოებენ პოლიტიკას ისე, რომ საპასუხისმგებლო დირექტივებს წერეთელს არც კი აცნობენ და ამ წერილების შინაარსს ის მხოლოდ „კომუნისტი"-დან იგებს. რას მოასწავებს ეს ფაქტი? აქ პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. წერეთელი კარგი ხანია გარიყულა მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობიდან, ამ უკანასკნელს ჩამოშორებია ერთი უმთავრესი და მეტად პასუხისმგებელი მენშევიკი.

სხვა მომენტებს შორის ჩვენთვის აღსანიშნავი შემდეგი გარემოებაა. მკითხველებს ძალიან კარგად მოეხსენებათ, რომ მენშევიკები გზის ყოველ შესახვევში უარყოფდნენ ბურჟუაზიულ მთავრობების და იმპერიალისტების დახმარებას თავიანთ საქმეებში, რომ ისინი არ ემყარებიან ბურჟუაზიის ჯალათებს. წერეთლის წიგნი სავსებით აშკარავებს სწორედ ამ საიდუმლობას, ე. ი. იმ ფაქტს, რომ მენშევიკები სწორედ ბურჟუაზიის ძალებზე ამყარებენ თავიანთ იმედებს და ადგებიან აშკარა ავანტიურის გზას. წერეთელი აშკარავებს, რომ ბურჟუაზიის სამხედრო ძალებზე დაყრდნობა სრულიად უიმედოა, ეს სახიფათოცაა მთელი რევოლიუციისათვის, ხოლო ბურჟუაზიის სამხედრო ძალაზე დაყრდნობა, ამ ძალის გაზვიადება ავრცელებს ყალბ ოცნებას და ამ ყალბს პოლიტიკაში იხვევა ხალხი, რომელიც შეიძლება გახდეს ავანტიურის მსხვერპლი.

ვის არ მოეხსენება, რომ 1924 წლის აგვისტოში მენშევიკებმა ერთხელ კიდეც გახვია ქართველი ხალხი ამ ავანტიურაში. მაშინ ბევრნი სცდილობდნენ ისე გაემართლებათ მენშევიკების გამოსვლა, რომ ავანტიურის სახელიც გამქრალიყო. მაგრამ რას ამბობდნენ მაშინ მენშევიკები? დავიწყოთ ეროვნულ ბრძოლა საქართველოში, აღვმართოთ აჯანყების დროშა და ამავე დროს ევროპის ჯარებიც დამხმარედ მოგვევლინებიანო. [illegible] და რამიშვილი ამ დებულების თეორიულ გამართლებას შეუდგნენ. სწორედ მაშინ, როცა ამ ტყუილებში ჟორდანია და რამიშვილი ხვევდა ქართველ ხალხს, ნამდვილად კი თვით მენშევიკების მეორე ნაწილისათვის სავსებით გამორკვეული იყო, რომ ეს ქადაგება უცხო ჯარების გამოყენებისა სავსებით ზღაპარი ყოფილა და მენშევიკების მთელი კამპანია ავანტიურისტული. ჩვენ, რასაკვირველია, აგვისტოშივე ვიცოდით შინაარსი მენშევიკების მოქმედების მთელი ავანტიურისა, მაგრამ საგულისხმიეროა ის, რომ ამას დღეს თვით მენშევიკებიც აღიარებენ. „ჩვენ,—სწერს წერეთელი,—სინამდვილე სწორედ უნდა გავითვალისწინოთ: ორივე მთავარი ძალა ევროპისა—ბურჟუაზია და პროლეტარიატი—ძალიან შორს არიან იმ ლტოლვილებისაგან, რომ საქართველოს უფლებები იარაღით დაიცვან". (გვ. 25).

როგორც ირ. წერეთლის წიგნაკიდან სჩანს ქართველ მენშევიკებს თვით მომენშევიკო ევროპის სოციალისტებიც აფრთხილებდნენ ავანტიურისტულ პოლიტიკის შესახებ. წერეთელი სწერს: „როგორც ჩვენი მეგობარი სოციალისტები, ისე ბურჟუაზიის ის მოღვაწეები, რომელნიც რაიმე მიზეზით საქართველოს ბედში ნამდვილ ინტერესს იჩენდნენ, ყოველთვის გვაფრთხილებდნენ, ევროპის რეალურ დახმარებაზე იმედებს ნუ აგებთო. და რომ ეს გაფრთხილება სწორედ გამოხატავდა ჩვენდამი განწყობილებას, ეს დამტკიცდა შემდეგ, როდესაც საბჭოთა მთავრობამ თავის ცნობა გადალახა. ამ კრიტიკულ დროს, - განაგრძობს წერეთელი,—არც ერთ მთავრობას, რომელმაც ჩვენ გვიცნო, დიპლომატიური პროტესტიც კი არ განუცხადებია უკვე ცნობილ სახელმწიფოს ერთ დაკვრით წაშლის გამო. და დღემდისაც არა თუ ჩვენი განთავისუფლების საკითხი აქტიურ დიპლომატიურ ბრძოლის საგნად არ გამხდარა, არამედ ჩვენი მთელი ზრუნვა იქით არის მიმართული, რომ ჩვენი იურიდიული უფლებები, მომხდარ ფაქტის გამო, ევროპის სახელმწიფოებმა არ გააუქმონ. თქვენ რომ „ბრძოლის" ზოგი წერილები წაიკითხოთ—ასკვნის წერეთელი,—ისეთ შთაბეჭდილებას მიიღებთ, რომ არა პირდაპირი სახით ჩვენთვის ასეთი (იარაღით) დახმარება მზადდება" (გვ. 21).

ირ. წერეთელი მენშევიკების მიერ იარაღის ჯღარუნს აშკარა ავანტიურისტულ პოლიტიკად სთვლის და ამ ავანტიურის შედეგად სახავს 1924 წლის აგვისტოს გამოსვლას. დაუგდეთ ყური: „ჩვენ პარტიას რომ გაეთვალისწინებია შეუფერებლობა სამხედრო მეთოდებით ბრძოლისა მთელ ჩვენ გარშემო არსებულ პირობებთან, მას რომ მთელი თავისი ძალები ხალხისათვის ამის ასახსნელად მიემართა,—ვინ იცის, იქნებ აეცდინა ხალხისათვის უიმედო პირობებში გამოსვლა, რომელსაც საქართველოს საუკეთესო ძალები იმსხვერპლა" (გვ. 27). ამგვარად აქ აშკარაა არის თვით მენშევიკების ბელადის მიერ განმარტებული აგვისტოს გამოსვლა. როგორც მენშევიკებისავე ავანტიურა შეიარაღების გატაცებით.

ეხლა აღარავის ეპარება იჭვი იმაში, რომ მენშევიკები მხოლოდღა ავანტიურით აპირობენ თავის მიზნის განხორციელებას. ნოე ჟორდანიას სავსებით დაკარგვია იმედი ჩვენი ხალხის საშუალებით რისიმე გაკეთებისა და ახლა ცდილობს თეორიული და ისტორიული საბუთები მონახოს იმის დასამტკიცებლად, რომ პატარა ერების განთავისუფლებისათვის მხოლოდ უცხო ძალების დახმარებაა საჭირო. „ბრძოლაში" ნ. ჟორდანია სწერს: „საზოგადოდ პატარა ერს არასოდეს არ მოუპოვებია თავისუფლება გარედან დაუხმარებლად და თუ საქართველო ასეთს დახმარებას ვერ მიიღებს, ის მართლა ვერ განთავისუფლდება". (№ 26, გვ. 16).

ირ. წერეთელს მხოლოდ მეორე ინტერნაციონალის დახმარების იმედი აქვს, მისი საშუალებით უნდა წარმოებულ იქმნას ხალხში აგიტაცია-პროპაგანდა, ნ. ჟორდანიას კი არ სწამს ეს საშუალება, ის ამბობს: „ინტერნაციონალის დახმარებაზე ავტორსავით (წერეთლისავით) გადაჭარბებული წარმოდგენა არ გვაქვს"-ო (იქვე). ამგვარად ნიღაბი სავსებით ჩამოხსნილია. ნ. ჟორდანიას დაკარგვია მეორე ინტერნაციონალის იმედი, მას აღარ აქვს ჩვენი ხალხის იმედი, მას მხოლოდ ევროპის ბურჟუაზიის იმედი-ღა აქვს.

ჩვენ არ გვინდა შევაფასოთ ნ. ჟორდანიას ეს პოლიტიკა. ვინ არ იცის რომ ჟორდანიას ამ ავანტიურისტულ პოლიტიკას ქართველ ხალხის არა თუ არც ერთი წრე, არც ერთი თავზე ხელ აღებული ადამიანიც არ გამოესარჩლება. ეს ძალიან კარგად ესმის ირ. წერეთელს, რომელიც ჩამოშორდა ნ. ჟორდანიას.

რა პოლიტიკის გაკეთება შეუძლია ჟორდანიას ბურჟუაზიის საშუალებით. რას მიაღწევს იგი ევროპის ბურჟუაზიის ხიშტებით? წერეთელმა კარგად იცის რომ, ბურჟუაზიის მომხრეობა არას გზით არ შეიძლება, თუ საამისო საკუთარი ინტერესი მას არ აქვს. „ევროპაში—ამბობს წერეთელი,—არც ერთი კითხვის სერიოზულად წამოყენება არ შეიძლება, თუ მას არ შეუკავშირდა ინტერესი რომელიმე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ წრისა". მაგრამ ბურჟუაზიისა და იმპერიალისტური ჯარის დახმარების აზრის წამოყენება შეუძლებელია მუშათა კლასის წინაშე. ეს სიმართლე ესმის თვით წერეთელსაც, იგი სწერს: „არის ერთი მოთხოვნა, რომელსაც ჩვენ მუშათა კლასს ვერასოდეს ვერ წაუყენებთ. ეს არის მოთხოვნა, რომ მან ჩვენი განთავისუფლებისათვის, ევროპის სამხედრო დახმარებას მხარი დაუჭიროს. საბჭოთა მთავრობის უკიდურესი მოწინააღმდეგენიც რუსეთთან ომის იდეას მთელი თავისი ძალით ებრძვიან".

როგორც ხედავთ, წერეთლის განმარტებით ნ. ჟორდანიას მთელი ახლანდელი პოლიტიკა სრულიადაც აღარ ეგუება თვით მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკას, ის აღარ ეგუება თვით „საბჭოთა მთავრობის უკიდურეს მოწინააღმდეგებსაც" კი და ამგვარად ჩვენ საქმე გვიხდება ვიქონიოთ მენშევიკების არა რაიმე პოლიტიკასთან, არამედ მხოლოდ ავანტიურასთან, რომელსაც წერეთლის თქმით არავითარი გასავალი არ აქვს ევროპაში.

მკითხველს მაინც არ უნდა ეგონოს, რომ ჟორდანიას მართლა არავინ ჰყავს. არა, მას ჰყავს მეგობრები, მაგრამ ესენი არიან ცხოვრებიდან გარიყულნი ის პირები, რომელნიც ავანტიურით იკვებებიან. განა არ არის «В плену у иллюзии»-ს ავტორი (პოტრესოვი) როსინანტზე შემსხდარი მეომარი, რომელსაც ნიკოლოზ მე-2 რუსეთიც მოსწონს, ოღონდ ნუ იქნებიან კომუნისტები? დიახ, ასეთი პირები არიან აქა-იქ. მაგრამ ვინ მივა ამ შავს საქმეში ჟორდანიასთან ქართველ ხალხიდან?

ამ ოთხიოდე თვის წინად ბერლინში ერთი გერმანული წიგნი გამოვიდა ვინმე K—ს სახელით,—„Mit oder gegen Moskau?"

ამ ყოვლად საძაგელ წიგნის ავტორი, ვფიქრობ, რომ K კი არა, დიდი მთავარი კირილე უნდა იყოს, რომელიც თავის მეუღლეს ევროპა-ამერიკის სატახტო ქალაქებში ასეირნებს, რომ გროშები შეაგროვოს რომანოვთა ტახტის აღსადგენად. ხსენებული წიგნი და მისი ავტორი არსებითად და შინაარსით ზედგამოჭრილი ჟორდანიას პოლიტიკისათვის. უკანასკნელს სხვა გამოსავალი არ დარჩენია, თუ არ მოუხმოს კირილეს და მის საშუალებით შეეცადოს თავისი გატეხილ ქოთნის აღდგენას...

გზა დაგვილოცნია!

თედო ღლონტი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების მუშაობა სოფლად უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ მათ დახმარება გაუწიონ კრედიტების მიწოდებით ღარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობის გაჯანსაღების საქმეს. მასთან ერთად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ გაცემული სესხი ნამდვილად ხმარდებოდეს თავის დანიშნულებას, სასოფლო მეურნეობის განვითარებას. არას შემთხვევაში გლეხობამ მიღებული სესხი არ უნდა დახარჯოს სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თუ ეს მოხდება, იმ შემთხვევაში კრედიტის მიმღებ გლეხს შემდეგში გაუძნელდება სესხის დაფარვა და ამით დაზარალდება როგორც საკრედიტო ამხანაგობანი, ისე გლეხობაც.

ამასთან ერთად საკრედიტო ამხანაგობებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კოლექტიურ მეურნეობათა სესხით დაკმაყოფილებას, რაც დღემდის სუსტად მიმდინარეობდა.

ამ გარემოებას და საკრედიტო ამხანაგობებში შემჩნეულ სხვა ნაკლულოვანებებს ყურადღება მიაქცია თელავის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა და ამას წინად თავის სხდომაზე მიუთითა თემკომებს, კომუჯრედებს და საკრედიტო ამხანაგობების გამგეობათა კომფრაქციებს შემდეგზე:

1) კრედიტები უმთავრესად ძირითადი უნდა იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა შექმნისა და განვითარებისაკენ; ამასთან ერთად მიღებულ იქნეს ზომები საწარმოო საქონლით მომარაგებისათვის და სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გასაღებისათვის.

2) კერძო მეურნეობათა კრედიტებით დაკმაყოფილების მხრივ სესხი უმთავრესად მიეცეთ ღარიბ და საშუალო მეურნეთ და არსებული შეცდომები სამომხმარებლო საქონლით მომარაგებაზე აღმოფხვრილ უნდა იქნას.

3) არ იქნეს დაშვებული ფასების გადიდება საწარმოო-სამეურნეო საქონელზე, პირიქით, ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სხვა ხარჯების შემცირებით აღებულ იქნას ხაზი საქონლის ფასების დაწევაზე.

4) უღარიბესთა ფონდი უნდა მოხმარდეს თავის დანიშნულებისამებრ და აღარ განმეორდეს წინეთ შემჩნეული შეცდომები.

5) თემკომებმა და კომუჯრედებმა საკრედიტო ამხანაგობებს ყოველდღიურ მუშაობაში უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა და მისცენ შესაფერი დირექტივები.

ყველა იმ ამხანაგებმა, რომლებიც საკრედიტო ამხანაგობების გამგეობებში მუშაობენ, მოვალენი არიან გაუწიონ ზემოხსენებულ მითითებებს და ამ ამხანაგობების მუშაობა წაიყვანონ ისეთი გზით, რომლითაც შესაძლებელი გახდება უფრო მეტი სარგებლიანობის მიღება მშრომელი გლეხობისათვის.

დაინტერესებული.

—:—

მეტი ყურადღება გლეხკომებს

დღეს სოფლად მრავალი ნებაყოფლობითი ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ არც ერთი მათგანი გლეხობაში არ სარგებლობს ისეთი პოპულარობით, როგორც გლეხკომი. მიუხედავად ამისა ადგილებზე ზოგიერთ გლეხკომების საქმიანობას მოეწევება ერთად თან სდევს მნიშვნელოვანი ნაკლიც.

ჩვენში დღესაც მოიპოვებიან ისეთი გლეხკომები, რომელთა შემოსავლის 40—50 პროცენტი დაშორებულია თავის პირდაპირი დანიშნულებას. ზოგან კი უფლების გადამეტებას აქვს ადგილი, რაც სცემს გლეხკომების ავტორიტეტს მოსახლეობის თვალში.

რით აიხსნება ყოველივე ეს? აუცილებლად სუსტი ხელმძღვანელობით.

რა გვმართებს ასეთ პირობებში?

ღარიბ და საშუალო გლეხობის მეტი 100 პროცენტით ჩაბმა გლეხკომების ყოველ დღიურ საქმიანობაში და ამ საქმიანობაზე სათანადო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა ადგილობრივ პარტიულ საბჭოთა ორგანოების მიერ. ამას გარდა აუცილებელია მათი ერთხელ და სამუდამოდ ორგანიზაციულათ ჩამოყალიბება—აგება ერთ მთლიან სისტემაზე, ყოველ შემთხვევაში წინ დაუხედავ ნაბიჯების გადადგმას გლეხკომების რეორგანიზაციის დარგში უნდა ვერიდოთ. ასეთები სათანადოთ შესწავლის და დამუშავების შემდეგ უნდა ხდებოდეს.

საჭირო და აუცილებელია გლეხკომების მიერ ქვრივ ობლებზე, წითელ არმიელთა და ომში დასახიჩრებულ ოჯახებზე ნივთიერი დახმარების გაწევა. გლეხკომებმა ხელი უნდა შეუწყონ გლეხობის ჩაბმას კოოპერატიულ მშენებლობაში და რაც მთავარია მიიღონ ყოველგვარი ღონისძიებანი კოლექტიურ მეურნეობათა გაფართოებისათვის.

ცხადია ყოველივე ამის გაკეთებას გლეხკომები ვერ შესძლებენ, თუ გაუმჯობესებული არ იქნა მათი ნივთიერი მხარე. აქ კი გლეხკომები დიდ ხელმოკლეობას განიცდიან. მათ შეუმცირდათ საშემოსავლო წყაროები. მაგალითად—საფონდო მიწები. რომელიც წინეთ გლეხკომებს ეკუთვნოდა ეხლა თემამასკომების ხელში გადასული. ეს მიწები გლეხკომებს დიდ დახმარებას უწევდნენ. რაც შეეხება ჩამორთმეულ და უპატრონოთ დარჩენილ ქონებას წევრთა საწევრო გადასახადს და სხვას— ისინი ძლიერ მცირე შემოსავალს იძლევიან.

ჩვენის აზრით, ასეთი საფონდო მიწები საჭიროა ისევ გლეხკომებს გადაეცეს. რითაც ხელს შეუწყობთ მათი მუშაობის გამოცოცხლებას და გაჯანსაღებას.

გოგა.

ჩვენი კოოპერატივის საქმიანობა
(წერილი ხონიდან)

გასული წლის საზოგადო კრების მიერ დამტკიცებული მუშაობის გეგმა და მიცემული დავალებანი ხონის „ეპოს" გამგეობამ მთლიანად განახორციელა და მათი მუშაობა მიმდინარე კოოპერატივის წევრთა კრების მიერ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ღარიბ გლეხობის ხარჯზე გაძლიერებული, წევრთა რიცხვი და პაიც, მაგ.: გასულ წელს იყო 4.408 წევრი—12.271 მ. 92 კ. პაით, წელს კი არის 5679 წ—მდე და 17.403 მ. 97 კ. საპაიო თანხით. მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირება წელს უდრის 68 პროც. გასულ წელს იყო 52 პროც. ამასთანავე აღსანიშნავია ქალთა რიცხვის გადიდება კოოპერაციაში. უღარიბესთა ფონდით 978 წევრია შეყვანილი კოოპერაციაში. წევრთა მისაზიდათ „ეპოს" მიერ სხვადასხვა ზომები ყოფილა მიღებული, როგორიც არის: დივიდენდების დარიგება, საპაიო მარკების შემოღება, კოოპერატივის წევრებზე საქონლის ფასდაკლებით გაცემა [illegible] აგრეთვე ბაზარზე ძნელად საშოვარი პირველ მოთხოვნილების საგნების, მხოლოდ წევრებზე გაყიდვით და სხვა. აგრეთვე თუ დღემდე კულტურულ საქმიანობისათვის იდებოდა თანხები და მისი მოხმარება სათანადოთ არ ხდებოდა. ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. კულტურულ დარგში მომუშავეთ მოწვეულ იქნა ლექტორი და თემებში ჩამოყალიბდ და წრეები, რაზედაც დაიხარჯა—3,130 მან. ამასთანავე გახსნილ იქნა განყოფილებებიც. მაგალითად გასულ წელს რიონში იყო 25 განყ. ეხლა არის 30 განყ. საქონელზე ფასდაკლებაც ჩატარდა 11 პროც. ზედნადები ხარჯებიც საქონელზე ნორმალურია—11 პროც.

გასულ წელს საქონლის ბრუნვა უდრიდა —792.320 მ. წელს კი აღწევს 1 მილიონ მანეთამდე. ხარჯების შემცირებაც გასულ წელთან შედარებით მოხდა 1,1 პროც. და ის უდრის 94.569 მ. „ეპოს" საკუთარი თანხა აქვს —154.485 მ. პროცენტულად საკუთარ თანხაზე ნასესხი მოდის—76 პროც. საანგარიშო წელი დასრულდა 26.234 მ. მოგებით, გასულ წელს კი მოგება უდრიდა 50.000 მანეთს.

ალ. ფაღავა.

წერილებიდან

მისაბაძი მაგალითი
ს. ენისელი, თელავის მაზრა

სოფ. ენისელის სასოფლო-სამეურნეო სკოლას თბ. აღმასკომის კომუნალურ ქვეგანყოფილებამ უფასოდ დაუთმო დინამო-მანქანა და მით ხელი შეუწყო სკოლის საჭიროების დაკმაყოფილებას. სკოლის პედაგოგიური საბჭო მადლობას უძღვნის კომუნალურ ქვე-განყოფილებას.

მასწ. შ. დ—ლი.

დამთავრება არ ეღირსა
ს. კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაწყებულია გზის შეკეთება. ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ გამოიცვალა თემამასკომის თავმჯდომარე. მაგრამ გზის შეკეთების დასრულებას ჯერაც არაფერი ეშველა. საინტერესოა ვიცოდეთ, თემამასკომი როდისმე შესძლებს ამ გზის შეკეთების დამთავრებას?

სასარგებლო საქმე
ყაზბეგი, დუშეთის მაზრა

28 იანვარს მთიულთა კულტკომისიის ყაზბეგის სექციამ მოაწყო წარმოდგენა, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. შემოსავალი იყო 450 მანეთამდე. ეს თანხა მოხმარდება თემის რომელიმე კულტურულ საჭიროებას.

საჭიროა კულტსექციამ ხშირად მოაწყოს ასეთი წარმოდგენები.

ვ. შადური.

დროზე მოაგვარეთ ეს საქმე
ქ. ონი რაჭის მაზრა

ქ. ონი სამაზრო ცენტრს წარმოადგენს. ძირითადი მუშა მოსამსახურეთა რიცხვი 300-მდე აღწევს. მცხოვრებნი აუტანელი გაჭირვებას განიცდიან აბანოს უქონლობის გამო, განსაკუთრებით ზამთრობით.

საჭიროა აღმასკომმა დროზე მიიღოს ზომები აბანოს მოსაწყობად.

დიკარელი

სოფლის ქრონიკა

— ტელეფონი. რაჭის აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. ნაქალაქევიდან ონამდე გაიყვანოს ტელეფონის ხაზი.

— მალარია. რაჭის აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. ონჭევში მოაწყოს სამალარიო პუნქტი

—სკოლა. ჯვარის თემში (ზუგდიდის მაზრა) გაიხსნა სკოლა.

— ფურნე. ოზურგეთის აღმასკომმა მოაწყო ახალი ფურნე რომელიც ხურდება მექანიკურად.

— ჭაობების ამოშრობა. წელს დამთავრდება სოხუმის რაიონში ჭაობების ამოშრობა.

— წყალსადენი. სოფ. შინდისში წყალსადენის გასაყვანად თბილისის აღმასკომმა გადასდო, 1.000 მანეთი.

გზა. ყაზბეგის თემამასკომის სოფ. ართხმოში გაიყვანა საურმე გზა.

— ტყის დაცვა. მლეთის (დუშეთის მაზრა) სატყეოების დასაცავად გადიდებული იქნა ტყის მცველთა რიცხვი.

— ელსადგური. ყაზბეგში გაზაფხულზე დაიწყება ჰიდრო-ელსადგურის აგება.

მუშათა ცხოვრება

მივიღოთ მონაწილეობა

მუშურ - გლეხურ წითელი არმიის 10 წლისთავი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა დღესასწაულია. საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე უნდა გაეცნოს პროლეტარიატის დიქტატურის შეიარაღებული ძალის წითელი არმიის გმირული ბრძოლის ისტორიას. ყველას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმაზე, თუ როგორ მძიმე პირობებში იქმნებოდა და მტკიცდებოდა წითელი არმიის ორგანიზაცია. კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა კლასის მასწავლებელ ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით. ამიტომ წითელ არმიის 10 წლისთავის ჩატარებაში, მუშათა კლუბებმა პირველი ადგილი უნდა დაიკავონ.

კლუბებში უნდა მოეწყოს მოგონებები წითელი არმიის წარსულ ბრძოლებზე, დათვალიერებულ უნდა იქნეს კლუბების ორგანიზაციებისა და თავდაცვა - ავიაქიმის უჯრედების სამხედრო მუშაობა და სხვა. საზოგადოებრივი აზრი დღესასწაულისათვის წინასწარ უნდა იქნეს მომზადებული, რისთვისაც საჭიროა ფართეთ განვუმარტოთ მუშებს დღესასწაულის მნიშვნელობა კედლის გაზეთების, მხატვრული პლაკატების, კრებების და სხვა საშუალებებით.

საღამოებზე სასურველი და მიზანშეწონილია სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებანი. დიაპოზიტივების დემონსტრაცია სამოქალაქო ომის თემაზე; წითელ არმიაზე მხატვრულ მოთხრობათა ნაწყვეტების კითხვა და სხვა.

ამ მუშაობის შესასრულებლად საჭიროა მუშათა კლუბები დაუკავშირდნენ სამხედრო ორგანიზაციებს. საჭიროა აგრეთვე მუშების ექსკურსიების მოწყობა სამხედრო ნაწილებში და წითელ არმიელების ექსკურსიების მოწყობა ფაბრიკა - ქარხნებში. ასეთი საშუალებით ჩვენ შევსძლებთ წითელ არმიის ათი წლისთავის ღირსეულად ჩატარებას.

დ. ლომიძე.

უთავბოლო ხარჯები
(რკინის გზის სატყეო განყოფილება)

რკინის გზის სატყეო განყოფილებამ თბილისიდან მოქ. გ. კალანდია გადაიყვანა გომში, ბუხჰალტერის თანამდებობაზე, რისთვისაც მისცეს გადასაყვანი. რამოდენიმე დღის შემდეგ კალანდია გადაიყვანეს სადგ. წნორის წყალზე, მესამე უბანში ბუხჰალტერ ახვლედიანის ადგილზე და მისცეს კიდევ გადასაყვანი ფული. ამ თანამდებობაზე კალანდიამ ფაქტიურად იმსახურა ერთი კვირა წნორის წყალზე და ხუთმეტი დღე მოანდომა თბილისში სიარულს, და ახალი სამსახურის ძებნას. 24 დღის შემდეგ დაანება სამსახურს თავი და წავიდა. გასავლელი და ჯამაგირი მთლად მიიღო.

ისე, რომ კალანდიამ ჯამაგირების გარდა, უბრალოდ გადასვლაზე ოთხი თვის განმავლობაში მიიღო 500 მანეთი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოქ. ახვლედიანი, რომელიც მოხსნეს სამსახურიდან იმიტომ, რომ ვითომ ბუხჰალტერი უბანს არ ესაჭიროებოდა, არის დათხოვნილი წითელი არმიელი.

აი კიდევ მეორე მაგალითი სატყეო განყოფილების უგეგმო საქმიანობისა: საჭილაოდან თბილისში გადაიყვანეს მოქ. ქელბაქიანი. ერთი კვირის შემდეგ გადაიყვანეს სადგურ. წნორის წყალზე, რისთვისაც მიიღო გადასასვლელი საჭილაოდან თბილისამდე ცალკე და წ. წყლამდე ცალკე.

ნუ თუ არ შეეძლო ამ. კავ. რკინის გზის ხე-ტყის დამამუშავებელ განყოფილების უფროსს, ასეთი უთავბოლო ხარჯები თავიდან აეცილებინა?

დროა მოეღოს ბოლო ასეთ დაუდევრობას და სახაზინო ფულების უთავბოლო ხარჯვას.

მუშ. შოვი

ზედმეტი განყოფილება
(მთ. სახელოსნო)

რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, საწარმოო თათბირების წარმოშობისთანავე გაჩნდნენ ისეთი სპეცები რომლებმაც მთავარ სახელოსნოს უფროსთან შეთანხმებით შეიმუშავეს გეგმა, ახალი, ე. წ. საწარმოო ანგარანის გახსნის შესახებ. სპეცების აზრით ეს ანგარანი იმისათვის არის საჭირო, რომ ყოველივე საკითხი, რასაც დაადგენს მთავარ სახელოსნოს ცენტრალური საწარმოო ბიურო, ამ ანგარანმა უნდა გამოიკვლიოს და დაამუშაოს.

ჩვენის აზრით კი ამ სრულიად უმნიშვნელო საქმისთვის არ იყო საჭირო ასეთი ორგანიზაციის დაარსება და „ნაჩალნიკთა" შტატის გაბერვა. ამ საქმეს ადვილად შეასრულებდა ისევ ტექნიკური ანგარანი. ფაქტიურად საწარმოო განყოფილება იმავე აკეთებს, რაც პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ტექნიკურ განყოფილებისას. თუ ეს ასეა მაშ რაღა საჭირო იყო სპეციალური განყოფილების გახსნა?

საწარმოო თათბირმა უნდა განიხილოს ეს საკითხი და ისე, როგორც სხვა დარგში, აქაც უნდა შეამციროს ხარჯები ასეთ ზედმეტი განყოფილებების გაუქმებით და საქმის გამარტივებით.

№ 8.

მუშკორთა წერილებიდან

ჩვენც მოგვეცით სესხი. შრომის ინვალიდები, რომლებიც ვიმყოფებით სოცდაზღვევის კომიტეტის რიგზე, მოკლებული ვართ მუშკოოპიდან სესხის მიღების საშუალებასა და სხვა შეღავათებს. სოცდაზღვევის კომიტეტმა უნდა მიმართოს პროფკავშირებს და ჩვენც მაგვაღებინოს სესხი მუშკოოპიდან.

რაჭველი ვანო.

მუშკოოპის რწმუნებულებად. ფეხსაცმელების ქარხნის მუშკოოპის წევრთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ. გამგეობის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად და გამოჰყო ახალი რწმუნებულები.

ლ—ძე.

ლოთი მუშა. სად. კასპის მუშას, ბეს. რიონიშვილს ფხიზელი თავის დღეში ვერ ნახავთ. ის მუშაობის დროსაც კი ზის სამიკიტნოში და ილეშება ღვინით. ადგილკომო, გამოასწორე მოქ. რიონიშვილი.

მნახველი.

როდის შეასრულებთ. კოლხელშეკრულების თანახმად ტრამვაის პირველი ქალაქის ამბულატორია უნდა გადატანილიყო ახალ ბინაზე იანვრის ბოლო რიცხვებში. ამბულატორიის მუშა-მოსამსახურენი მოუთმენლად მოელიან ამ საქმის მოწესრიგებას, რომ სიცივეს და წვალებას როგორმე თავი დააღწიონ. ტრამვაის დირექცია კი საქმეს აჭიანურებს და პირობას არ ასრულებს.

რას აპირებს ტრამვაის დირექცია. გვიპასუხეთ.

მ. მატრონაშვილი.

ჩვენს მუშკორებს

— ლ. ბუნდის. (მარელისი) თქვენი წერილი მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ფაბრიკის ადმინისტრაციისა და ფაბკომის პროტექციონიზმის შესახებ დაუსაბუთებელია. წერილში არ არის ნათქვამი რომელი ვაჭრის შვილი მიიღეს სამუშაოზე და კომკავშირელს კი უარი უთხრეს. არ დაიბეჭდება.

— ჩილუნგს. ლექსი არ გამოგვადგა. არ დაიბეჭდება.

— ბოდბელს. თქვენ მიერ გადმოგზავნილი ადგილკომის კონფერენციის ოქმი და წერილი, სათაურით: „დაწყობას დამტკიცება უნდა" გადაეცა გაზ. „მუშას" რედაქციას.

— ზაურს. ლექსი არ გამოგვადგა. არ დაიბეჭდება.

— დ. ვემელს. „შეკითხვა ერკოოპის გამგეობას" არ არის საგაზეთო მასალა. არ წავა.

— მიშას მეზობელს. თქვენი წერილი „დოსტაქარია თუ ყასაბი" გადაეცა რკ. გზის ჯანმრთელობის სამმართველოს. შედეგს გაცნობებთ.

ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს კომიტეტის მეოთხე პლენუმი

გუშინ, საღამოს გაიხსნა ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს კომიტეტის მეოთხე პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები; კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება, სალაროს ბიუჯეტის და ხარჯთაღრიცხვის განხილვა-დამტკიცება, საექიმო დახმარების საქმე, სალაროების აპარატის რაციონალიზაცია და ადგილების საჭიროებათა კითხვები.

პლენუმის პირველ სხდომაზე სალაროს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ნ. დიკამ მოხსენება გააკეთა სალაროს პრეზიდიუმის საქმიანობაზე 1926—27 წელში.

სალაროს მუშაობა

მომხსენებელი ცალ-ცალკე შეეხო სალაროს თითოეულ დარგის მუშაობას.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სალაროს მუშაობა უკანასკნელ წლების და განსაკუთრებით საანგარიშო წლის განმავლობაში [illegible] გაცხოველდა.

საანგარიშო პერიოდში სანატორიუმებში გაიგზავნა—750 და დასასვენებელ სახლებში —1660 რკინისგზელი. მიმდინარე წელს ეს რიცხვი უფრო გაიზრდება: სანატორიუმებში გაიგზავნება 821 და დასასვენებელ სახლებში —1751 რკინისგზელი. რკინისგზელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში აღსანიშნავია ლიბანის სანატორიუმის აშენება, სადაც ამჟამად იმყოფება—135 ავადმყოფი. რკინისგზელების დასვენების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას აძნელებს შესაფერ დასასვენებელ სახლის უქონლობა. ახლა ამ მხრივაც არის გადადგმული ნაბიჯი და სალარო ლიბანშივე აშენებს ერთიან დასასვენებელ სახლს ა.-კ. რკინისგზელებისათვის.

შეეხო რა პენსიონერების უზრუნველყოფის საკითხს, მომხსენებელმა განაცხადა, რომ სალაროს კმაყოფაზე ირიცხება სულ 1.557 პენსიონერი-რკინისგზელი, მათი ოჯახის წევრებთან ერთად—კი სულ 4.100 პენსიონერი. თითოეულ პენსიონერზე საშუალოდ თვიურად გაცემული დახმარება უდრის 29 მანეთს. სალაროს ფინანსიური მდგომარეობა, როგორც მოხსენებიდან ჩანს, ასეთია: წინა წლებში სალაროს საერთო შემოსავალიდან, დახმარებების გაცემის შემდეგ რჩებოდა კიდევ თანხები. ეხლა კი მას თანხები აკლდება. ეს აიხსნება დახმარების გადიდებით. სალაროში თვიურად ანარიცხების სახით შემოდის 430000 მან. მისი ხარჯთაღრიცხვა 1927—28 წლისათვის გამოანგარიშებულია 188.650 მანეთის ოდენობით.

პირველი სხდომა დამთავრდა მოხსენების გარშემო გამართულ კამათით და მომხსენებლის საბოლოო სიტყვით.

გახურებული შანთით

კაცი „ლევერით"

გურიაში სხვათა შორის არის მომხიბლავი და პოეტური სახელწოდების სოფელი. ესაა „პატარა ნაკადული". ზაფხულობით, როცა კაცს ჩრდილშიაც კი სიცხისაგან ოფლში იღვართქვება და წყურვილით თითქმის მუდამ ნერწყვგამშრალია, პატარა ნაკადული ანდამატივით მიიზიდავს ყველას. ასე კარგია პატარა ნაკადული. აქ ცხოვრობს ამასთანავე შეგნებული და მოწინავე გლეხები. მაგრამ რას იზამ, ტყუილად არ ამბობს ანდაზა, თითო მახინჯი ყოველ ოჯახში გამოერევაო.

ასეთ მახინჯს აქ წარმოადგენს კირილე ახალაძე. წარსული სანაქებო აქვს კირილეს. ძველად ის მედავითნე გახლდათ. ცოცხალს და მკვდარს მღვდელთან ერთად ზურგზე აჯდა. მოხარშული ბეჭები და კვერები გოდრით იდგა მისას. არც სთესდა, არც ხნავდა. ცხოვრობდა, ვითარცა სკვინჩა ჩიტი. მაგრამ უმტყუნა დავითნის მადლმა კირილეს. დადგა დრო, როცა მედავითნეობა კი არა. ეპისკოპოზობაც კი ვირის ხედნაზე უფრო მოსაწყენ და უსარგო საქმეთ გადაიქცა.

კირილემაც მალე შეატრიალა კუდი. იმდენი მოახერხა, რომ ზოგიერთ ადგილობრივ მუშაკების ნდობა მოიხვეჭა, წელზე „ლევერი" ჩამოიკიდა და კვლავ ხმა მაღლა დაიწყო თემში ლაპარაკი. წინად ის სხვების თვალის ახვევად ღმერთს მაინც ახსენებდა, დღეს არც [illegible] ღმერთია მისთვის, არც საკუთარი შეგნება და არც სამართალი და კანონი. ანგარიშს კირილე მოკლეთ და სწრაფად ასწორებს. რევოლვერი და მისი ჯახი.

ამას წინად შარი მოსდო გლეხ ილარიონ ყაჭიეშვილს. მივარდა სახლში და ის იყო უნდა მოეკლა, რომ სხვებმა მოუსწრეს და გადაარჩინეს. აწიოკებულ ოჯახს შიშისაგან ერთი კვირა არ მოუსვენია.

ასეთია კირილეს თვითნებობა პატარა ნაკადულში. მაგრამ ის მარტო ამით ვერ კმაყოფილდება. კაცი მიჩვეულია პურ-მარილს, ჭამა-სმას, ჯიბეში ფულს და სხვა სიამოვნებას ამიტომ მისთვის საჭიროა ფულის წყარო. პატარა ნაკადული ცნობილია წყაროებით, მაგრამ ასეთ წყაროთ ის მაინც ვერ გამოდგება.

ეს სრულიადაც არ აფიქრებს კირილეს. სოფელი ხომ ცაზე გამოკერებული არაა? მიწა მართალია ბევრი არ არის პატარა ნაკადულში, მაგრამ კირილესაც ეს უნდა. ფასიც ამიტომ მეტია მასზე და საშუამავლო სარგებელიც დიდი.

კირილემაც ხელი მიჰყო მიწის ყიდვა-გაყიდვას. ჯერ-ჯერობით იყიდა თბილისში მცხოვრებ მის ძმისაგან მიწა და ერთი სამაღ მიჰყიდა სხვას მიზანში ამოღებული აქვს კიდევ რამდენიმე მიწის ნაჭერი.

გლეხები ბევრს ჩურჩულობენ ერთმანეთში კირილეს ოინბაზობაზე. მაგრამ გამომშვიდობებისას პირობას სდებენ: „შენც სუ, მეც სუ"-ო კირილეს გადამკიდეს ხეირი არ დაეყრებაო ჩვენ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში ოზურგეთის მაზრის ხელმძღვანელ ორგანოების აზრი. აქვს თუ არა რაიმე საფუძველი პატარა ნაკადულის გლეხების ამგვარ შიშს?

ბეჩ.

გუნდათ მოსიარულე თანამშრომლები

იყო და არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. იყვენ და აღარ არიან შინაგან საქმეთა კომისარიატში ძველი თანამშრომლები: ხამაშურიძე, თოფურია, ლუკავა; ბარბაქაძე, ხუნწარია, ეორდანია, ცინცაძე და კიდევ რამდენიმე სხვა. რა იქნენ ისინი? სად გადიკარგნენ, სად დაიფანტნენ?

არსად. ისევ თბილისში სხედან, ისევ სახალხო კომისარიატში მუშაობენ ისინი, მაგრამ ერთი უმნიშვნელო შესწორებით, არა „შინაგან", არამედ „მიწადმოქმედების". სასწაულები არ ხდება ბუნებაში, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, შინაგან კომისარიატისა და მიწადმოქმედების კომისარიატის შორის არსებულ მანძილზე, რომელიც სხვათა შორის ერთი სართულით ანუ 15 საფეხურით განისაზღვრება, ასეთი სასწაული შესაძლებელი ყოფილა. აქ, ამ ჯადოსნურ კიბეებზე მოხდა შემდეგი გაუგონარი რამ. ზემოხსენებული პირები დაითხოვეს შინაგან საქმეთა კომისარიატიდან. საკმარისი იყო, რომ ისინი ყოფ. კადეტის კორპუსის შენობის ერთი სართულით ძირს ჩამოსულიყვნენ და მიწადმოქმედების კომისარიატს მისდგომოდნენ, რომ ხამაშურიძე უეცრივ უმაღლეს სპეცად გადაქცეულიყო მეცხენეობის დარგში. კ. ბარბაქაძე—მიწადმოწყობის დარგში, ი. ხუნწარია მევენახეობაში (ყლაპვითი გაგებით), მ. თოფურია გარეულ ცხოველების გამრავლებაში და მათზე ნადირობაში, თ. ლუკავა საქმეთა მმართველობაში და ასე შემდეგ. ყველა ამ ყმაწვილებმა მოიკალათეს მიწად-მოქმედების კომისარიატში.

ჩვენ ვიცით, როგორ ხდება რომ კაცს დღეს ერთ ადგილიდან ითხოვენ და ხვალ ის უკვე მეორეზე, ხშირად კი უკეთეს თანამდებობაზეა წამოსკუპებული. ეს მოვლენა შტატის შემცირების საქმის უსაზიზღრესი დამახინჯებაა. აქ კი შვიდი კაცი ერთად, გუნდათ გამოდის ერთი კომისარიატიდან და იგივე შვიდი კაცი უკვე ახალი სპეცების სახით გუნდათ შედის მეორეში. თითქოს ჩვენი დაწესებულებები მუშტაიდის ბაღია—ვისაც უნდა შევა, ვისაც უნდა გამოვა.

მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. ხომ. შურიძე-ბარბაქაძე-თოფურია-ლუკავა-ეორდანია-ხუნწარია-ცინცაძე სხვებს არ ჩამორჩებიან მადაში. ჯერ თვითონ მოიკალათეს თბილით ახალ დაწესებულებაში, შემდეგ გაუღეს კარები ნათესავთა და მეგობართა უტუს ჯარს. დღეს კომისარიატის თანამშრომელთა შორის შეხვდებით ნათესაური და მეზობლური კავშირით მტკიცეთ გადანასკვულ: გურჯიას. ალანიას, გუნიას, ბარათაის, მასხულიას, გაბისხურიას, ჯაჯელავას, ჭითავას, ჭანტურიას; ანთელავას, რუხიას და სხვებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომისარიატის ხელმძღვანელებმა არ იციან, თუ რა „მამიდაშვილური" თაიგულია შეკრული რამოდენიმე პირის მიერ კომისარიატის ზოგიერთ განყოფილებებში. ჩვენ იმაშიაც ვართ დარწმუნებული, რომ კომისარიატის ხელმძღვანელები დროზე მიიღებენ ზომებს მეზობლურ და ნათესაურ კამპანიის დასაშლელად, მხოლოდ იმ აუცილებელ პირობით, რომ მიწადმოქმედების კომისარიატიდან გამოსტუმრების შემდეგ ამ პირებს ერთი სართულის მანძილზე ჯადოქარი არ დაუბერავს და ქვედა სართულში მოთავსებულ სხვა რომელიმე კომისარიატის ახლად მოვლენილ სპეცებათ არ გადააქცევს. ნუ დაივიწყებთ, რომ მათ გუნდა-გუნდა უყვართ სიარული.

კოლო.

როგორ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ექსპორტი
(საუბარი საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთან—ამხ. ი. ე. სეგალოვიჩთან)

ექსპორტის გაძლიერებასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაგვარებლად ამას წინად თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამხ. ე. ი. სეგალოვიჩი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. სეგალოვიჩმა თბილისიდან გამგზავრების წინ მის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ განაცხადა:

ჩემი ამიერ-კავკასიაში ყოფნის დროს ამიერ-კავკ. საექსპორტო გეგმა, გარდა მარგანეცისა და ნავთისა, განხილული და შეთანხმებული იქნა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და ცალკე რესპუბლიკებთან, რასაც შედეგად მოჰყვა მისი გადიდება ერთი მილიონ მანეთით; წინეთ გეგმა ითვალისწინებდა—12.800.000 მანეთის საქონლის გატანას საზღვარგარეთ. გაფართოებული გეგმა მიღებული იქნა რესპუბლიკანურ და ამიერ-კავკ. საექსპორტო თათბირების მიერ, როგორც საოპერაციო დავალება ექსპორტიორებისათვის.

მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ ყველა ორგანიზაციებს არ აქვთ შეგნებული ექსპორტის მნიშვნელობა.

ჯერ კიდევ არსებობს აზრი, რომ ექსპორტი ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმეა, რომ ძირითადი საექსპორტო ორგანიზაცია ამიერ-კავკასიაში—ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა ყველა დანარჩენი ორგანიზაციები, კერძოთ კოოპერაცია უმნიშვნელო როლს თამაშობენ საექსპორტო გეგმის შესრულებაში ამას გარდა შემჩნეულია, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები სცდილობენ საქონლის ჩაბარებას საექსპორტო ორგანიზაციებს არა მარტო შინაურ ბაზარზე არსებულ ფასებში, არამედ ხშირადაც ერთ გვარი დანართითაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ექსპორტის მთელი რიგი მუხლები საზარალოა. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის შეცდარი შეხედულება, თითქოს ექსპორტიორებს ექსპორტიდან დიდი მოგება რჩებათ.

ამიერ-კავკასიაში მოწესრიგებული არ არის საკითხი საექსპორტო საქონლის ფასების შესახებ და ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ მომწესრიგებელმა ორგანოებმა.

მიმდინარე სამეურნეო წლის საექსპორტო შესაძლებლობათა გამორკვევასთან ერთად დასახული უნდა იქნეს მომავალი წლის საექსპორტო გეგმა, რომელიც მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს.

აუცილებელია საექსპორტო საგნების სიაში შეტანილი იქნეს ისეთი საქონელი, რომელიც შინაური ბაზრის დაუზარალებლად შეიძლება გასაღებული იქნეს უცხოეთში; ამასთანავე საჭიროა საექსპორტო საქონლის თვითღირებულების და ზედნადებ ხარჯების მაქსიმალურად შემცირება.

ამ.-კავკასიაში ყოფნამ დამარწმუნა, რომ ექსპორტთან დამოკიდებულების საკითხებში მოხდა გარდატეხა და ეჭვს გარეშეა, რომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ჩვენ შევსძლებთ იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დასმულია ჩვენს წინაშე ექსპორტის დარგში.

საჭირო განმარტება
(ექიმბაშობის საკითხის გარშემო)

სისხ. სამ. კოდ. მუხლმა (ამჟამად უკვე მიღებულია სრ. საქ. საბჭ. ცაკის სესიის მიერ) რომელიც ითვალისწინებს ექიმბაშობას და კერძოდ უკრძალავს სამედიცინო დარგის მუშაკებს ისეთ საექიმო პრაქტიკას, რის უფლებაც მათ არა აქვთ, გამოიწვია ერთგვარი გაუგებრობა. ეს გაუგებრობა დაიბადა სრ. საქ. საბჭ. ცაკის სესიაზე ქ. ბათომში ზოგიერთ ორატორის გამოსვლით, რომელთაც სურდათ ამ მუხლის შინაარსისა და მნიშვნელობის განსაზღვრა.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის აზრი სავსებით ნათელი იყო ყველასათვის. იქ განსაზღვრულია ექიმბაშობა ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. ექიმობა ხელობის სახით იმ პირის მიერ, ვისაც არა აქვს მიღებული სათანადოთ შემოწმებული საექიმო განათლება. ხოლო რაც შეეხება აღნიშნული მუხ. ზემომოყვანილ მეორე ნაწილს, რომლითაც აკრძალულია „სამედიცინო დარგის მუშაკის ისეთი საექიმო პრაქტიკა, რომლის უფლებაც მას არა აქვს", სწორედ მან გამოიწვია საკითხი, თუ, სახელდობრ, სამედიცინო დარგის რომელ მუშაკებზეა ლაპარაკი აღნიშნულ მუხლში და ხომ არა ჰყავს მას მხედველობაში ისეთი ექიმები, ვისაც მიუღია სათანადოთ შემოწმებული საექიმო განათლება, მაგრამ ეწევა პრაქტიკას არა თავის სპეციალობის დარგში (თერაპევტი, ქირურგი და სხვ.)

სისხ. სამ. კოდ. 199 მუხლის ნამდვილი აზრის მიხედვით ეს საკითხი უნდა გადაწყდეს უარყოფითად და ამას სავსებით დაეთანხმა სისხ. სამ. კოდექსში ცვლილებათა შემტანი კომისია, შემდგენილი სრ. საქ. საბჭ. ცაკის სესიის [illegible]

ექიმს, რომელსაც მიუღია სათანადოთ შემოწმებული საექიმო განათლება, აქვს ყოველგვარი საექიმო პრაქტიკის უფლება. ხოლო თავის სპეციალობას იგი ირჩევს შემდეგში, საექიმო მუშაობის პროცესში. ამას ადასტურებს „სამედიცინო დარგის მუშაკთა პროფესიონალური მუშაობის და უფლებამოვალეობის შესახებ" სრ. საქ. საბჭ. ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს № 50 დადგენილების 14 მუხლი (1927 წ. № 5 კან. და გან. კრებ., მუხ. 79), რომლის თანახმად „იმ პირს, ვისაც ექიმის წოდება აქვს, ეძლევა ყველა უფლება საექიმო პრაქტიკისათვის და აგრეთვე უფლება იმსახუროს საექიმო და სადმინისტრაციო- საექიმო თანამდებობაზე".

მაგრამ იმავე დადგენილების 1 მუხ. თანახმად, სამედიცინო და საფარმაცევტო მუშაობის უფლება თავის სპეციალობის ფარგლებში ექიმის გარდა ეკუთვნის აგრეთვე: 1) კბილის ექიმს, 2) ექიმის თანაშემწეს, 3) ბებია-ქალს, 4) ფარმაცევტს, 5) სამედიცინო დას. ამ პირთა უფლება- მოვალეობანი მტკიცედ და მკაფიოდ არის განსაზღვრული აღნიშნული დადგენილებით. და აი, სწორედ ეს პირები ჰყავს მხედველობაში სისხ. სამ. კანონს. რომელიც უკრძალავს მათ ისეთ საექიმო პრაქტიკას, რის უფლებაც მათ არა აქვთ, ზემომოყვანილი № 50 დადგენილების თანახმად.

ასეთია სისხ. სამ. კოდ. 199 მუხლის ნამდვილი აზრი.

იუსტკომი ი. ვარძიელი.

თათბირი მებამბეობის შესახებ
მეხუთე სხდომა

კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ, გუშინ საღამოს შესდგა პლენუმის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა კომისიების დასკვნები.

თათბირის დადგენილებით, მომავალ კამპანიაში ბამბით დათესილი იქნება აზერბეიჯანში—102.400 დესეტინა, სომხეთში—13.250 და საქართველოში 6.400 დესეტინა მიწა. გასულ წელთან შედარებით, ნათესების სივრცე გადიდებული იქნება 7 პროცენტით. თათბირის დადგენილებით, მომავალ წელს ბამბის მთელი ნათესები გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას—მოიჯარადრული წესით.

ამ.-კ. მებამბეობის რაიონებისათვის მეორე კვარტალში გეგმით განზრახულია 30 ვაგონ მანუფაქტურის შემოზიდვა. თათბირის დასკვნით, აღნიშნული რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს მებამბეთა მინიმალურ მოთხოვნილებებს და ამიტომ საჭიროთ იქნა ცნობილი აღიძრას შუამდგომლობა, რათა მეორე კვარტალში ა.-კ. მებამბეობის რაიონებში დამატებით შემოზიდული იქნეს 7 ვაგონი. ხოლო მაისის დამლევამდე ნაწილ-ნაწილად 100 ვაგონი მანუფაქტურა.

თათბირის მიერ მიღებულია აგრეთვე ზომები ქარხნების გასაფართოებლათ და შესაკეთებლათ.

თათბირის შემდეგ სხდომაზე განხილული იქნება დასკვნები სას.-სამ. კოოპერაციის შესახებ.

რკინის გზებზე

ზომები ტვირთზიდვის გასადიდებლად

ცდები იმის გამოსარკვევად, შესაძლებელია თუ არა 90 და 50 ათასი ფუთის სიმძიმის მქონე მატარებლების მოძრაობა ამიერ-კავკ. რკ. გზებზე. [illegible] დამთავრდა.

90.000 ფუთიანი მატარებელი

როგორც ვსწერდით, 90.000 ფუთიან მატარებლით ცდები სწარმოებდა ბაქოდან-ბათომამდე, ხოლო 50.000 ფუთიანი მატარებლით ბათომიდან თბილისამდე.

90.000 ფუთიანი მატარებელი თბილისიდან გავიდა 25 იანვარს საღამოს. იგი ჩვეულებრივ 75.000 ფუთის სიმძიმის მატარებლისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ იმით, რომ ხაშურამდე მიდიოდა ორი ორთქლმავალით, უკანა ორთქლმავლის დახმარებლად. საერთოდ 75.000 ფუთიანი მატარებელი თბილის-ხაშურის უბანზე მიჰყავს ერთ ორთქლმავალს.

ხაშურიდან-ბათომამდე მატარებელი მიდიოდა ისევე, როგორც ვადის 75.000 ფუთიანი მატარებელი, სახელდობრ: ხაშურიდან გვირაბამდე მატარებლის თავში მიბმული იყო ორი ძლიერი ორთქლმავალი და კუდში უკანა ორთქლმავალი. გვირაბიდან ზესტაფონამდე მატარებელი მიდიოდა მხოლოდ ორი ორთქლმავალით, ხოლო ზესტაფონიდან ქობულეთამდე ერთი ორთქლმავალით. ქობულეთიდან-ბათომამდე მას ეხმარებოდა უკანა ორთქლმავალი.

საერთოდ მატარებელმა დაწესებული სისწრაფე სავსებით შეასრულა. იგი მიდიოდა ისეთივე სისწრაფით, როგორც 75.000 ფუთიანი მატარებლები. ზოგიერთ შემთხვევებში კი (მაგ. თბილის-ხაშურის შუა) გაცილებით უფრო ჩქარა, ვინემ 75.000 ფუთიანი მატარებლები.

სადგ ძირულაში მატარებლის ადგილიდან დაძვრის დროს ერთ-ერთ ცისტერნას მოსწყდა გადასაბმელი კავი. ეს გამოიწვია იმან, რომ მემანქანეებმა ერთბაშად გასწიეს შემადგენლობა, რომელიც ამ დროს დამუხრუჭებული იყო. მემანქანეებს დაავიწყდათ ნიშნის მიცემა მუხრუჭების მოშვების შესახებ. ცისტერნის დაზიანება უმნიშვნელო იყო, იგი ადგილობრივ შეაკეთეს და მატარებელმა განაგრძო გზა.

ამჟამად 90.000 ფუთიანი მატარებლის მოძრაობის შემოღება შესაძლებელია მხოლოდ ბაქოდან ხაშურამდე. ხაშურს იქით ასეთი მატარებლების გაშვება შეუძლებელია, რადგან საულელტეხილო უბნის სადგურის ხაზები მატარებლის სიგრძესთან შედარებით მოკლეა და ვერ დაიტევენ შემადგენლობას.

50.000 ფუთიანი მატარებელი

ბათომიდან თბილისისაკენ უმთავრესად ბრუნდება ცარიელი ცისტერნები ან მშრალი ტვირთებით დატვირთული ვაგონები.

ამ ტვირთების რაოდენობა დღითი-დღე იზრდება და ეს გარემოება გზის გამგეობის წინაშე აყენებს გზის გატარებითი და გადაზიდვითი უნარიანობის გაძლიერების საკითხს.

ამჟამად საულელტეხილო უბანზე ამოდიან მატარებლები, რომელთა წონა არ აღემატება 35.000 ფუთს. ასეთი მატარებლებით ვერ კმაყოფილდება გზის კლიენტურის მოთხოვნილება საქონლის გადაზიდვაზე. ამის გამო იყო განზრახული მატარებელთა სიმძიმის გადიდება რა მიზნითაც ჩატარდა შესაფერი ცდები.

50.000 ფუთიანი მატარებელი ბათომიდან ზესტაფონამდე ამოიყვანა ერთმა ორთქლმავალმა, მხოლოდ ქობულეთამდე მას ეხმარებოდა უკანა ორთქლმავალი. ზესტაფონიდან—ხაშურამდე მატარებელი წამოიყვანა ორმა ძლიერი სერიის ორთქლმავლებმა, რომელთაგან ერთი შემადგენლობის შუაში იყო ჩაბმული. ხარაგოულიდან მარელისამდე მატარებელს ეხმარებოდა უკანა ორთქლმავალი, ხოლო მარელისიდან წინა ორთქლმავლებს მიემატა კიდევ მესამე.

ამგვარად ულელტეხილზე მატარებელი მიჰქონდა ძლიერი სერიის სამ და ერთ ფერლის სისტემის (უკანა) ორთქლმავალს. უკანასკნელმა მას მიჰყვა ულელტეხილის მწვერვალამდე და დაბრუნდა უკან მარელისში.

ბათომ-თბილისის უბანზე 50.000 ფუთიან მატარებლის შემოღება კომისიის დასკვნით სავსებით შესაძლებელია.

საკითხს იმის შესახებ, თუ როდის იქნება შემოღებული ასეთი მატარებლების მოძრაობა გადასწყვეტს ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობაში.

მეცნიერება და ტექნიკა

ხუნაგი

ხუნაგი უმთავრესად ბავშთა გადამდები სნეულებაა. ამ დაავადების ძლიერ დიდი პროცენტი 1—5 წლის ასაკამდე მოდის. ძუძუმწოვარა ბავშვები ხუნაგით შედარებით იშვიათად ხდებიან ავად და თუ გახდენ—უმეტესი ცხვირის ხუნაგით, რომელიც ხშირად უბრალო სურდოს სახით იწყება. 15 წლის ასაკის ზემოთ ამ ავადმყოფობას კი იშვიათად ვხდებით. ხუნაგი ძველი ავადმყოფობაა. უტყუარი ცნობებია მის შესახებ, რომ 16 და 17 საუკუნეებში ესპანეთში ხუნაგის საშინელი ეპიდემია მძინვარებდა. მაგრამ ამ ავადმყოფობის პირველი დაწვრილებითი აღწერა მოახდინა ერთმა გამოჩენილმა ფრანგ ექიმმა მხოლოდ 1826 წ. მას შემდეგ ეს სნეულება უფრო დეტალურათ იქმნა შესწავლილი, განსაკუთრებით მის გამომწვევ ბაცილის ნახვით 1884 წ. ეს ბაცილა ბოლო გამსხვილებულ, ოდნავ მოღუნულ ჩხირსა მგავს. მას მისი მნახველის ლეფლერ-ის სახელს უწოდებენ. არსებობს აგრეთვე ბაცილა, რომელიც თავისი აღწერილობით ამასვე წააგავს, მხოლოდ ის ავადმყოფობას არ იწვევს და მას ცრუდიფტერიულ ბაცილას ეძახიან. ხუნაგმა ასი ათასობით ბავშთა სიცოცხლე შეიწირა, სანამ მის წინააღმდეგ ანტიდიფტერიულ შრატს მოიგონებდენ (1890). ამის შემდეგ კი სიკვდილიანობამ (ხუნაგით) საგრძნობლად იკლო. შეიძლება ხუნაგი სეზონურ ავადმყოფობათ ჩაითვალოს, ვინაიდან ეს სენი უმეტესად შემოდგომა და ზამთარში ჩნდება და ეს იმიტომ, რომ საერთოდ ცივ და ნამიან თვეებში ცხვირხახის სხვადასხვა ავადმყოფობა საერთოდ მეტია. არ შეიძლება ითქვას, რომ ერთხელ გადატანილი ეს ავადმყოფობა ქმნიდეს ორგანიზმში ხანგრძლივ იმუნიტეტს, ვინაიდან არის შემთხვევები, როცა ხუნაგით მეორეჯერ და, თუმცა იშვიათად, მაგრამ მესამეჯერაც გამხდარან ავად. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშის საერთო ჯანმრთელობას, ანუ მის კონსტიტუციას. შემჩნეულია, მაგალითად, რომ წითელათა ავადმყოფობის დროს სასუნთქავ გზების ხუნაგით დაავადების მიდრეკილება იზრდება. საერთოდ კი ხუნაგი ეპიდემიურ ხასიათს დრო გამოშვებით ღებულობს. ხან მთელი ათეული წლები ის დაავადების იშვიათ შემთხვევებს იძლევა, ხან კი მწვავე და ძლიერ განვითარებულ ეპიდემიის სახეს იღებს. ხუნაგი, ანუ დიფტერია, ჩვეულებრივათ, ადამიანიდან ადამიანზე გადადის. ინფექცია შეიძლება წარმოიშვას გამომრთელების გზაზე დამდგარ, ან და ბაცილის მტარებელ ბავშებიდან. ვინაიდან დიფტერიული ბაცილა უმეტესად ცხვირხახას მიდამოში ბუდობს, ამისათვის მისი გადადება შეიძლება კოცნის საშუალებით და ავადმყოფ ბავშებთან მიკარებით, რადგან ესენი ნახველს და ცხვირიდან გამონაჟონს სცხებენ ტანსაცმელს, ხელებს, საწოლს, სათამაშოებს და სხვ. ამრიგად შესაძლებელია, რომ ხუნაგის გადადება მოხდეს ცხვირსახოცის, სათამაშოს, ტანსაცმელის და ჭურჭლის საშუალებით. ხველის და ცხვირის ცემინების დროს კი შესაძლებელია ავადმყოფობის გადადება ნახველის საშუალებით. ჰაერის საშუალებით ამ ავადმყოფობის გადადება ძნელი წარმოსადგენია ხუნაგის ბაცილების სიმძიმისა და ხიდვის გამო.

ხუნაგის დაფარულ (ანუ პროდრომალურ) პერიოდს არ აქვს სავსებით გამორკვეული ხანგრძლივობა. საერთოდ ის უდრის 2—4 დღეს. ყოველ შემთხვევაში ასეთი დრო გადის ერთ და იმავე ოჯახში ერთი ბავშის ხუნაგით ავად გახდომიდან მეორე ბავშის ავად გახდომამდე. ხუნაგით ავადმყოფობა შეიძლება სამ ძირითად ფორმაში გამოიხატოს: ადვილი, საშუალო და მძიმე.

პირველი, განსაკუთრებით უფროს ასაკის ბავშებში ავადმყოფობის დროს მიმდინარეობს მსუბუქად: იწყება 38—38,5 გრად. სიცხით, ნუშისებრი ჯირკვლებზე ნალექის დაგროვებით და საერთოდ მდგომარეობის ოდნავ შესუსტებით. მე-3—6 დღეს ნალექი სცილდება და მე-10-14 დღეს ბავშები სავსებით გამოჯანსაღებულნი არიან. ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფობას კიდევ უფრო მსუბუქი მსვლელობა აქვს და ჩვეულებრივი უბრალო ანგინიდან მხოლოდ ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით გამოვარჩევთ. ავადმყოფობის საშუალო ფორმა საერთოდ იწყება ფერმკრთალობით, უძლურობით, თავის ტკივილით, მადის დაცემით, იშვიათად ღებინებით, ყლაპვის დროს ტკივილით, ჩქარი მაჯის ცემით, უძილობით, სიცხის 38,5—39 გრად. აწევით და მომეტებულ ნერწყვის დენით. პირში გადიდებულ და გაწითლებულ ნუშისებრი ჯირკვლებზე გაჩნდება მოთეთრო მოყვითალოსფერო, უსწორო ფორმის ნალექი, რომლის აღება იწვევს მცირე სისხლის დენას. ნუშისებრი ჯირკვლებთან ერთად სივდება კისრის და ყბის ქვეშა ჯირკვლებიც. ნალექი თანდათან იზრდება და ზოგჯერ აქვს ცუდი სუნი. ნუშისებრი ჯირკვლების ზრდა ჩქარი ტემპით მატულობს, ყლაპვა მეტად ძნელდება და საყლაპავი მილი თითქმით იხურება. თუ საშუალებამ, ანტიდიფტერიულმა შრატის შეშხაპუნებამ, ადგილობრივათ წამლებით ნალექის გახსნამ, დროზე მოუსწრო, სიცხე ვარდება და ავადმყოფი იწყებს მოკეთებას. დაგვიანებულ შემთხვევაში კი ნალექი გადადის ცხვირ-ხახის მახლობელ მიდამოებში, სასუნთქავ მილში, ტრახეა და ბრონხებში; ავადმყოფობა იღებს მძიმე ხასიათს და მისი შედეგი მეტად ცუდია. უნდა ითქვას, რომ მძიმე ფორმის ხუნაგის დროს ლოფლერის ბაცილებთან ერთად მოქმედობენ დაჩირქების გამომწვევი მიკრობებიც. ამ დროს ავადმყოფობა იწყება განმეორებითი ღებინებით. მაღალი (40 გრადუსი) სიცხით, გაგრძელებით, ხშირი და სუსტი პულსით, ნერვიულ სისტემის დაქანცვით და სქელი მორუხო ფერის ნალექის ზრდით ნუშისებრი ჯირკვლებზე, ცხვირ-ხახაზე, ენაზე და საერთოდ საყლაპავ და სასუნთქავ მილის ახლომახლო მიდამოებზე. ამავე დროს ხშირად კისრის ჯირკვლები სივდება და ჩირქდება გარშემო ქსოვილებთან ერთად. ცხვირიდან და პირიდან გამოდის მყრალი, სისხლ-ნარევი გამონაჟონი. სისუსტე ჩქარა იზრდება, ბავშს სითხის გადაყლაპვაც უჭირს. სუნთქვა მეტად ძნელდება, გულის მოქმედება სუსტდება და ბავშვი ხშირად 2—3 დღეში კვდება.

არის კიდევ ხუნაგის მეორე მძიმე ფორმა, რომელიც მიმდინარეობს დაბალი სიცხით, ხან ნორმის ქვევითაც, განუწყვეტლივ სისხლის დენით ცხვირიდან და ყელიდან და სწრაფათ ძალის გამოლევით. ეს ფორმა ჩვეულებრივად ბავშვის სიკვდილით თავდება.

და თუ მძიმე ფორმის ხუნაგი სიკვდილით არ დამთავრდა, მას მაინც ხშირად გართულებები დაჰყვება, როგორც მაგალითად: დამბლა, ჩირქოვანი ბრონხიტი, ანთება, ელამობა, სმენის დაქვეითება და სხვა.

ხუნაგით დაავადების სხვადასხვა ფორმათა შორის განსაკუთრებით საშიშარია ეგრედწოდებული „ჭეშმარიტი კრუპი". ამ ფორმის ავადმყოფობის პირველი ნიშნებია: ხმის დაქვეითება, მშრალი, ძაღლის ყეფვის მაგვარი ხველა, გაგრძელებული ჩასუნთქვა და სიცხის აწევა. ეს მოვლენები თანდათან მატულობენ; სუნთქვა მეტად ძნელდება, ხმა სავსებით იკარგება, ბავშვი მეტად სწუხს, სახე ულურჯდება, ოფლს აყრის, მაჯა უსუსტდება და ძალაც ელევა. ბავშვი იძლევა დახრჩობის საშინელ სურათს. მას ესაჭიროება სწრაფი დახმარება აპერაციის სახით, ან კიდევ სასუნთქავ მილის თავში განსაკუთრებულ მილის ჩადგმით. ყოველ შემთხვევაში, ვინაიდან არ არის იმის გარანტია, რომ ხუნაგის გარეგნულათ ადვილ ფორმამ არ მიიღოს საშინელი და მძიმე ფორმის სახე, ამისათვის საჭიროა ყოველთვის დროზე და ადრე მიმართონ ექიმს, რომელიც გადააგზავნის ბავშს საავადმყოფოში, ან და აღმოუჩენს სახლში სათანადო დახმარებას.

ხუნაგის ექიმობა მდგომარეობს უმთავრესად ანტიდიფტერიულ (ხუნაგის საწინააღმდეგო სპეციფიურ) შრატის შეშხაპუნებაში და რაც უფრო ადრე არის შეშხაპუნებული შრატი, მით უფრო ნაკლებია საერთოდ ხუნაგით სიკვდილიანობის პროცენტი. (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ შრატის გამოგონებამდე ხუნაგით სიკვდილიანობის პროცენტი 80-მდე აღწევდა—შრატის შემოღების შემდეგ ის—18 პროც. დაეცა).

ავადმყოფობის გავრცელების თავიდან ასაცდენათ საჭიროა ავადმყოფის გამოყოფა ცალკე ოთახში და განსაკუთრებულ სისუფთავის დაცვა. ავადმყოფობის დამთავრებისას კი სათანადო დეზინფექციის გაკეთება. პროფილაქტიური მიზნით რამოდენიმე წლის წინათ, განსაკუთრებით ამერიკაში, შემდეგ ევროპის ქვეყნებში, რუსეთში და ამ ბოლოს ჩვენშიაც შემოღებულია ხუნაგის საწინააღმდეგო წინასწარი აცრა. რამოდენიმე ათეულ ათასი ბავშის აცრამ და მათზე დაკვირვებებმა ამერიკელი ექიმები და შემდეგ სხვა ქვეყნების ექიმები და მეცნიერები მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ ხუნაგის წინააღმდეგ აცრილ ბავშვებში ხუნაგით დაავადება მეტად იშვიათ შემთხვევათ ჩაითვლება. ადგილობრივ დაკვირვებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ერთი ფაქტი: თბილისის ჯან-განყოფილების გაერთიანებულ საბავშო სახლში, გასულ წლის აპრილის თვეში, ჯანსახკომის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის დახმარებით ჩვენ მიერ აცრილი იყო 117 ბავშვი. იმავე წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში იყო ხუნაგის რამოდენიმე შემთხვევა მხოლოდ აცრის შემდეგ მოყვანილ ბავშვებში (ესე იგი აუცრელ ბავშვებში). აქ საინტერესო იყო ის გარემოება, რომ სამ აუცრელ და ავად გამხდარ ბავშთან ერთად ერთ საწოლში იწვა აცრილი ბავშვები და ისინი კი ავად არ გახდენ.

ამ ბოლო ხანებში თბილისში ფეხი მოიკიდა ხუნაგით დაავადებამაც. ამისათვის განსაკუთრებით საჭიროა, რომ ყოველმა მოქალაქემ მეტის სიფრთხილით და დაკვირვებით მოეპყრას თავის ავადმყოფ ბავშვს და თავის დროზე აცნობოს ექიმს მისი ავადმყოფობა.

ექ. ვლ. თოხაძე.

მზის ლაქები და სტიქიური უბედურებანი

ეპიდემიების გაძლიერება მზის მაქსიმუმების დროს (მზის მაქსიმუმი ეწოდება პერიოდს, როცა მზეზე ლაქების რაოდენობა ყველაზე მეტია. ეს პერიოდი მეორდება 9—11 წლიწადში) უკვე დიდი ხანია შენიშნული იყო.

შენიშნულია აგრეთვე, რომ მზის მაგნიტური მოქმედების გაძლიერებას (რომლის გამოხატულებას წარმოადგენს მზის ლაქები) დედამიწაზე თან სდევს მთელი რიგი სტიქიური უბედურებანი—მიწისძვრები, გრიგალები, ქარიშხლები და სხვ.

ამ რამდენიმე ხნის წინად გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი მორის ფორი გამოვიდა მეტად საინტერესო თეორიით, რომლის თანახმად მზის ლაქები დედამიწაზე იწვევენ მაგნიტურ მოვლენებს, რასაც შედეგათ მოჰყვება, ხოლო, სტიქიური უბედურებანი. ფორი მთელ რიგ წლების განმავლობაში აწარმოებდა დაკვირვებას მზის მაგნიტურ მოქმედებაზე და მრავალი „წინასწარმეტყველება" მოუთავსებია პრესაში, სტიქიურ უბედურებათა შესახებ მზის ლაქების რაოდენობის გადიდებასთან დაკავშირებით. მზის ლაქების უკანასკნელი მნიშვნელოვანი მაქსიმუმი იყო 1927 წ. 12 სექტემბერს. 1 სექტემბერს მორის ფორმა საფრანგეთის პრესაში გამოაქვეყნა „წინასწარმეტყველება" სტიქიურ უბედურებათა შესახებ და მართლაც 12 სექტემბერს და შემდეგ დღეებში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სტიქიურ უბედურებებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში: მიწისძვრა ყირიმში და ვენაში, გრიგალი იაპონიაში (რომელმაც იმსხვერპლა 3.000 კაცი), ზღვის საშინელი ღელვა მექსიკის ნაპირებთან და სხვ.

რკინისგზა გემებისათვის

შავი ზღვის სანაპიროებიდან მდ. ვოლგის ახლომახლო მდებარე ადგილებში ტვირთების გადაზიდვის გაადვილება მოითხოვს ვოლგისა და დონის შეერთებას რკინისგზის ხაზით ან არხის გაყვანას ამ ორ მდინარეს შუა. პირველი პროექტი საჭიროდ ხდის ტვირთის ორმაგ გადატვირთვას, რაც აძვირებს საქონლის თვითღირებულებას. მეორე პროექტი კი ამას არ საჭიროებს, რადგან გემები არხით დონიდან პირდაპირ ვოლგაში გაივლენ (ამრიგად გაერთიანებული იქნება შავი ზღვა—აზოვის ზღვა—მდ. დონი —ვოლგა—კასპიის ზღვა). თუმცა პირველი პროექტის განხორციელება უფრო იაფი უნდა დაჯდეს და ნაკლებ დროსაც მოითხოვს შესრულებისათვის, მაგრამ მეორე პროექტის უპირატესობა იმდენათ ცხადია, რომ იგი მიღებულია.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ინჟ. ბარიკინმა წარმოადგინა კიდევ მესამე პროექტი—ვოლგადონის რკინისგზის მოწყობა თვით დონიდან ვოლგაზე მიმავალ გემის გადასაყვანად. პროექტი მართლაც რომ გრანდიოზულია, მაგრამ ტექნიკის განვითარების თანამედროვე პირობებში მისი განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

ინჟ. ბარიკინის, პროექტით ჩვეულებრივ სახის რკინისგზას ექნება 4—5 ხაზი, რომლებზედაც ივლიან წყალით სავსე უზარმაზარი ღია ვაგონები. ამ „ვაგონ-აუზებში" ჩაშვებული იქნება დონიდან ვოლგაზე (ან პირიქით) გადასატანი გემი. მთელი გზა შესდგება 5 ნაჭრისაგან. გზის თვითეული ხაზური იქნება ზედმიწევნით პირდაპირი. თვითეული ნაჭრის ბოლოში გაკეთებული იქნება მისაბრუნებელი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ვაგონი-აუზი მასში მცურავ გემით გადავა გზის მეორე ნაჭერზე. გზის ორივე ბოლოში კი მოწყობილი იქნება შლიუზები, რომელშიც შესცურდება გემი და შემდეგ შევა [illegible].

ინჟ. ბარიკინის პროექტი ითვალისწინებს—5000 ტონა წყალწყვის (ე. ი. ისეთი გემების, რომელთაც შეუძლიათ 30.000 ფ. ტვირთის დატარება) და 80 მეტრი სიგრძის მქონე გემების გადატანას რკინის გზით. 2.000 ტონიან გემის გადასატანად საჭირო იქნება 4 ორთქლმავალი, უფრო დიდებისათვის კი—ელექტრონის ენერგია.

მებოსტნეობის ელექტროფიკაცია

სატაცური და სალათი, რომელიც იზრდება იმ დროს, როცა მინდორ-ველები სქელი თოვლითაა დაფარული, ხრიზანტემები, რომლებსაც არ ეშინია იანვრის ყინვების,—ასეთია მებოსტნეობის ელექტროფიკაციის იმ შესანიშნავი ცდის შედეგები, რომელსაც აწარმოებს სტოკჰოლმის საცდელ ნაკვეთების დირექტორი, შვედეთის გამოჩენილი მეცნიერი ლუნდე. ცდები, რომლებიც 1925 წ. დაიწყო, ორი მიმართულებით სწარმოებდა: ელექტრონდენით პირველყოვლისა სარგებლობდენ ნიადაგის გასათბობათ და, მეორეთ, მცენარეთა ხელოვნური განათებისათვის. ნიადაგის გათბობას აღწევდენ იმით, რომ მიწაში 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე დებდენ მავთულებს, რომელშიც უშვებდენ დაბალი ძაბვის ცვალებად დენს. ამის წყალობით შესაძლებელი გახდა ნიადაგის თბილების დაცვა 20-25 გრადუსის დონეზე. ასეთ საცდელებში ნოემბერში და დეკემბერში იზრდებოდა სალათი, სატაცური და სხვ. ბოსტნეული; კალიფორნიის ასტრები და ხრიზანტემები მშვენიერ ყვავილებს იძლეოდენ იანვარში და ქართოფილი მწიფდებოდა მაშინ, როცა ველებზე დიდი თოვლი იდო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მებოსტნეობის ელექტროფიკაცია არა თუ შესაძლებელია, არამედ ხელსაყრელია ეკონომიურადაც. ხარჯები დადგმულობაზე უმნიშვნელოა. ელექტრო-ენერგიის ხარჯვა კი ნიადაგის გათბობაზე სუსხიან ზამთრის ღამეებში არ აღემატება 1 მეხუთედ კილოვატ—საათს კვ. კილომეტრზე (დღე-ღამეში).

ამჟამად, მებოსტნეობის ელექტროფიკაცია ცდების სტადიიდან გადადის პრაქტიკული გამოყენების სტადიაში. ელექტრო-ტექნიკურ მოწყობილობათა ერთმა შვედურმა ფირმამ უკვე გამოუშვა ბაზარზე ელექტრო-მოწყობილობა ელექტროფიკაციაქმნილ სათბურებისათვის. პროფ. ლუნდე ფიქრობს, რომ 1929 წ. ჩვეულებრივი საბოსტნე მეურნეობანი უკვე ვეღარ გაუძლებენ ელექტროფიკაციაქმნილ ბოსტნების მეტოქეობას. პროფ. ლუნდეს სიტყვებით, კაცობრიობა ამჟამად იმყოფება იმ ეპოქის მიჯნაზე, როცა ჩრდილოეთის უდაბნო ადგილები გადაიქცევა აყვავებულ ბაღებათ, საიდანაც მცხოვრებლები ყოველდღე, წლის ყველა დროს, მიიღებენ ახალ ბოსტნეულს და ხილს.

ავტომატები ბენზინის გასაყიდათ

მოსკოვში, არბატის მოედანზე, დადგმულია ნავთის სინდიკატის პირველი ავტომატი ბენზინის გასაყიდათ. ავტომატი ჰყიდის 5, 10, 12 და 15 ლიტრ ბენზინს.

მყიდველის საჭიროებასთან შეფარდებით გამყიდავი აბრუნებს ამ ციფრების ერთ-ერთ განსაკუთრებულ საკონტროლო რგოლს და რეზინის მილით მყიდველის ჭურჭელში ისხმება განსაზღვრული რაოდენობის ბენზინი. გაზაფხულზე განზრახულია ასეთი ავტომატების დადგმა სხვა მოედნებზეც.



ახალი საანესთეზიო საშუალება

იმ საანესთეზიო საშუალებებს, რომლებსაც ამჟამად ხმარობენ ქირურგიაში—ქლოროფორმსა და ეფირს—ახასიათებს ზოგიერთი უარყოფითი თვისებები, რაც გამოიხატება ღებინებაში და მოწამლის სხვა ნიშნებში (ოპერაციის შემდეგ). ამერიკაში ამჟამად საანესთეზიო საშუალებათ წარმატებით იყენებენ აცეტილენს, რომლითაც ოდესღაც ხმარობდენ გასანათებელ მოწყობილობებში (ავტომობილის ფანრებში და სხვ.). აღმოჩნდა, რომ აცეტილენი საიმედობის და მოქმედების სისწრაფის მხრივ არ ჩამოუვარდება ქლოროფორმსა და ეფირს და სრულიად მოკლებულია მათ ნაკლულოვანებებს.

აცეტილენის, როგორც საანესთეზიო საშუალების ფართოდ გამოყენებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ საჭიროა საანესთეზიო დოზის ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრა,—აგრეთვე ისიც, რომ ეს გაზი ადვილად ენთება.

ავტომატ. სამართებელი

ამერიკაში ბაზარზე გამოუშვეს ავტომატიური სამართებელი, რომელსაც ამუშავებს განსაკუთრებული, საათის მსგავსი მეხანიზმი. ავტომატიური სამართებლების მოქმედების პრინციპი ძლიერ წააგავს ჩვეულებრივი თმის საკრეჭ მანქანის მოქმედებას. ახალი სამართებელის ხმარება გამოუცდელ კაცსაც კი თავისუფლად შეუძლია.

„ცხენი თუ ცხენის ძალა?"

ასეთი საკითხი დასვეს საფრანგეთის არმიის ხელმძღვანელებმა, რომლებსაც კატეგორიულად აქვთ განზრახული კავალერია შესცვალონ ავტო-ნაწილებით. საფრანგეთის კავალერიის შენახვა ჯდება 350 მილიონი ფრანკი წლიურათ. სამხედრო სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ შენახვა ავტო-ნაწილების, რომლებიც ბრძოლის უნარის მიხედვით არ ჩამოუვარდება საფრანგეთის ახლანდელ კავალერიას, დაჯდება ამ თანხის ნახევარი. ავტონაწილების მანევრებზე, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გაიმართა საფრანგეთში, გამოაშკარავდა სამხედრო მოტოციკლების შესანიშნავი ბრძოლის უნარიანობა.

ამჟამად საფრანგეთის არმიაში დაარსებულია მოტოციკლისტების კორპუსი, რომელმაც უნდა შესცვალოს კავალერია. ამ თავისებურ „საკავალერიო" კორპუსის მოტოციკლისტები ასრულებენ სხვადასხვა სამხედრო ამოცანებს: არის ჯავშნიანი მოტოციკლები ორი კაცისთვის (ერთს მიჰყავს მოტოციკლი, მეორე კი —ისვრის ტყვიისმფრქვეველიდან), არის სანიტარული მოტოციკლები, მოტოციკლები მიმღებ და გადამცემ რადიო-სადგურებით და სხვ. სამხედრო მოტოციკლები მოძრაობენ 80—90 კილომეტრის სისწრაფით საათში.

რენტგენის სხივები და მცენარეები



სან-ფრანცისკოში (შეერთებული შტატები) ამერიკელმა პროფესორებმა გუდსპიდმა და ოლსენმა ჩაატარეს ცდები რენტგენის სხივების ზეგავლენის გამოსარკვევად მცენარეებზე ამ სხივების ზეგავლენით თამბაქოს ბუჩქი სწრაფად განვითარდა და არაჩვეულებრივ სიმაღლეს მიაღწია. სურათზე შუაში—თამბაქოს ნორმალური მცენარე, მარჯვენა მცენარე, რომელზეც ზეგავლენას ახდენს რენტგენის სხივები.

ბრძოლა აისბერგებთან

საოკეანო გემების დაჯახება აისბერგებთან (მცურავ ყინულოვან მთებთან) სულ რამდენიმე ხნით წინათ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა საზღვაო ნაოსნობისათვის. ჯერ კიდევ ცოცხალია მეხსიერებაში უდიდეს საოკეანო გემის—„ტიტანიკ"-ის ტრაგიკულად დაღუპვა (1915 წ.) ასეთ მცურავ ყინულოვან მთასთან დაჯახების გამო. ამჟამად ასეთი საფრთხე შეიძლება მთლიანად მოსპობილად ჩაითვალოს. „ტიტანიკ"-ის დაღუპვის შემდეგ შემოღებული იქნა სპეციალური „საერთაშორისო მეთვალყურეობა აისბერგებთან დაჯახების თავიდან ასაცილებლად". ამ ორგანიზაციის მოწყობილობა რამდენიმე სპეციალური გემი, რომლებიც მოძრაობენ ღია ზღვაში და დღეში ორჯერ რადიოთი იძლევიან ცნობებს აისბერგების მოძრაობის შესახებ. ყველაზე დიდ აისბერგებს აფეთქებენ დინამიტით, ან ადნობენ სპეციალური ფხვნილით (ფხვნილი ალუმინი, რომელშიც შერეულია რკინის ჟანგი), რომელიც წვის დროს დიდ სითბოს ანვითარებს.

მიღებულმა ზომებმა იმდენათ დადებითი შედეგები გამოიღო, რომ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში არ ჰქონებია ადგილი გემის დაჯახებას ყინულიან მთასთან. გამონაკლისს შეადგენს კანადის გემის „მონტკამ"-ის დაჯახება აისბერგთან (შარშან შემოდგომაზე), რასაც კატასტროფა არ მოჰყოლია.

ვაშლის „სუნთქვა"

იმის გამოსარკვევად, თუ რატომ ხდება, რომ ზოგიერთი ვაშლები ჩქარა ლპება, ზოგიერთი კი დიდხანს ინახება, ამერიკელმა მეცნიერებმა ხენისმა და არმსტრონგმა გამოარკვიეს სხვადასხვა ჯიშის ვაშლების ქიმიური შემადგენლობა. გამოირკვა, რომ თუ ვაშლი შეიცავს აზოტის (ე. ი. ცილის) დიდ რაოდენობას და ცოტა შაქარს—ასეთი ვაშლები ჩქარა ფუჭდება. თუ ვაშლებში მოიპოვება ნაკლები ცილი და მეტი შაქარი,—ასეთი ვაშლების შენახვა დიდხანს შეიძლება. ამ ახსნის სისწორეს ადასტურებენ ინგლისელი მეცნიერები კიდდი და ვესტი, რომლებიც მუშაობენ კემბრიჯის დაბალ ტემპერატურათა სადგურში. ამ მეცნიერებმა შეისწავლეს ვაშლების „სუნთქვა" (გაზების გაცვლა-გამოცვლა ჰაერთან) და გამოარკვიეს, რომ ამ პროცესის დროს ვაშლის შაქარი უერთდება ჰაერის ჟანგბადს და ამრიგად მჟავდება. როცა შაქრის მთელი შემადგენლობა აჟავდება, ვაშლი „კვდება" და იწყებს ლპობას. კიდდიმ და ვესტმა გამოარკვიეს, რომ ვაშლები, რომლებშიც ცილი ნაკლებია, შაქარი კი მეტი—სუნთქავენ ნელა და ამიტომ დიდხანს ძლებენ.

კვერცხების შენახვა

ფრანგმა მეცნიერმა ლეკარდემ შეიმუშავა კვერცხების შენახვის ახალი წესი. ლეკარდეს წესით, კვერცხებს შერჩევის შემდეგ ათავსებენ სპეციალურად დამზადებულ ყუთში, რომლიდანაც ამოქაჩავენ ჰაერს და მის მაგიერ შიგ უშვებენ აზოტს ან ნახშირმჟავა გაზს. ეს გაზები კლავენ ლპობის გამომწვევ ყველა ბაქტერიებს და კვერცხი ინახება განუსაზღვრელ დროს. ლეკარდეს წესით შენახულ კვერცხებს ერთი წლის შემდეგაც კი ახლად დადებულ კვერცხების სურნელება და გემო აღმოაჩნდა.

ქრონიკა

ამხ. კარინიანის და ამბარცუმიანის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. კარინიანი და სომხ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანი.

საკავშირო შრომის დაცვის თათბირი

დღეს მოსკოვში იხსნება შრომის დაცვის საკავშირო თათბირი. საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატიდან თათბირზე მონაწილეობას მიიღებს შრომის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ლ. ელბაქიძე, ხოლო ამიერკავკ. შრომის სახ. კომისარიატიდან სანიტარულ ინსპექციის გამგე ექიმი შახნაზაროვი.

დაზღვევის სალაროების გადარჩევის კამპანია

დაზღვევის სალაროების გამგეობათა გადარჩევის კამპანია დაიწყო 14 იანვარს. სალაროების გამგეობათა გადარჩევა მიმდინარეობს სამაზრო პროფბიუროების გადარჩევასთან ერთად. ჯერ-ჯერობით გადარჩეულია ბორჩალოს, შორაპნის და ზუგდიდის სამაზრო სალაროების გამგეობები. გადარჩევის კამპანია უნდა დამთავრდეს 25 მარტისათვის.

კერძო ვაჭრობის კომიტეტის ლიკვიდაცია

სახკომსაბჭოს დადგენილებით, კერძო ვაჭრობის კომიტეტი მოხსნილია საქონლით (მანუფაქტურით) მომარაგების გეგმიდან და მისი ზვედრი საქონელი გადაცემული აქვს კოოპერაციას.

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატს მიზანშეუწონლად მიაჩნია კომიტეტის არსებობა და განზრახული აქვს მისი ლიკვიდაცია.

ამიერ-კავკასია-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში

6 თებერვალს, საღამოს 6 ნახევ. საათზე ა.-კავკასია-აღმოსავლეთ სავაჭრო პალატაში შესდგება სამეურნეო ორგანოების მუშაკთა, აღმოსავლეთელ ვაჭრების, აღმოსავლეთ სახელმწიფოების კონსულების, სახ. კომისარიატების და ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიის წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირი, რომელზედაც პალატის სწავლული მდივანი დ. ზავრიევი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საქონლის გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთს შორის 19[illegible]—27 წელში".

ტყვარჩელის სიმდიდრეთა შესასწავლად.

ს.შ.უ. საბჭოსთან არსებულ ტყვარჩელის კომისიასთან დაარსდა ტყვარჩელის სიმდიდრეთა შემსწავლელი ეკონომიური ქვე-კომისია, რომელშიაც შედიან: ინჟ. გ. წულუკიძე, ეკონომისტი ნ. ელიავა, ინჟ. ტერ-დავიდოვი, გულისაშვილი, გ. ედიბერიძე და ეკონომისტი ქ. თუმანიშვილი.

კომისიას დავალებული აქვს დაამუშაოს ტყვარჩელში მუშაობის დაწყების ეკონომიური მხარე. მთელი მასალები წარდგენილ უნდა იქნეს 15 მარტისათვის.

პროდუქციის შემოწმება

ს.შ.უ.ს. ქიმიო-ტეხნიკურმა ლაბორატორიამ დაამთავრა საპონ-ზეთის ტრესტისა და ტყავტრესტის პროდუქციის გამოკვლევა. გამოკვლევის მიზანი იყო პროდუქციის ღირსების შემოწმება და მათი შედარება ე. წ. ტრესტის სტანდარტებთან.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ არც ერთი ტრესტში ადგილი არ ჰქონია პროდუქციის ხარისხის გაუარესებას.

თბილისის ლომბარდის მუშაობა

თბილისის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა განიხილა ქალაქის ლომბარდის მუშაობის გაფართოების გეგმა და დაადგინა ცენტრალური ლომბარდის საბრუნავი თანხის გასადიდებლად კომუნალური ბანკიდან გამოითხოვოს 50.000 მან. სესხათ.

პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა პლეხანოვის პროსპექტზე გაიხსნას ლომბარდის განყოფილება. განყოფილების გასახსნელად ცენტ. ლომბარდის გამგეობას წინადადება მიეცა შეადგინოს სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა.

იმის გამოსარკვევად, თუ მცხოვრებთა რომელი ფენები უფრო საჭიროებენ ლომბარდს და სარგებლობენ მისი დახმარებით, პრეზიდიუმმა დაადგინა შემოიღოს ლომბარდში ნივთების დამგირავებელთა აღრიცხვა მათი სოციალური მდგომარეობის აღნიშვნით.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის მე-8 ყრილობა

ამა წლის 20 თებერვალს თბილისში მოწვეულია სრ. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის მერვე ყრილობა.

დღის წესრიგში: სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ც. გ. და სარევიზიო კომისიის მოხსენება, საქ. განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება სამხატვრო სახელოვნო პოლიტიკის შესახებ საქართველოში, ხელოვნების მუშაკთა კავშირის საშუამავლო ბიუროს მუშაობის წლიური ანგარიში და მისი მომავალი ამოცანები, მოხსენებები საორგანიზაციო, სატარიფო-ეკონომიური და კულტსაკითხების შესახებ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის ახალი ცენტრ. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

კომკავშირელ მწერალთა შორის

დღეს, 5 თებერვალს, საღ. 6 საათზე გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე (რუსთ. გამზ. № 20) შესდგება კომკავშირელ მწერალთა მორიგი ლიტერატურული კრება, რომელზედაც განხილული იქნება წარმოდგენილი მასალები.

მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროში

პარასკევს, თებერვლის 3 განათლების მუშაკთა სახლში შესდგა საქართველოს მეცნიერების მუშაკთა უკანასკნელ ყრილობაზე არჩეულ მეცნ. მუშ. სექციის ბიუროს პირველი საორგანიზაციო სხდომა.

ბიუროს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა პროფ. გ. ახვლედიანი, პ.-მგებელ მდივნად ამხ. ს. ზუნდაძე.

ამავე სხდომაზე გამოყოფილი იქნა სამი მუდმივი კომისია: 1) საკვალიფიკაციო კომისია, რომელშიაც არჩეული არიან: პროფ. მ. პოლიევქტოვი, პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. ბლადაშვილი, პროფ. გ. ლემლეინი, პროფ. ქ. ზავრიევი, დოც. ნ. იოსელიანი, ამხ. გ. კვიცარიძე. 2) სატარიფო-ეკონომიური კომისია: პროფ. ა. მაჭავარიანი, ამხ. ვ. კანდელაკი; ამხ. ქ. სულაქველიძე, შ. ჩხეტია, ტ. ათაბეგოვი, ამხ. შ. ცეიგერი, ექ. ი. ლორთქიფანიძე. 3) კულტურულ კომისიის წევრებად არჩეული არიან: ამხ. ა. ბოლოტნიკოვი, ა. წერეთელი, ირ. სურგულაძე, ამხ. ზახაროვი, პროფ. დ. უზნაძე და პროფ. ა. თვალჭრელიძე.

მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს ჩვეულებრივი სხდომების დღეთ დანიშნულია ორშაბათი, დღის 2 საათი, განათლების მუშაკთა სახლში.

ორშაბათს, თებერვლის 6, დღის 1-ლ საათზე, განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია მეცნ. მუშ. სექციის ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი მოკავშირე რესპუბლიკათა სამეცნიერო დაწეს. მთავარ სამმართველოების შეთანხმებული მუშაობის შესახებ.

თბილისის აღმასკომში

◆ **მცხეთის ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლების** დასაცავად თბ. აღმასკომმა გადასდო—1.000 მანეთი.

◆ **კომუნალურ მეურნეობის გასაფართოებლად**, თბ. აღმასკომმა კომუნალური ბანკიდან სესხად გამოითხოვა 1.500.000 მანეთი.

◆ **ბიბლიოთეკა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა აღმასკომის შენობაში მოაწყოს ახალი ცენტრალური ბიბლიოთეკა.

◆ **ხის დამმუშავებელ ქარხანაში** წყალსადენის მთავარ მაგისტრალის გასაყვანად გადადებულია 6.304 მანეთი.

◆ **თემაღმასკომების ფინანსიური მდგომარეობის** გასაჯანსაღებლად, თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა ამხ. მესხს და აკოფოვს დაავალა შეიმუშაონ სპეციალური გეგმა.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტს** თბ. აღმასკომის დადგენილებით ჩამოეწერა კომუნალური გადასახადი—3.444 მანეთის რაოდენობით.

◆ **დეპუტატთა მაგიდები.** საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა დეპუტატთა მაგიდებთან მოაწყოს დაფები, რომლებზედაც გაკრული იქნება თბ. აღმასკომის დადგენილებები და ინსტრუქციები.

მიწსახკომში

◆ **ლექციები მეურნეობაზე.** სახ.-სამ. სამმართველომ დაარსა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა სახალხო ლექციების მოწყობა სასოფლო მეურნეობაზე მთელ რესპუბლიკაში.

◆ **აგრონომიული თათბირი.** 12 თებერვალს ახალციხეში შესდგება მაზრის აგრონომების თათბირი, რომელსაც დაესწრება მიწსახკომის სპეციალისტი-აგრონომი კიზირია.

◆ **ხეხილის სანერგე.** მიწსახკომი სოფ. ატენში (გორის მაზრა) შეუდგა ხეხილის სანერგეს მოწყობას. სანერგედან გლეხებს დაურიგდება სხვადასხვა ჯიშის ხეხილის ნერგები.

◆ **სარდაფი.** გორში გაიხსნა ღვინის სარდაფი „შუა ქართლი", სადაც სწარმოებს ქართლის ღვინის ტიპის გამომუშავება.

სხვადასხვა

◆ **ბზიბის ხე-ტყის ქარხნის** მოსაწყობათ საკავშირო მთავრობამ გადასდო 250.000 მანეთი.

◆ **სკამები.** წელს მოკავშირე რესპუბლიკებში გასასაღებლად გატანილი იქნება საქართველოს ქარხნებში დამზადებული 300.000 ცალი ვენის სკამი.

◆ **ღვინის დამზადება.** სახელმწიფო სახაზინო ამხ-ბა წელს საქართველოში გასასაღებლად დაამზადებს 60.000 ვედრო ღვინოს.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღ. 8 ს. გაიმართება ქართული ხალხური მუსიკის საღამო. საღამოს წინ პროფ. არაყიშვილი წაიკითხავს მოხსენებას ქართულ ხალხური მუსიკის შესახებ.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** ორშაბათს, საღ. 7 საათზე სკოროდუმოვი და ალ. მდივანი გააკეთებენ მოხსენებას პედაგოგიურ ყრილობის შესახებ.

სახელგამის ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში შემდეგი ახალი გამოცემანი: 1) **მილიუტოვი**—სოფლად მუშაობის შესახებ. (მე-15 პარტყრილობის მასალები. გვ. 176, ფასი—50 კაპ.; 2) **ვ. ღვმურია** და **ბ. კიზირია**—მხარეთ-მცოდნეობა შრომის სკოლაში (პრაქტიკული მითითებანი შრომის სკოლის მომუშავეთათვის). გვ. 88, ფასი—40 კაპ.; 3) **კარპეზ ბერიძე**—რიცხვების და ტრიგონომეტრიულ სიდიდეთა ლოგარითმების ცხრილი. გვ. 128. ფასი—80 კაპ.; 4) **დ. ნ. ქუთათელაძე**—ზოოლოგია (სახელმძღვანელო შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის) გვ. 260, ფასი—1 მან. და 30 კაპ.; 5) **საბავშვო ოპერები** (პიესა ფატმანიშვილისა, მუსიკა შ. თაქთაქიშვილისა) გვ. 32 ფასი—75 კაპ.; 6) **ი. გრიშაშვილი**—ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა—გვ. 260, ფასი—2 მან. 50 კაპ.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„ბორის გოდუნოვი" მუს. მუსორგსკისა

ოპერა „ბორის გოდუნოვი", რომელიც ამ სეზონში პირველად დაიდგა ა.-წ. 2 თებერვალს, თავისი მუსიკალური შინაარსით წარმოადგენს ფრიად ნიჭიერ და საყურადღებო შემოქმედებას, ვინაიდან შეიცავს სრულ უარყოფას მუსიკალურ ნევრასტენიზმისა და ამყარებს მხატვრულ შემოქმედებას რეალიზმის საფუძველზე. აქედან წარმოსდგება საოპერო მუსიკაში გამეფებულ ტრადიციულ ფორმების მიტოვება და მთელი ყურადღების დამყარება ცალკე ფსიქოლოგიურ მომენტების გაშუქებაზე და მათ ცალკე მომენტების ერთმანეთთან დაკავშირებაზე. და თუ დღევანდელ ახალ მუსიკას ახასიათებს ფსიქოლოგიური „მომენტალიზმი", რომლითაც იგი განსხვავდება ძველ, ტურისნულ (არქიტექტონურ) საფუძველზე დამყარებულ მუსიკალურ შემოქმედებისაგან—შეიძლება დანამდვილებით მტკიცება, რომ წინასწარმეტყველად მუსიკის დღევანდელ მიმართულებისა რუსეთში უნდა ჩაითვალოს სწორედ მუსორგსკი.

მაგრამ აქ ედება საზღვარი ახალი მუსიკის მუსორგსკისთან თანამგზავრობას: ახალი მუსიკა ღრმავებს სფეროს მუსიკალური ზეგავლენისა, უარყოფს მუსიკალურ რეალობას და მიისწრაფვის მოვლენათა აბსტრაქციისაკენ, მუსორგსკი კი აღრმავებს რეალობას და ამ რეალობის საშუალებით მიისწრაფვის ემოციონალურ ზეგავლენისაკენ. ამ მიზანს იგი ანხორციელებს შესანიშნავი ნიჭის და ტეხნიკის საშუალებით,—და ამიტომ მისი ოპერა „ბორის გოდუნოვი" წარმოადგენს ფრიად საყურადღებო ნიმუშს, როგორც მუსიკოსებისათვის, ისე ფართე მასისათვის.

ზემოხსენებულ „მომენტალიზმი"-ს მიხედვით სასიმღერო როლები ამ ოპერაში დამუშავებულნი არიან ავტორის მიერ არა როგორც მთლიანი განვითარებანი რომელიმე მუსიკალურ თემისა, არამედ, როგორც ცალკე დამახასიათებელი ნაწყვეტები, შეკავშირებულნი ფსიქოლოგიური განცდის განვითარებით რომელიმე პიროვნებაში. ამიტომ ამ ოპერაში არ მოიპოვება აღმასრულებელთა ხმების სიმდიდრეზე და მელოდიურ სილამაზის ზეგავლენაზე დამყარებული არიები, და აღმასრულებელთა მთელი ყურადღება მიმართული უნდა იყოს ცალკე ფსიქოლოგიური მომენტების გაშუქებაზე და ინტონაციის რეალობაზე.

გაუგებარ მიზეზების გამო, სამწუხაროდ დამუშავებული შესავალი ოპერისა, ორკესტრის მიერ იყო სრულიად გამოტოვებული, და ოპერა დაიწყო პირდაპირ პირველ სურათიდან, რომელიც წარმოადგენს გოდუნოვის ხალხთან გამოსვლას და ხალხის მიერ გოდუნოვის დიდებას. ამ სურათში ვერ ვნახეთ საჭირო გაქანება ვერც ხალხის მასიურ მოძრაობაში, ვერც თვითონ გოდუნოვის (შარაშიძე) კილოში და ამიტომ ამ მძლავრად აშენებულმა სურათმა, სუსტად ჩაიარა. მაგრამ უკვე მესამე სურათში, შარაშიძემ იპოვა საჭირო კილო და დაგვიმტკიცა, რომ მას სრულიად შეგნებული და შეთვისებული აქვს ბორის გოდუნოვის დამახასიათებელი სახე. სცენიურად მან წარმოგვიდგინა ბორის გოდუნოვი და მისი განცდა ისე, რომ გარეგან ეფექტის შესაქმნელ თეატრალურ გადაჭარბებას არსად ადგილი არ ჰქონია. ვოკალური მხარე როლისა შარაშიძეს აქვს მშვენივრად შესწავლილი, ბევრ ადგილებში ჰპოვებს იგი სრულიად შესაფერის ინტონაციას, მაგრამ ცალკე ფრაზების განგებ შეკვეცილობა ჩვენ მიგვაჩნია გადაჭარბებულად და, ჩვენის აზრით, აუცილებელია შარაშიძის მიერ ამ ფრაზების ბგერათა გაგრძელება და გამრგვალება, რაც გამოიწვევს მაყურებელზე შთაბეჭდილების გაათკეცებას.

რეზეზოვას (მარინა) მთელი ყურადღება მიმართულია სცენიურ ეფექტების შექმნისაკენ და მრავალ ფრაზას იგი იწყობს ხმის მთელი და ამიტომ ერთი და იგივე სიმძლავრით: მაგრამ ვინაიდან შთაბეჭდილება იბადება სხვადასხვა მომენტების შედარებისაგან—რჩება შთაბეჭდილება მხოლოდ პირველ ფრაზიდან, სხვა ფრაზების სიმძლავრე-კი იკარგება. ამიტომ საჭიროა ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი გრადაციის შენახვა.

სულ სხვა შთაბეჭდილებას სტოვებს რეზეზოვა თავისი როლის ლირიულ ადგილებში, სადაც მისი ხმა, მეტადრე შუა ფარდების პირველ ნაწყვეტში იტაცებს თავისი გამომეტყველებით და მომხიბვლელობით. ამ შთაბეჭდილებას ხელს უწყობს მსახიობის მშვენიერი გარეგანი შეხედულობა და თავისი როლის კარგად შეთვისება. მსახიობისათვის აგრეთვე საჭიროა მიაქციოს ყურადღება სიტყვათა მეტყველების (დიქციის) გაუმჯობესებას.

აგრანოვსკი (გრიშკა ოტრეპიევი) ასრულებს თავის როლს უნაკლოთ და მუსორგსკის შემოქმედების ხასიათი მას აქვს მშვენივრად შეგნებული, რაც ამტკიცებს მსახიობის სრულ აზროვნებას.

შესანიშნავი პიმენია ლუბენცოვი; ეს როლი უნდა ჩაითვალოს საუკეთესოდ მის რეპერტუარში.

დემიანენკომ კარგად შეასრულა ვარლამის როლის სცენიური მხარე.

მილხანოვმა დაუშვებელი მიხვრა-მოხვრით გადალახა ასაკილის საზღვარი და ამიტომ ამ ფრიად საინტერესო როლმა სცენიურად სრულებით დაჰკარგა მხატვრული ხასიათი.

ოპერას ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

„რღვევა"—რუსთაველის თეატრში

ხუთშაბათს, 9 თებერვალს, რუსთაველის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნება ლავრენევის ცნობილი პიესა „რღვევა". პიესას სდგამს რეჟ. ალ. ახმეტელი.

„რღვევა"-ს დადგმაში რუსთაველის თეატრი უმთავრესად ემყარება პიესაში მოცემულ რევოლუციონურ მხარის განსახიერებას. ყველა ის სპეციფიური გამოთქმები და მომქმედ პირთა ჟარგონი, რომელიც დედანში აქვს ავტორს, თარგმანში გადმოქართულებულია და შეთანხმებულია ქართულ გამოთქმებთან.

კაპიტან ბერსენევის (პირველი და მესამე მოქმედება) ოჯახის წევრთა ფსიქოლოგიური რღვევა რეჟისორის მიერ განსახიერებულია ნეორეალისტური ხერხით. ხოლო კრეისერ „ზარია"-ს მეზღვაურთა ამბოხება და დროებითი მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება კონსტრუქტიული მიდგომით.

„რღვევა"-ს მთავარი როლები შემდეგნაირად არის განაწილებული: არტემ გოდუნი—უშანგი ჩხეიძე, კაპიტანი ბერსენევი—აკაკი ხორავა, ტატიანა—თამარა ჭავჭავაძე, ქსენია—ნინო ვლადიმერის ასული ალექსი-მესხიშვილი, ფონ-შტუბე—გიორგი დავითაშვილი, ჩეჩი—აკაკი ვასაძე, სოფიო ბერსენევისა—ნინო დავითაშვილი და სხვ.

ცირკი

დუროვის გასტროლები

მესამე დღეა, ცირკ „კოლოს"-ში იმართება ანატოლი დუროვის გასტროლები, რომელიც დიდძალ საზოგადოებას იზიდავს. ვინ არ იცნობს დუროვების განთქმულ ოჯახს. დაახლოებით ამ 30 წლის წინეთ, თავისი გაწვრთნილი ცხოველებით ცირკის მოედანზე გამოვიდა ორი ძმა—ანატოლი და ვლადიმერ დუროვები, რომლებმაც იმ თავითვე განცვიფრებაში მოიყვანეს ცხოველების ფსიქოლოგიის ცოდნით, მათი მოთვინიერებით და გაწვრთნით არა მარტო უბრალო მოქალაქე—მაყურებლები, არამედ ზოოლოგი-მეცნიერებიც. მაგრამ ძმები დუროვები საზოგადოების ყურადღებას იპყრობდნენ არა მარტო გარეულ ნადირთა (აგრეთვე შინაურ ცხოველთა) ანტროპო-ზოოლოგიური გარდაქმნის უნარით, არამედ იმითაც, რომ თავის გაწვრთნილ ცხოველებს ისინი მოხერხებულად იყენებდნენ საზოგადოებრივი სატირისა და შარჟისათვის, რომლითაც სასტიკად და გესლიანად ამათრახებდნენ ძველ ბიუროკრატიულ წყობილებას, მეფის სატრაპებს და ჩინოვნიკობას. მეფის მთავრობისაგან მათ არა ერთხელ განიცადეს დევნა და გადასახლება. თავისი მამის,—ამ უკვე გარდაცვლილ ანატოლი დუროვის და ბიძის—ვლადიმერის კვალს გაჰყვა ანატოლის შვილი ახალგაზრდა ანატოლი ანატოლის ძე დუროვი, რომელიც ამჟამად გასტროლიორობს თბილისში. მანაც მიზნად დაისახა გაწვრთნილ ცხოველების გამოყენება საზოგადოებრივი სატირისათვის. მსოფლიო ომის დაწყების პირველ წლებში რუსეთის მთავარ ქალაქების ცირკებში მან მოაწყო ცხოველთა ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია, რისთვისაც იგი გადასახლებულ იქნა სამი წლით შორეულ ჩრდილოეთში. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი თავის ცხოველებით გაემგზავრა საზღვარ გარეთ. სადაც გასულ წლამდე აწყობდა თავის გასტროლებს. მის მიერ გაწვრთნილ ცხოველთა დასი შეიცავს 100 ეკზემპლიარს. მათ შორის, მრავალია ვირთხა, ძაღლი, კატა, ღორი, მაიმუნი, კენგურუ, მამალი, შველი, დათვი, ზღვის ლომი და სხვა. უმცროს დუროვის ცხოველების სათამაშო ნომრები თითქმის იგივეა, რაც მისი მამისა და ბიძისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოხუც დუროვების ანტროპო-ზოოლოგიური დასის მიერ ადამიანთა ცხოვრების ამეტყველებას უფრო მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, დუროვის ცხოველები მაინც დიდ ინტერესს იწვევენ. უბრალო ნიშნის მიცემით ძაღლები, დათვი, მაიმუნი საკრავზე უკრავენ, ცეკვავენ, ეტლში ებმებიან, ღორი კიდევ მეეტლის როლს ასრულებს, მელა ზურგზე მეგობრულად ისვამს მამალს, ხოლო ზღვის ლომები უფრო მოხერხებულად ჟონგლიორობენ და უფრო უკეთ თამაშობენ ბასკეტ-ბოლს, ვინემ ცირკის ჟონგლიორები.

ამ საიდუმლოების თვით ამ ცხოველთა დასის რეჟისორმა დუროვმა ახადა ფარდა: არა ადამიანის იდუმალი ძალით,—ჰიპნოტიური შთაგონებით, არამედ ცხოველთა ცხოვრების, მათი ბუნებისა და თავისებურების სერიოზული მეცნიერული შესწავლით, მათთან დაახლოებით, ლმობიერებით და მზრუნველობით შეიძლება ადამიანმა თავის ნებისყოფას დაუმორჩილოს ცხოველთა სამეფო.

ნოვა.

სასამართლო

ფესიერების „დამცველი"

მე-12 სამილიციო რაიონის უნცროსი თანამშრომელი კირილე თადოსძე გაბისონია მქლავ მაგარი კაცია. უყვარს ღვინო და ქუჩაში ჩხუბი. უყვარს აგრეთვე უშვერი სიტყვები და ლანძღვა გინება.

ამას წინად იგი მისმა ამხანაგებმა დაპატიჟეს სასადილოში. იქეიფა ლაზათიანად. შემდეგ ბარბაცით ამოვიდა სასადილოდან და ღამის 12 საათზე „საბრძოლველად" გავიდა ქუჩაში.

მიდიოდა კლარა ცეტკინის ქუჩაზე, ერთ ფეხს ფილაქანზე დაადგამდა, მეორეს ქვაფენილზე გადაალაჯებდა. ქანაობდა დასალუპავად განწირულ გემივით.

— ცოტა ფრთხილად, ამხანაგო, მიაძახა გაბისონიას მოქალაქემ, რომელსაც გვერდი კინაღამ ჩაუმტვრია გაბისონიამ.

— რაშია საქმე, მოქალაქევ, განა მე მთვრალი ვარ?

—სცდები, მე მთვრალი არა ვარ, ორი კვარტ ღვინოს კიდევ დავლევ,—ამბობს გაბისონია.

შემდეგ გაბისონია შემოუტრიალდა მოქალაქეს და მკვახეთ შეუკურთხა.

შეგროვდა გამვლელები. გაბისონიამ დაუწყო მათ გინება.

გაჩნდა მეეზოვე.

იცით, მე ვინა ვარ? ყვიროდა გაბისონია და ხელს მილიციის ფორმაზე იკიდებს.

მეეზოვემ დაუსტვინა.

— შენ ვისი მეეზოვე ხარ, გოჭი ხარ... გაეთრიე აქედან.

გაბისონია კვლავ „საბრძოლველად" მოემზადა, მაგრამ ანგარიში არ გაუმართლდა.

მილიციელმა და მეეზოვემ მაგრათ წაავლეს ხელი, ჩასვეს ეტლში და მიაბრძანეს კომისარიატში.

გაბისონიას ბრალდება ხელისუფლებისათვის სახელის გატეხა.

საქმე გადაეცა თბილისის მაზრის სასამართლოს.

ტ.

კონტრაბანდისტები

ოვანეზ სიმონისძე ასლანიანცი და ლეონ გრიგოლისძე რშტუნი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ასლანიანცმა წინადადება მისცა რშტუნს დაეწყოთ კონტრაბანდისტობა, რაზედაც იგი დათანხმდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მეგობრებს დიდხანს არ დასცალდათ ამ ასპარეზზე „მუშაობა". ის იყო რამოდენიმე ყუთი საქონელი უნდა გაეგზავნათ როსტოვში, რომ გამოაშკარავდა მათი ოინები და ორთავე დააპატიმრეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე.

გაჩხრეკისას ასლანიანცის და რშუნის ბინაზე აღმოაჩინეს კონტრაბანდა საქონელი.

საქმე მალე გაირჩევა თბილისის სამაზრო სასამართლოში.

თ.

გაფლანგვა

ზაქარია ეპიფანესძე მეგრელიშვილი დიდუბე-ნაძალადევის მმაჩის სექციის გამგე იყო. მას ევალებოდა მოქალაქეებისაგან განცხადებების მიღება. და ამ განცხადებებზე მარკების დაკვრა. მაგრამ მან ისეთი რამ დაივალა, რაც მისთვის არავის დაუვალებია: სახელდობრ, აკრეფილ საღერბო თანხიდან „სამარკო" ფული ჯიბეში ჩადება.

ამგვარი ხრიკებს მეგრელიშვილი ეწეოდა ერთი წლის განმავლობაში.

დადასტურდა, რომ სახაზინო ფულებს იგი ითვისებდა ყალბი საბუთების შედგენის გზით.

ყოველივე ეს გამოაშკარავდა და მეგრელიშვილი პასუხისგებაში მისცეს.

საქმე მალე გაირჩევა.

შემთხვევები

დაჭრა

—გუშინ, დღისით ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით მსუბუქად დასჭრა ვალენტინა ტერესჩენკო (მცხ. როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 19).

— გუშინ, დღისით ვიღაც ბოროტმოქმედმა კამოს და სემიონოვის ქუჩის კუთხეში დანით დასჭრა ხანუმ ხაჩატურის ასული აკოპიანი.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის შესაპყრობად.

—გუშინ, დღისით დიდუბეში ნიკოლოზ სტეფანესძე იაგუშევიჩმა დანით მძიმედ დასჭრა ათონი ვასილისძე დიმინიჩი.

იაგუშევიჩი დაპატიმრებულია.

ქურდის შეპყრობა

რამოდენიმე დღის წინად მუშკოოპის მაღაზიიდან (პლეხანოვის პროსპექტი № 34) ვიღაც ბოროტმოქმედმა მოიპარა 41 ცალი ტოშარი. გუშინ მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა პოლის ანდრიანოვი.

საპარიკმახეროს გაქურდვა

გუშინ, დღისით გაქურდეს საპარიკმახერო (პლეხანოვის პროსპექტი № 55). წაიღეს 150 მანეთის ხელსაწყოები.

თავის მოწამვლა

გუშინწინ, ღამით ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა სათენიკა პოლოსის ასულ მაზმანაშვილმა (მცხოვრები მესამე ახალშენის შესახვევი № 11).

თავის მოწამვლის მიზეზი ოჯახური უსიამოვნება.

თოვლი ამიერ-კავკასიაში

3 თებერვალს თბილისში დაიწყო თოვა. თოვლი მოდის აგრეთვე ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებშიაც, რაც გავლენას ახდენს მატარებლების მოძრაობაზე.

დასავლეთ საქართველოში თოვა ხანგამოშვებით სწყდება და ამ დროს მოდის წვიმა. იქ საშუალო ტემპერატურა ნულ გრადუსს უდრის.

აზერბეიჯანშიც თოვს და ჰქრის ძლიერი ქარი. ხაჩმასში ტემპერატურა შვიდ გრადუსს უდრის ნულს ქვევით, ქიურდამირში—8 გრადუსს. ბაქოში ხუთი გრადუსი სითბოა. ლიაქში ქარიშხალია.

სომხეთშიაც თოვს. ლენინაკანში ყინვა 18 გრადუსს უდრის.

დიდი თოვლის გამო ხაშ. ემბათში და ჩერნოგორსკაიაში გაჩერდნენ საბარგო მატარებლები, რომლებმაც დაიგვიანეს ოთხი საათით.

რადიო-გადაცემა

კვირა, 5 თებერვალი

დღეს, 5 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი და პიონერების გამოსვლა—რუსულ და ქართულ ენებზე; საუბარი აგრონომიაზე—ქართულ ენაზე; მეაბრეშუმეობა საქართველოში—ქართულ ენაზე; გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი—სომხურ ენაზე; ნავთის ბუდობები გორის მაზრაში—კავთისხევში—ქართულ ენაზე; წითელი არმიის როლი ამიერ-კავკასიის მშრომელთა განთავისუფლების საქმეში—სომხურ ენაზე; ოპერის ტრანსლიაცია; ობსერვატორიის ცნობები; პასუხები რადიო-მოყვარულთა წერილებზე; ა.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ორშაბათი, 6 თებერვალი

სურამის საღელტეხილო ელექტროფიკაცია—ქართულ ენაზე; ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის—ქართულ ენაზე; მოხსენება სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ—რუსულ ენაზე; წითელი არმიის როლი ამიერ-კავკასიის მშრომელთა განთავისუფლების საქმეში—თურქულ ენაზე; საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—რუსულ ენაზე; კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე; გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე; ტრანსლიაცია მოსკოვიდან; ა.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ფეხბურთი

ფეხბურთელთა გუნდების რეგისტრაცია

ა. წ. 6 თებერვლიდან იწყება ქ. თბილისის ყველა იმ ფეხბურთელთა გუნდების რეგისტრაცია, რომელთაც სურთ მონაწილეობის მიღება 1928 წლის გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშებაში.

გუნდების რეგისტრაცია სწარმოებს შემდეგნაირად:

პროფკავშირების გუნდები ანკეტებს მიიღებენ ს. პ. ქ. ს. ფიზკულტურის ბიუროში და იქვე წარადგენენ შევსებულ ანკეტებს ორ ცალად.

კლუბების, სამხედრო უწყების და უმაღლეს სასწავლებლების გუნდები ანკეტებს მიიღებენ ფიზკულტურის თბილისის საბჭოში ამხ. კუნქულიასთან და მასვე ჩააბარებენ შევსებულ ანკეტებს ორ ცალად.

ანკეტა, რომელიც სათანადოთ არ იქნება შედგენილი, უკანვე იქნება დაბრუნებული და გუნდი არ ჩაითვლება რეგისტრაციაში გატარებულად.

გუნდების რეგისტრაციის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია ა. წ. 20 თებერვალი; გუნდები, რომლებიც დროზე არ წარადგენენ ანკეტებს, არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან დაშვებული პირველობის გათამაშებაზე.

სეზონის დაწყება მსაჯთა კოლეგიას განზრახული აქვს საქართველოს გასაბჭოების დღეს. ა. წ. 25 თებერვალს.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, ორშაბათს 6 თებერვალს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ელენე ქანანოვა; ალექსანდრე ცომაია; დიმიტრი ხიმშიაშვილი; ოლღა კუზნეცოვა-ბერე; სოფიო ტრონიცკაია და ანნა გოლუბოვა. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** იუშა ბაშიროვი; სარქის მარტიროსოვი და არტაშეს პოღოსოვი. **საგარანტიო სექციიდან:** გიორგი პირველი, ვლადიმერ ზერდეჟნისკი; ირაკლი ბაბახანიდი; გიორგი ნეიმანი; ემილიანე ლაზარევი; მიხეილ არეშიძე; ალექსანდრე ლომიძე; დავით ხიმშიაშვილი; ისააკ ზერეკიძე; სამსონ თხილავა, ილია მოშიტაშვილი, მარია პანტურია; ნიკოლოზ ვექლერ; ტატიანა სირია, არჩილ კაკულია; გრიგოლ სიხარულიძე, ივანე პლატონოვი; ვანო მებუკე; ეკატერინე სტეფანოვა; მიხეილ მაჭაშვილი; იუსტინე დანელია: ივანე გიორგაძე; ივანე მელნიკოვი პელაგია ლაცაბერიძე, ლევან კანკავა, ბესარიონ ლომიძე.

შრომის ბირჟის მედსექციაში დამატებით მიღებულია მოთხოვნილება მედპერსონალზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომ. პარ. (ბ) აგიტ-პროპ. განყოფილებაში—ორშაბათს, 6 თებერვალს მოწვეულია თათბირი, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: **მამალაძე** (საკურორტო სამ.), **ვ. აგაჭავა, დ. კანდელაკი, ვ. კიკნაძე, ალ. ყამარაული, აივაზოვი** („კუსტპრომი"), **მალ. ტოროშელიძე, ამირალოვი** (სახელმწიფო ვაჭრობა), **ბაგრატიონი** (საბჭ. სავაჭრო ფლოტი), **ცურინოვი** („ზაკ. ავტოპრომტორგი"), **ივანოვ-კავკასკი, ივანოვი** (რკ. გზ. სამმართველო) და **მაჩაიძე** (საქართველოს პროფ. კავშ.)

— : —

ს.კ.პ. (ბ) ც. კ. მ. და გ.-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება 8 მარტის დღესასწაულის ჩასატარებლად იწვევს თათბირს, რომელიც შესდგება ორშაბათს 6 თებერვალს—28 წ. დილის 10 საათზე ს.კ.პ. (ბ) ც.კ. შენობაში, ოთახი ნომერი 24.

— : —

საქართველოს კომ. პარ. ცენტრ. კომიტ. ეროვნულ უმცირესობათა ქვე-განყოფილება იტყობინება, რომ ხვალ 6 თებერვალს, დილის სრულ 11 საათზე მოწვეულია ეროვნულ უმცირესობათა კოლეგიის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მეგრელიძე; შამენ დეშშევოი; ბელოზეროვი; მაქსიმოვი; მუსაელიანი; ესაია; იცკოვიჩი; ჩხარტიშვილი; ფირალოვი; ნარიმანოვი და ცქვიტინიძე.

— : —

ლენინის რაიონის მუშა-გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იტყობინება, რომ ხვალ, 6 თებერვალს, ნაშუადღევს 3 საათზე რაიკომის ახალ შენობაში შესდგება ქალთა თათბირი.

— : —

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ ამა წლის 6 თებერვალს დანიშნული სტუდენტთა სამხედრო ლაშქრობა გადადებულია.

ლაშქრობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 2 დღით ადრე.

— : —

საქართველოს კომ. პარ. თბილისის ორგანიზაციის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ხვალ, 6 თებერვალს, დილის 10 საათზე აღნიშნულ განყოფილებაში ამხ. თარხანოვთან.

ივანე ნესტორის ძე ეფრემიძე; მიხეილ გიორგის ძე სოხაძე, ალექსანდრა პეტრეს ასული ლაფანიშვილი, ჟაკ ივანეს ძე მადინსკი, პავლე მალაქიას ძე კაპანაძე, გიორგი გიორგის ძე ხალათიანი, ვარლამ მალაქიას ძე ყრუაშვილი, ელისაბედ ალექსანდრეს ასული დადაევა, ბარნაბ ილიას ძე დაშნიანი, სიმონ იოსების ძე აგაშენაშვილი, ვლადიმერ იოსების ძე კაკაბაძე, სერგო კლემენტის ძე ებრალიძე, შალვა ტარასის ძე მელაშვილი, მარო ალექსანდრეს ასული სუქიასოვა, ანასტასია ივანეს ასული კოვალენკო, სერგო ალექსანდრეს ძე ჯარიმნელოვი, აპოკრატ ბოგდასარის ძე ადანესოვი, ივანე იოსების ძე პატარაია, გრიგოლ ივანეს ძე სიხარულიძე, ევა ალექსანდრეს ასული გაზაევა, ლეონ დიმიტრის ძე თაქნიაშვილი, ვასილ ბესარიონის ძე ჩიტიძე, ქსენია ლევანის ასული თავართქილაძე, რომანოზ სპირიდონის ძე ლობელაძე, სევერიანე თედორეს ძე ბზეკალავა, გიორგი ესტატეს ძე კაკაბაძე, ნინო სიმონის ასული ბოლქვაძე, ალექსანდრე სერგოს ძე ქაზამაძე, ლუარსაბ სოლომონის ძე [illegible], ივანე სიმონის ძე ფირალოვი, ვასილი გაბრიელის ძე კალანდარიშვილი, [illegible] გიორგის ძე კასაშვილი, არკადი სოლომონის ძე ზამთარაძე, ქეთევან კალისტრატეს ასული სავარელი, ნიკოლოზ გიორგის ძე ბზიაშვილი, ვიქტორი ვასილის ძე თოფურია, ვერა ვლადიმერის ასული კონოპკი, ილია იაკობის ძე გოძიაშვილი, ალექსანდრე ანდრიასძე რამიშვილი, ალექსანდრე რაჟდენის ძე კვინტრაძე, მარო ნიკოლოზის ასული თოიძე, იოსებ აბრამის ძე მაღალაშვილი, შალვა გიორგის ძე პუხაევი, ივანე დიტოს ძე ბაურია, ნინო გრიგორის ასული დიდიძე, ალექსანდრე გიორგობიანი, მიხეილ სიმონის ძე დალაქიშვილი, ნოე ერმალოზის ძე ფოფხაძე, მიხეილ შომახიძე, დავით ბესარიონის ძე გაბუნია, ივანე ივანეს ძე კულარიდავა, რომანოზ ბეგლიარის ძე გოგიშვილი, კირილე სამსონის ძე გოგუა, ელპიტი დავითის ასული შენგელია, დიმიტრი ლავრენტის ძე ბრიაცინსკი, მიხეილ სარდიონის ძე გაბუნია, მიხეილ დიმიტრის ძე სიხარულიძე, ლიუსია ვასილის ასული იარალოვა, აპოლონ გიორგის ძე სირაძე, ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დზისა, ვსევოლოდ ანტონის ძე ზეირი, გიორგი დავითის ძე დავითიანი, ალექსანდრე ანტონის ძე ჩხაიძე, აკიმ დ. რეზნიჩენკო, ანტონ პეტრეს ძე კოსია, ალექსანდრე ივანეს ძე ლობჟანიძე, ერმოლოზ ლევარსისძე გვარჯალაძე, კონსტანტინე ედიშერის ძე ვაშაძე, ნესტორ ივანეს ძე სიხარულიძე, მიხეილ ისიდორეს ძე სერგეევი, ნესტორ ბეჟანის ძე ნერსესიანი, ვასილი ბესარიონის ძე ჩიტაძე, ესენი სავლეს ძე გალკოვიჩი, ბორის ლეონტის ძე დულკოვსკი, ივანე ნიკოლოზის ძე კლოჩკო, ვენიამინ ალექსანდრეს ძე რეუტოვსკი, ამაიკ აგაჯანის ასული ვანიევა, ალექსანდრე პავლეს ძე ბალიაშვილი, ვარნავ ბეგლარის ძე მიქაია, ოლღა ექვთიმეს ასული კუკვიძე, ვარლამ ერასტის ძე სანაძე, ტუღუში ბალდასარის ძე ხუციშვილი, ვალერიან ნიკოლოზის ძე ბაკურაძე, [illegible]ერიან ნიკიფორეს ძე გონაძე, სენექტორ ავეტის ძე ზანტონიანი, ნაუმ იოსების ძე რაზმო, ანდრო სერგოს ძე სექტიკური, ანეტა ტიტეს ასული კალაძე, გიორგი იოსების ძე გიკაშვილი, ალექსანდრე ოჰანესის ძე კაზანცევი, ვასილ ნესტორის ძე პანტურია, დავით ივანეს ძე ვაშაკიძე, არშალუის კარაპეტის ძე არამოვი, შუშანა რუბენის ასული მინასიანი, ფილიპე ბათლ. მანაგაძე, შალვა თეიმურაზის ძე ხოხიაშვილი, პეტრე გაბრიელის ძე კერესელიძე, იაკობ ილიას ძე ელიოზოვი, სერგო ლუარსაბის ძე კაციტაძე, ხორენ მკრტიჩის ძე ადამოვი, აბრაკერ გიორგის ძე ხაჩატუროვი, თამარა მაქსიმეს ასული ცინცაძე, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გორგასლანიძე, ივანე მათეს ძე ბიბილური, სიმონ სერგოს ძე არალაშვილი, გარიბ წყალობის ძე დემუროვი, ნიკოლოზ ირაკლის ძე კალანდაძე, ალექსანდრე თედორეს ძე კულიაპინი, იოსებ პოლიკარპეს ძე ბახტაძე, ლეო ავეტის ძე ვართანოვი, ალექსანდრე მაქსიმეს ძე ცინცაძე, გიორგი გიორგის ძე კანანოვი, ზეინა ზადე ამმედ ჯაფარი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კევხიევი, კარლო ალექსანდრეს ძე გამსახურდია, ივანე გიორგის ძე ბურდული, ანა ვარივოლტოვსკაია, პლატონ გრიგოლის ძე აფშილავა, ვალენტინა ნაშუკიროვა, ფეოდოსი პეტრეს ასული კაპანაძე-პეტროვა და ევნატე გიორგის ძე ტედიევი.

ორშაბათს, 6 თებერვალს საღამოს 6 საათზე მოწვეულია

თბილ. საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა

სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად.

1. **კომუნალური**—მუშათა თეატრი (ქორესის ქ.)
   დღის წესრიგი: 1) სარაიონო კომისიის მოხსენებები თავიანთი მუშაობის შესახებ; 2) „ტელას"-ის მოხსენება მუშათა უბნების განათების შესახებ; 3) მიმდინარე საკითხები.
2. **სახალხო განათლების**—განათლების მუშაკთა სახლში, ფურცელაძის ქ. № 3 (ყოფ. კალოუბნის ქ.).
   დღის წესრიგი: 1) მოხსენება გასამხედროების საკითხის შესახებ სკოლებში; 2) მიმდინარე საკითხები.
3. **სახ. ჯანმრთელობის**—თბ. საბჭოს წით. დარბაზში, ოთ. № 234.
   დღის წესრიგი: 1) მოხსენება პროფილაქტიური სკოლისა და სამალიარიო დისპანსერის მუშაობის შესახებ; 2) მიმდინარე საკითხები.
4. **საფინანსო-სამრეწველო**—თბ. საბჭოს წითელ კუთხეში, შესავალი ყოფ. ველიამინოვის ქ.
   დღის წესრიგი: 1) ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მოხსენება; 2) მიმდინარე საკითხები.
5. **სავაჭრო-კოოპერატ. სექცია** - თბ. საბჭოს შენობა, ოთ. № 22.
   დღის წესრიგი: 1. მუშკოოპის მოხსენება ხორცის ბაზრის მდგომარეობის შესახებ; 2. კოოპერატიულ და კერძო სასადილოების გამომკვლევ კომისიების გამოყოფა; 3. სადუქნო კომისიების გამოყოფა სახელმწიფო-სავაჭრო ორგანიზაციებში.

ნ. 584

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

ცხოველთა სამეფოში

II *)

რაღაცა ხალისით დავიწყე ცხოველებზე საუბარი. მინდა რამდენიმე მაგალითი კიდევ მოვიყვანო საკუთარის დაკვირვებიდან — პირუტყვების მაღალ თვისებათა აღსანიშნავად.

ბევრი ამ თვისებათაგანი ჩვენ მხოლოდ ადამიანის უპირატესობათ წარმოგვიდგენია და ასე გვგონია — პირუტყვები მოკლებული არიან ამ ბუნებრივ ჯილდოს. (მაგალითად [illegible] ან მადლობისა, სილამაზისა და რაინდობის გრძნობა).

ბევრი მაღალი თვისება კი მხოლოდ პირუტყვების საგანგებო ღირსებათ გადაქცეულა. ადამიანისთვის კი სრულიად უცხოა ეს თვისებანი. ჩვენ ვტყობილობთ მათ შესახებ პირუტყვების წყალობით, როცა ისინი ამჟღავნებენ ამ თვისებათა [illegible] შედეგს. (მაგალითად, მიმხრობა რაიმე ადგილისა, წინაგრძნობა, ყნოსვა და სხვა).

მაგრამ სჯობია თვით ცოცხალი მაგალითებით ავამეტყველოთ. ეს უფრო გასართობიც არის, საყურადღებოც, დასაკვირვებელიც და თან დამაჯერებელიც.

ნათესაური სისხლი

სვანეთში მოგზაურობა — ერთი საუკეთესო გავლათაგანია ჩემ სიცოცხლეში.

პირველყოფილი სილამაზენი. მარადიული სახენი და მოჩვენებანი თავისი სიმძლავრეში შეუვალის ბუნებისა. სტიქიონების მოვარდნა და გარდალახვანი, როგორც იქაურ მთა და ბარში, ისე თვით ხალხშიც. (განა სტიქიონურ სიმძლავრეს არ წარმოადგენს სვანების უბადლო მეტყველობა?)

თითქოს ყველაფერს ვუნახავდით დროთა სათვალავიდგან დაკარგულ მანძილზე. თითქოს ვჭვრეტდით შორეულ დასაწყისის იმ სათავეებს, სადაც ყველა და ყველაფერი ენათესავებოდა ერთმანეთს. შენ თავსა გრძნობ ნაწილად ყოველ ცხოველის, ყოველ მცენარის, ნადავის ყოველ მოქცევის. მხოლოდ სიცოცხლის სასწაულებრივი განვითარებით გამყოფხარ შენ ძმებს, შენ მშობლებს, შენ წინაპრებს.

აქ თითქოს იღვიძებს გამოძახილი იმ შორეულ ინსტიქტებისა — პირველყოფილ სიმძლავრეს რომ წარმოადგენდენ ყოველ სულდგმულისთვის.

რაღაც შორს გადამწვდენი გრძნობით უჭვრეტ აქაურ ხალხს, ცხოველებს, მთებს, მდინარეებს.

ამ იარაღაფურელ სიმძლავრითა და სილამაზით ატორტმანებულ ბუნებაში გრძნობ შენი თავის რაღაც დამახვილებას, რაღაც მიხვედრათა გამოფხიზლებას და სწორედ ამ განწყობილებაში...

ეს იყო 1925 წელს, ამხ. ფილიპე მახარაძის მოგზაურობის დროს სვანეთში.

მესტიაში ვართ. ერთი საუცხოვო ხარი დაჰკლეს ჩვენი შინის მახლობლად. პირველი დღე გავიდა უბრალოდ, მოთვალიერ - მოთვალიერებაში. მეორე დღეს სახალხო კრებაა. აუარებელ ხალხს მოუყრია თავი შუაგულ სოფელში. სადაცა კრებაც გაიხსნება. უცებ გაისმის საზარელი ბღავილი.

მოვიხედეთ:

იქ, გუშინდელ ხარის ნასისხლარზე უბედურობას აღწევს ერთი ხარი. ლამაზად რქებ-შეურილი და ღიმივით გააფთრებული საშინელის სიძლიერით დაზბლუის ამ ნასისხლარ ნიადაგს. ხან დაიჩოქებს, რქებით დაემხობა მიწაზე და ჰგოდებს, ჰგოდებს გულშემზარავად. ხან წამოდგება, ტორებით ბდღვნის იქაურობას და ისევ ბღუის, საზარლად ბღუის მთადაბარის შესარყევლად. თითქოს უნდა, ქვესკნელს ახმაროს თავისი ბოღმა, იქ, ნიადაგის გულს ამცნოს სიცოცხლის აყრა დაუნდობარი.

დიდხანს ვუცქეროდით ამ სურათს და გულიც ზანზარებს. ბოლოს იძულებული გახდენ გაუგდოთ ხარი იმ ადგილიდან და ისე დაემყარებინათ საჭირო სიმშვიდე.

ამ მაგალითმა ჩემზე ნაკლებ არ შეიპყრო ახალგაზრდა ამხანაგი მენაბდე და ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენი ფიქრების ხეტიალს სადღაც ახალ სამფლობელოში.

ის ხარი ალბათ გუშინდელს აქეთი მოისაკლისებს თავის ტოლს, ძმას თუ ნათესავს. ეგები მაერშივე ჰყოლოდა ამ სწორის უბედურება ან დაკარგვასაც? და ეძებდა მინდორში, ტყეში, სოფელში. და აგერ წააწყდა სისხლს, იმ სწორის სისხლს, გუშინ დაღვრილ სისხლს. ეხლა აღარ უნდა ძებნა. მიწაში ჩანთქმულ სისხლით იცნო, რომ იმის ტოლი დაღუპულია და მორთო გულის შემარყეველი გლოვა, ჩივილი თუ აღშფოთება,

ადამიანს სად გააჩნია ისეთი ალღო, რომ სისხლის სუნზე სცნობდეს თავის ჯიშს, თავის ნათესავს!

ჩვენთვის ყოვლად შეუცნობელია: რა საგანგებო თვისებებით არის ახასიათებული თვითეული სულდგმულის სისხლი. მაგრამ პირუტყვში კი ეტყობა შთანერგილია ცნობის ისეთი ინსტიქტი, რომელიც სისხლის მეოხებით შეუცდომლად ჰპოულობს თავის მოყმეს.

პირუტყვების ეს თვისება წინედაც შემიმჩნევია. მაგრამ სვანეთის ხარის მაგალითით უფრო მკაფიოდ აღიმართა იგი ჩემ წინ და გარდიქცა დაუვიწყარადაც.

უბედურობის წინაგრძნობა

შარშან ზაფხულს წალვერში ვარ. ვცხოვრობ გზის პირად.

შუადღე იქნებოდა. ბაზრისკენ აიარა ერთმა ურემმა, უკან კოფოზე ძროხა ჰყავდა გამობმული. პატრონიც გვერდზე მისდევდა.

ყველა მშვიდათ მიდიოდა: ურემიც, ძროხაც და პატრონიც.

ეს შევამჩნიე ისე, სხვათა შორის და გადამავიწყდებოდა კიდეც, რა მოეფარენ ჩემ თვალს.

საღამო ჟამია.

ჩემ აივანზე ვსხედვართ მე და ექიმი ა-ძე.

ერთიც ვნახოთ: გზიდან მოგვესმის გინება და ხარის ტყლაშა-ტყლუში.

მოვიხედეთ:

მოდის წეღანდელი ურემი. უკან ისევ ის ძროხა უბია, მაგრამ... ნეტამც გენახათ რა სურათი იყო!

ამ ძროხას წინ გაუზჯგენია ორთავე ფეხი და ერთ ნაბიჯსაც არა სდგამს თვითონ. რქებში წაბმული თოკით ძალი-ძალაზე მიათრევს ურემი. თანაც უკანიდან მოსდგომია ორი უდიერი კაცი და ლანძღვა-გინებით ლამის წელზე სახრეები გადაამტვრიონ. ძროხა კი თავგანწირულად გაჯიუტებულა. თვალებიც გაგანიერებია რაღაც შიშით თუ სასოწარკვეთილებით,

ამ განსაცვიფრებელ გაჯიუტებითა და შიშით თითქოს ის ძროხა შემბლავლა ქვეყანას:

— მიშველეთ! ვიღუპები!

და მართლაც: სასაკლაო წალვერის ზოლოზეა, ძროხა გაეყიდათ ბაზარზე და ეხლა მიჰყავდათ დასაკლავად. ყასაბიც გვერდზე მისდევდა.

ამ სურათზე რაღაც შემაძრწუნებელმა ჟრუანტელმა დაგვიარა ტანში. ეს იყო საზარელი წინაგრძნობა სიცოცხლის მოსპობისა.

როგორ მიხვდა ის ძროხა თავის განწირულობას?

მაერში უკვე გადაიცა საყონლისაც რადიოთი ბოროტი ზრახვის შესაძლებლობა? თუ ამ ძროხას ეცნობება ეს ყასაბი, რომელსაც მრავალჯერ მოუსპია სიცოცხლე მის ნათესავ - მეგობრებისთვის?

ან იქნებ ჩვენთვის შეუცნობელი სხვა იდუმალი გზებით განსჭვრიტა თავისი ბედის უკულმართობა?

წაიყვანეს, დაჰკლეს.

ამ მაგალითით მეათასედ, მაგრამ უფრო ცხადად წარმოიდგა თვალწინ — რამდენი მხეცობაა საერთოდ კიდევ ადამიანში და რამდენი ადამიანობაა პირუტყვში.

პირუტყვის გოდება

ზაფხულია. სოფელში ვარ.

ჩემ კარის მეზობელს მინდორში ხარი გახდომოდა ავათ, ახალ გათიბული ყანა ეჭამა უზომოთ და ეწუხენება.

მამა-პაპეულით რაღაც თავდაუწყველი სიღარიბე მისდევს ამ გლეხის გვარეულობას. ჯერ არავის ახსოვს, რომ უღელ ხარზე მეტი ჰყოლოდეს ვისმეს ამ საგვარეულოში.

ჩემი მეზობლის ქონებაც ეს უღელი ხარი იყო. და ამ გაზაფხულზე მუშაობის დროს აკი ცალი ხარი სასიკვდილოდ გაუხდა ავათ.

როგორც იქნა მოიყვანა თუ მოათრია შინამდის და აგერ ცოცხალ - მკვდარი ჯალოზე გდია.

მუცელი საზარლად გაზბერია დიდი რუმბივით. თავი უარაქათოდ გადუგდია განზე და უწყინ თვალებით კი მოგვჩერებია მის ახლო მდგომ ხალხს, თითქოს შველას გვევედრებოდესო.

პირში ძაღლის - ძალათი ასხეს დო, მაწონი, მაგრამ არაფერი ეშველა. ყოველ წუთში ხარი უარესად ხდებოდა. მუცელი ისე გაებერა—გვეკვირებოდა რატომ არა სკდებოდა.

შველა აღარ არის. ბოლოს გადასწყვიტეს: უსულოდ სიკვდილს ისევ სჯობია დაკლათ და სხეულის გაყიდვით ცოტას მაინც შეეფარება პატრონსო.

დაუძახეს მეზობლის, რომელსაც ემარჯვება დაკვლა. მოვიდა. ხელში გალესილი სანჯალი უჭირავს. ამის დანახვაზე პატრონმა მორთო გულგასახეთქი ღრიალი და ხარის მიეხვია კისერზე:

— ვაიმე ჩემო ხარო! ვაიმე დაღუპული ოჯახო!

და...

თვითონ ხარსაც ჩამოსდის მდუღარე ცრემლები. ზმუკუნებს საბრალოდ და ცრემლები კი მოსდის და მოსდის.

ამ სურათზე საშინლად აიღულა გული ჩემი ოჯახის მოლაპარაკე გოგონამ, ხორცი კი მაყიდვინა. ცოტა შვება მიეცეს მეზობელსო, მაგრამ პირი არ დაუკარება.

— მე იმ ხარის ხორცს რა შემჭამებს, ადამიანივით რა სტიროდა!

კიდევ ერთი მსგავსი მაგალითი:

ბაკურიანში ვარ. ერთი იქაური გლეხი, თანაც კაი მონადირე ვაჟკაცი მიამბობს:

„კარგა ხანი აღარ მენადირა. როგორ არა, რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ ყოველთვის ხელ ცარიელი დავბრუნდი. გადავედი ამ ქედს. ამას იქით კიდევ მეორე ქედს. ლამის საღამოზე მოატანა და აკი შევხვდი კიდეც! იდგა მარტოკა და ნორჩ ხეების ტოტებს ჰკორტნიდა. ისმალური კარაბინა მქონდა. ამოვიღე მიზანში და ტყვიაც მივახალე. შველი მაშინათვე მოსწყდა ადგილიდან და ისარივით გაეშვა პირდაპირ ველზე. ეგრე სწრაფად გაქცეული ნადირი მე არ მინახავს. ფეხებს თვალს ვეღარ მოჰკრავდი. ჩანდა მხოლოდ ტანი, როგორღაც მაერში გატყორცნილი ტანი. მე გამიკვირდა: ნუ თუ არ მოხვდა? მაერში გასროლილი ვაშლისთვის მომირტყამს და გაჩერებულ შველს ავაცილე? მაგრამ ეს ქარიშხალივით გავარდნილი შველი აკი ელდანაკრავივით უეცრივ დაეცა ძირს. სულ ორის - სამის ნაბიჯი ძლივს ექნებოდა გავლილი. მე ხელით მივირბინე და... უკანასკნელად იმშრიებოდა საწყალი ნადირი. მაგრამ... ეჰ, იმის თვალები მე არასდროს არ დამავიწყდება: როგორც ნამდვილი ადამიანი—ისე მიცქეროდა გულმოსაკლავად და... ცრემლებიც ჩამოსდიოდა. დიახ, ცრემლებიც ჩამოსდიოდა ფერდში სასიკვდილოდ დაჭრილ შველს.

მერე.., წამოვიღე. მაგრამ მე იმ შველის ხორცი აღარ მიჭამია, ნეტავ შენ კეთილ თვალსაც ენახა, თუ როგორ სტიროდა ი საწყალი..."

სილამაზე, რაინდობა, თავმომწონეობა

ეს უკვე ყველას ექნება შემჩნეული: ძაღლს საგანგებოდ ეჯავრება მათხოვარი.

რამდენჯერ დავფიქრებულვარ ამ მოვლენაზე: რათა და რისთვის?

და ყოველთვის მივდიოდი იმ დასკვნამდის, რომ ძაღლს ნამეტნავად უჩხარებს ძველი ტანისამოსი.

ხშირად თვით ქალაქის ძაღლებიც, ისე რომ არიან მიჩვეული ხალხთან, დაინახავენ თუ არა მათხოვარს — სწორედ იმას დაუწყებენ ყეფას და ღრენას.

მე მაინც განვაგრძობდი ამ დასკვნის შემოწმებას და ყოველთვის უფრო დამაჯერებელი ხდებოდა იგი ჩემთვის.

მათხოვრებს გარდა სოფლის ძაღლებს აგრეთვე ეჯავრებათ მენახირე, გზირი, მეველე. ყველა ამათ კი ხშირად საწყალად აცვიათ. სხვებს თუ უეჭვო ბოსლის ბოლომდის მიჰყვებიან, ამათ უნდა უბნის ბოლომდის გაჰყვენ ხოლმე.

აგრეთვე შემიმჩნევია: როცა სოფელში ორი სამი მივდივართ ერთად, რომელსაც ძველი ტანისამოსი აცვია, იმას უფრო ეტევა ხოლმე ძაღლი.

აქედან ცხადია, ძაღლში არის რაღაცა სილამაზის გრძნობა და ზიზღი უბადრუკობისადმი.

ძაღლს აგრეთვე გასაოცრად ეჯავრება მშიშარა კაცი და საჭირომდის ჩაჭყვება ხოლმე ეგეთ ვისმეს. სამაგიეროდ თუ გამბედავ და უშიშარ კაცს დაეტია — ისევ ჩქარა მიანებებს ხოლმე თავს.

არც რაინდულ გრძნობას არის ძაღლი მოკლებული.

მამალი ძაღლი ძუკნა ძაღლს არასდროს არ ერჩის. (ზურგით არ იქნება, ბევრმა ქმარმა მიჰბაძოს ამ მაგალითს). ქალსაც კი არ დაეტევა ხოლმე მამალი ძაღლი, თუ დაეტევა, ისევ ძუკნა. ეს უეჭველად მოასწავებს ამ პირუტყვის კეთილშობილობას.

აგრეთვე ფეხზე მდგომ კაცს თუ დაეტია, საკმარისია კაცი დაჯდეს — და მაშინათვე თავს გაანებებს. მჯდომიარეს და მწოლიარეს ხომ არასდროს არ გასცემს ხმას.

ეს უეჭველად აშკარავებს ძაღლის რაინდულ თვისებას. (რამდენად მაღლა სდგას ეს პირუტყვი იმ ადამიანებზე, რომლებიც გულის ძირში მყოფსაც კი უსპობენ სიცოცხლეს, თუ მწოლიარესა და მჯდომიარეს).

არც სულგრძელობას არის მოკლებული ეს ცხოველი. ეს ითქმის განსაკუთრებით ლომებზე.

ამისი მაგალითი ბევრი მოიპოვება მწერლობაში, მაგრამ აქ მე ვსარგებლობ მხოლოდ საკუთარის დაკვირვებით და გაგონილით.

1910 წლის შემოდგომაზე მოსკოვის ზოოლოგიურ ბაღში გალიიდან გაიქცა ლომი. მთელი ორი საათი დაათარეშებდა ეზოში გახელებული ნადირი.

იქ, გალიის ახლო თამაშობდა დარაჯის ორი ბავშვი. ლომის დანახვაზე ივინი შიშით ადგილიდან აღარ დაძრულან. ნადირის რამდენჯერმე გაურბენ - გამოურბენია იმათთან, მაგრამ სრულიად არაფერი არ დაუშავებია. ბოლოს ლომი შეაგდეს გალიაში და ბავშვები კი სრულიად უვნებელი დარჩნენ.

რასაკვირველია — ეს მოასწავებს ამ ნადირის სულგრძელობას, რომ უმწეო და უსუსურზე არა სინჯავს თავის ძალ-ღონეს.

აგრეთვე პირდაპირ ლომებისაგან ვისწავლე ერთგვარი თავდაჭერა საჭმელში. ძალიან მიყვარდა ზოოლოგიურ ბაღებში მისვლა ნადირების კვების დროს. და აქ ყოველთვის ვამჩნევდი:

ლომებს მისცემდენ თუ არა ხორცს, ტორს კი დაარტყამდა მძლავრად — არავინ წამართვასო, მაგრამ ჭამას მაშინათვე არ შეუდგებოდა. ერთხანად თუმცა თავდაჭერილად დასცქეროდა და მხოლოდ შემდეგ დაიწყებდა ხორცის ბდღვნას.

როცა სუფრაზე დავსხდებით — ეს მაგალითი მუდამ თვალწინ მიდგას, როგორც საუკეთესო ნიმუში თავდაჭერილობისა.

არც თავმომწონეობაა უცხო თვისება პირუტყვისათვის.

ერთი ძროხა ვიყიდე ბაკურიანში ლტოლვილობის დროს. შესახედავად კოხტა იყო, ლამაზი, მაგრამ ძალიან ცოტას კი იწველიდა.

იმას თავდარიგიანი ოჯახიშვილი არ შეინახავდა ხარჯად სახლში, მაგრამ მე კი ვინახავდი და მიყვარდა კიდეც. ახლა არ იკითხავთ რათ მიყვარდა?

ჯოგი რომ წავიდოდა მინდორში თუ დაბრუნდებოდა სოფლისკენ — ის უეჭველად წინ მიუძღვოდა სათავეში და ყველას ისე მოუძღოდა წინ. არ შეიძლებოდა იმის წინ რომ გადასწრო რომელიმე საქონელს, ისე მოდიოდა თავის მთიდან ჩამოსული ჯურ[illegible]ით წინ, მარტოდ, ამაყად.

მსგავს სილამაზის დანახვაზე სულ მავიწყდებოდა მისი სიძუნწე და უწველობა.

ამ პირუტყვში ვხედავდი რაღაც უმაღლეს გრძნობას თავმომწონეობისას. ეს იყო გარდამცდელი ცხოველური ზღუდის და მიწიდან რაღაც ადამიანურის ან ზეციურის.

ეს საგანგებო თვისებანი, რასაკვირველია, ყველა ცხოველში ერთნაირად არ არის განვითარებული. მათშიც არის გონიერი და უგნური, მგრძნობიარე და ხეპრე, ნიჭიერი და უნიჭო.

ამ უმაღლესი თვისებებით კი, ცხადია, დაჯილდოვებულ არიან ჯიშის საუკეთესო წარმომადგენელნი.

უმაღლესი მოწოდება

ხშირად ძალიან დამაფიქრებელ მოვლენას კაცი არავითარ ყურადღებას არ აქცევს, რადგან მას ყოველდღიურად ხედავს და ჩვეულებრივ რამედ მიიჩნევს.

აბა რა არის მამლის ყივილი? სულ უბრალო რამე, რადგან ყოველთვის გვესმის იგი და ჩვენი ყურადღებაც ჩლუნგდება. ნამდვილად კი, თუ გამოფხიზლებული აზრით შევხედავთ, ეს განსაცვიფრებელი მოვლენაა ცხოვრების ყოველდღიურობაში.

მე თვითონ ბევრჯერ მიფიქრია ამ საკითხზე, მაგრამ არასდროს არ მიგრძნია ჩემს არსებაში მთელი საიდუმლოება და სიძლიერე ამ მოვლენისა, როგორც,..

ერთხელ შუაღამისას მოვდიოდი სოფლიდან ქალაქისაკენ. ქარელიდან ერთი ხნიერი მანდილოსანი ამოვიდა სურსათით, კალათებით და ჩემ პირდაპირ მოეწყო.

ვაგონში საკმაო თავისუფლება იყო და ყველა ძილს მისცემოდა. მეც ჩამეძინა.

ერთიც ვნახოთ — გაისმა მამლის მხიანი „ყიყლიყო" და ყველა გამოგვაფხიზლა.

დედაბერი საჩქაროდ მივარდა ქვეშ მდგომ კალათას და თან გაჯავრებით ბუტბუტებს:

— ჩი, შენ კი ჩაგიწყდეს ხმა, შე პატრონ ამოსაწყვეტო შენა! რაღა გეყივლება შე მგლის კერძო, შენა, ქალაქში დასაკლავად მიმყავხარ!

ბევრს სიცილი აგვიტყდა: ყველამ ვიცით, რომ ქათმის აყვანა მატარებელში აკრძალულია. ამაზე გადაჭარბებულის გულმოდგინეობით უხერხდებიან ხოლმე ვაგონის გამყოლებიც. დედა-ბერს რის ჩქმალვით ამოეყვანია ერთ-ორი ქათამი და უფრო, აკი მამალმა გასცა მისი საიდუმლოება!

მაგრამ ბედზე გამყოლი არ გამოჩნდა.

გავიდა ხუთიოდე წუთი და მამალმა აკი ისევ შეხძახა თავის „ყიყლიყო".

ბებერი უფრო აენთო.

— არ, ტურამა და მგელმა გჭამს პირი ამა, შე სათხრო, შენა! ღმერთო, „კანტროლიორმა" რომ გამოიაროს, ხათაბალაში გამხვევს ეს პატრონ ამოსაწყვეტი, ეხა!

ახლა მგზავრნი უფრო და უფრო ავვიტანა სიცილმა.

ერთი ვნახოთ მამალმა მესამეთაც შეხძახა და აკი გამყოლიც გამოჩნდა პირზე.

დაიწყო ერთი დავიდარაბა, მუქარა, ხვეწნა, ალიაქოთი. ბოლოს სხვებიც ჩაერივნენ აყალმაყალში და მოგვარიგეთ იმ პირობით, რომ მამალმა აღარ გაბედოს დაყვირება.

საწყალმა ბებერმა მოიდგა კალათი გვერდზე, ჩაჰყო ხელი შიგ და მაგრად გაუჭირა ნისკარტი მამალს. ასე დაადო კლიტე განთიადის შეუპოვარ მოციქულს.

ამის შემდეგ მე აღარ დამეძინებია. სიცილით მოგვრილი ეხლა სულ ფიქრებს მივეცი.

მართლადაც რა ძალაა, რა შთაგონება, რა რწმენა, რომელიც ასულდგმულებს მამლის ბუნებას?

იმ დროს, როცა ჯერ ისევ წყვდიადია ცის კაბადონზე, საქათმის სიბნელეში გამომწყვდეულის, გულის ძირში მყოფი მამალი უეცრივ იგრძნობს განთიადის მოახლოვებას და მთელ ქვეყანას ატყობინებს ამ დიდ ამბავს სასიხარულოს.

ჯერ ისეთი რა დამახვილებული ალღო აქვს, რომ ასე სწორად სცნობს მზის გადმოვარდნას ჩვენი ქვეყნის სანაპიროზე! მერეა და, გინდაც სცნობდეს, რატომ უნდა შესძრას ამაზე მთელი ქვეყანა თავის ყივილითა, ფრთების ლაწუნით და აურ-ზაურით?

რომ მამალი მოვლენილა შეუმცდარ წინამორბედათ განთიადისა — ეს ჩვენთვის წარმოადგენს რაღაცა აუხსნელ საიდუმლოებას.

ეს არის რაღაცა უმაღლესი მოწოდება—ქვეყნიურ კანონმდებლობაში მტკიცედ და მოუხდომელად ჩაქსოვილი.

ამ მოწოდებას ვერას დროს ვერ უღალატებს მამალი ვერც ტყვეობაში, ვერც სიბნელეში. მან უნდა პირნათლად შეასრულოს ეს უმაღლესი მოწოდება ყველგან, ყოველთვის.

ეს არის რაღაცა ჭეშმარიტება ულამაზესი, რომლის წინაშეც უმწეოდ იჩოქებს ადამიანის მრავალად - შემძლე აზროვნება. მას რჩება მხოლოდ გაოცება და აღტაცება მამლის არსებაში ჩანერგილ უდიადეს მოწოდებაზე.

მე კი ყოველდღიური სასწაულის სიძლიერე თითქოს სავსებით ვიგრძენი იმ მამლის ყივილის შემდეგ მატარებელში.

ფიქრის ყნოსვა?

ამ სრულიად ჩვეულებრივ და უნებლიე დაკვირვებებში ყველაზე მეტად მე მაოცებს ერთი შემთხვევა:

ამ რამდენიმე კვირის წინედ ჩემს ნაცნობებთანა ვარ საღამო ჟამზე.

მოხდა, მოხდა და ბოლოს ლაპარაკი ჩამოვარდა საერთოდ ძაღლებზე და საგანგებოდ კი მაძებრებზე.

ყველაზე მეტად ჩვენ ყურადღებას იპყრობდა ძაღლის ყნოსვა და მასთან დაკავშირებული უცნაური ამოცანები.

მეც ერთობ გავერთე ამ საუბარში. თითქოს საგანგებოდ განმზადებული რაღაცა ალგზნებითაც კი ვსცდილობდი უფრო თვალსაჩინო გამეხადა ეს საიდუმლოებით მოცული უცნაურობანი.

საუბრის მოკლე შინაარსი ასეთი იყო:

ჩვენ გვგონია, ადამიანის ხორციელი არსება განისაზღვრება მხოლოდ სხეულით მოცემულ სახეში. ნამდვილათ კი ჩვენის პიროვნებით აღინიშნება ჩვენი ტანისამოსიც, ფეხსაცმელიც და ყველაფერი ის საგანი ან ადგილი, რომელსაც კი ჩვენ შევეხებით. ეს პიროვნული თვისებანი არც ჩვენი ტანისამოსით და ფეხსაცმელით განისაზღვრება. ის იფრქვევა მთელ სივრცეში და უბრალო ფეხსაცმელის შეხებით გადადის დედამიწაზე. გესმით? ფეხსაცმელშიც გადავა ჩვენმა პიროვნებამ და დარჩება აურეველ კვალად სხვა ათას პიროვნებათა შორის.

ძაღლს კიდევ მიჰნიჭებია ისეთი სასწაულებრივი თვისება, რომ თავისი ყნოსვით ცნობილობს განსაზღვრულ პიროვნების კვალს. ეს კვალი ერთია, განუმეორებელია, აურეველია სხვა მრავალთა შორის. ნუ თუ ჩვენი პიროვნება ასე შეურყევლად ნაკადად მოდის ფეხსაცმელის ძირიდანაც კი და შემდეგ ყოველ ნაბიჯზე რჩება თვალსაჩინო უდავო კვალად ძაღლის ყნოსვისთვის?

რასაკვირველია! მხოლოდ ეს სინამდვილე—თავის წარმოშობაში და განვითარებაში სრულიად მიუწვდომელია ჩვენთვის. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ შედეგს. და ბევრიც რომ ვეძიოთ ახსნა, ჯერ-ჯერობით გაოცების მეტი არა გვრჩებარა ხელში.

ყნოსვა — ეს უდიდესი საიდუმლოებათაგანია ცხოველთა სამეფოში.

ბევრ რამეში რა ღარიბნი და უბადრუკნი ვართ ადამიანები — ცხოველებთან შედარებით!

ასეთი იყო ჩვენი საუბარი.

ღამის თერთმეტ საათზე შინისკენ ვბრუნდები.

ბელინსკის და ლენინის ქუჩის ჯვარედინზე ერთი სოფლური მურია გაჩერებულა და გარშემო ქალაქის ტუგრიები უტრიალებენ.

შევხედე, შემებრალა. ალბათ მეურმეებს დარჩენიათ და აღარ იცის საით წავიდეს მეთქი. ხალხი ბევრი მიდიოდა აქეთ-იქით, მაგრამ მურია არავის აქცევდა ყურადღებას.

მე ვიფიქრე: ნეტავი შინ წამომყვებოდეს. იქ პურის ყუა მაქვს, გადმოუგდებ და ერთი რიგიანად მაინც მოიფერდება მეთქი.

ამ ფიქრით შემოვუხვიე ბელინსკის ქუჩაზე.

ერთიც ვნახოთ მურიაც გადმოვიდა ჩემ მხარეს. ტროტუარზე თითქოს შეფიქრიანდა, თითქოს შეჰყნოსა რაღაცა და შემდეგ ისევ გამომყვა ნელი ნაბიჯით.

მე ეს შევამჩნიე და გავოცდი. არაფრით არ მინიშნებია ჩემი კეთილი განწყობილება ამ ძაღლისათვის და რათ გამომყვა უკან?

მე ძალიან დავინტერესდი, განსაკუთრებით მთელ საღამოს ლაპარაკის შემდეგ. გადავსწყვიტე: არავითარი ნიშანი არ მივსცე ამ ძაღლს და ვნახო სადამდის მომყვება. მე მივდივარ ისევ ვითომ გულგრილად. ნამდვილად კი უფრო დამახვილებით ვფიქრობ ამ ძაღლზე და ნელ-ნელაც ვუთვალთვალებ, მომდევს თუ არა.

მომდევს.

ავიარე ერთი ქუჩა, მეორე. შევუხვიე ჩემ მხარეს. მივედი ჩემ სახლთან.

ძაღლმაც მომყვა და გაჩერდა შორი-ახლოს.

ეხლა კი შემეშინდა, ამ პირუტყვმა თავი იმედგაცრუებულად არ ჩასთვალოს მეთქი, მანამ შინ ავალ და ამიტომ დავუყვავე:

— მურია! შენ აქ მოიცადე ცოტა ხანს! მე ეხლავე ავალ და გადმოგიგდებ პურის დიდ ნაჭერს, კარგი?

მე არ ვიცი, ამ მურიამ გაიგო თუ არა ჩემი სიტყვები. მხოლოდ იქ კი იცდიდა მშვიდად, სანამ არ გადმოვუგდე შეპირებული პურის ნაჭერი. მან მარჯვეთ დაავლო პირი, ერთიც შემომხედა (ყველა ამის შემდეგ მე მეჩვენა, რომ ეს შემოხედვა მადლობას ნიშნავდა). მერე მიუჯდა იქავე ახლოს და გულიანად შეექცა თავის ვახშამს.

მასაქეთ ძალიან ხშირად ვფიქრობ ამ შემთხვევაზე და ასეთ აზრს ვადგები:

მე მგონი უნდა არსებობდეს ფიქრის ყნოსვაც.

ნეტავ, შემეძლოს ამის შესახებ შევეკითხო იმ მურიას!

ნეტავ იმასაც შეეძლოს პასუხის მოცემა!

ლეო მეტრეველი.

---

*) „კომუნისტი" № 1.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 105

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ, რაც დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვასა და გაწვევასთან და ჯარისათვის ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის მიწოდებასთან

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახლის სამოურაოს დაეკისროს შემდეგი ადმინისტრატიული ფუნქციების შესრულება:

ა) შემოწმება სააღრიცხვო-სამხედრო დოკუმენტებისა წვევამდელთა და სამხედრო-ვალდებულთა ჩაწერის დროს და აგრეთვე იმის შემოწმება, აღრიცხულ არიან თუ არა აღნიშნული პირები;

ბ) ცნობის მიწოდება ადგილობრივი სამხედრო სამმართველოს ორგანოსათვის იმ სამხედრო-ვალდებულთა შესახებ, რომელნიც ორ თვეზე მეტია, რაც თავიანთ ადგილზე არ იმყოფებიან.

გ) მეთვალყურეობა, რათა გაწვევის დროს სამხედრო-ვალდებულნი და წვევამდელნი თავის დროზე გამოცხადდნენ ადგილობრივ სამხედრო მმართველობის ორგანოში;

დ) შემოწმება, გაწვევის დამთავრების შემდეგ, სახლში მცხოვრებ მოქალაქეთა დოკუმენტებისა და გაწვევთაგან, თავის ამრიდებელთა შესახებ ცნობების გაგზავნა ადგილობრივ სამხედრო მმართველობის ორგანოში ან მილიციაში;

ე) შემოწმება იმისა, აღებულია თუ არა სააღრიცხვო წიგნაკები ცხენებზე;

ვ) მეთვალყურეობა, რათა ხელ-ახალი აღრიცხვის დროს გასასინჯავად გამოიყვანოს სწორედ ის ცხენები, რომლებიც გასინჯულ უნდა იქნენ, და რათა შესრულებულ იქნეს მათი მიმდინარე აღრიცხვის წესი, აგრეთვე ცნობის მიწოდება ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოსათვის იმ რეგისტრაციაქმნილი ცხენების შესახებ, რომლებიც ამ რეგისტრაციიდან ამოშლილი არიან;

ზ) შემოწმება დოკუმენტებისა ჯარისათვის ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის მიწოდების შესახებ, და ცნობის გაგზავნა ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოსა ან მილიციაში ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის პატრონთა შესახებ, რომელნიც თავს აარიდებენ მათ მიწოდებას.

2. სახლის სამოურაოს ფუნქციები დაეკისრება

ა) ნაციონალიზაციაქმნილ და მუნიციპალიზაციაქმნილ სახლთმფლობელობაში როგორც ისეთში, რომლის უშუალო ექსპლოატაციასაც თვით კომუნალური ორგანო ეწევა, აგრეთვე დაწესებულებასა, ორგანიზაციასა და საწარმოზე გაცემულ სახლთმფლობელობაში — სათანადო დაწესებულებას, ორგანიზაციას და საწარმოს;

მოგმურთა კოლექტივზე, საბინაო ამხანაგობაზე, ორგანიზაციაზე, საბინაო კოოპერაციაზე და სხვ. გაცემულ სახლთმფლობელობაში — სათანადო ორგანოს, რომელსაც, წესდების თანახმად, აირჩევს კოლექტივი;

გ) კერძო სახლთმფლობელობაში და აგრეთვე ისეთ მუნიციპალიზაციაქმნილ სახლთმფლობელობაშიც, რომელიც კერძო პირზეა — იჯარით გაცემული, — სახლთმფლობელობის მოიჯარადრეს და მესაკუთრეს ან მათ კანონიერ წარმომადგენელს.

3. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან და ტერიტორიალური ნაწილების სამმართველოსთან შეთანხმებით, უნდა გამოსცეს ერთი თვის ვადაზე ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: ს. თოდრია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ს. ჟუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. დეკემბრის
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 107

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 17. მხარის წარმომადგენლად სასამართლოში შეიძლება იყოს:

ა) დამცველთა კოლეგიის წევრი:

ბ) პროფესიონალური კავშირის რწმუნებული—კავშირის წევრის საქმის გამო და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის რწმუნებული—მშრომელთა ქალის საქმის გამო;

გ) კოლექტივის ხელმძღვანელი და მუდმივი თანამშრომელი ამ კოლექტივის საქმის გამო.

დ) მეურვე—მის მეურვეობაში მყოფი პირის საქმის გამო;

ე) მშობელი, მეუღლე, შვილი, ღვიძლი და და ძმა;

ვ) ის, ვისაც საქმის გამრჩევი სასამართლო ამ საქმეში წარმომადგენლობის ნებას მისცემს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ.: ს. თოდრია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ს. ჟუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. დეკემბრის 15.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

იმ კანონების შესახებ, რომელთაც დაეკარგებთ ძალა ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების" სამოქმედოდ შემოღების გამო.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო ძალა დაკარგულად ჩაითვალოს:

1 საქართველოს ს. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ივლისის 22-ის თარიღისა და 28 №-რის დადგენილება „კომერციულ ანგარიშების საფუძველზე მომქმედ საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტთა) დებულების დამტკიცების შესახებ". (კან. კრებ. 1924 წ. № 2).

2 დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტების) შესახებ, რომელნიც მოქმედებენ კომერციული ანგარიშის საფუძველზე (კან. კრებ. 1924 წ. № 2).

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. პ. ჟუღელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1927 წ. დეკემბრის 21
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 19

საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატისა

1927 წ. დეკემბრის 9

მუშა - მოსამსახურეთა დათხოვნის დროს მოწმობის გაცემის წესის შესახებ.

იმ მიზნით, რათა მუშა-მოსამსახურეთა სხვადასხვა მიზეზით დათხოვნის დროს ნამსახურობის შესახებ მოწმობის გაცემის ირგვლივ ერთ გვარი წესი იქნეს დაცული, საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატი ადგენს:

1. დაევალოს სახელმწიფო, საზოგადო, კოოპერატიულ და კერძო წარმოება-დაწესებულება-მეურნეობას და პირს დაქირავებულთან შრომის ხელშეკრულების სხვადასხვა მიზეზით გაუქმების გამო ნამსახურობის შესახებ მისცეს სათანადო მოწმობა, თანდართულ ნიმუშის მიხედვით.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ წარმოება-დაწესებულებათა მიერ გაცემული მოწმობა უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს:

ა) გვარი, სახელი და მამის სახელი;
ბ) სად, რამდენ ხანს მუშაობდა;
გ) პროფესია;
დ) თანამდებობა;
ე) შრომის ხელფასის განაკვეთი;
ვ) საშუალო შრომის ხელფასი სამი უკანასკნელი თვის განმავლობაში;
ზ) ფაქტიურად დათხოვნის დღემდე დაკმაყოფილებულია ხელფასით, გასასვლელი დახმარებით (თანხის აღნიშვნა) და სხვა.

3. მეორე მუხლში აღნიშნულ წესის დარღვევისათვის დამნაშავე პირნი აგებენ პასუხს არსებულ კანონის მიხედვით.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახკომი ს. თოდრია.

შრომის დაც. გან. გამგე ელბაქიანი

შეთანხმებულია ს. პ. კ. ს. ს. ხვედელიძე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურენი: ივანე ბასილაშვილი, ალექსანდრე ქეშელავი, სამსონ ტომარაძე, სილოვან თევზაძე, ალექსანდრე ტაბატაძე, პლატონ მეიფარიანი, გიორგი ხიზანაშვილი, კოტე კობახიძე, ნიკო ხანანაშვილი, ნესტორ რუხაძე, არჩილ ჯინჭარაძე, თამარა იოსელიანი, თეოფანე მაჩაიძე და მიშა სხირტლაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 2 თებერვალს გარდაიცვალა დაუვიწყარი ამხანაგი და მეგობარი

სანდრო გვიმრაძე

გამოსვენება 5 თებერვალს, პირველ საათზე საკუთარი ბინიდან ფარკოფელის ქუჩა № 18. 1321

ს. კ. პ. (ბ) ცეკას ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების კოლეგია და „ახალი გზა"-ს რედაქცია აუწყებს ამხანაგებს, რომ 2 თებერვალს, გარდაიცვალა ძველი მუშა-რევოლიუციონერი, კოლეგიის წევრი და რედაქციის უახლოესი თანამშრომელი

ამხ. სანდრო ივანეს-ძე
გ ვ ი მ რ ა ძ ე

გამოსვენება დანიშნულია კვირას, 5 თებერვალს, ნაშუადღევის 12 საათზე საკუთარ ბინიდან ფარკოფელის (ნაძალადევი) ქ. № 18, დაკრძალვა მოხდება დიდუბეში. ნ. 583

საქ. კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი რაიკომი აუწყებს ორგანიზაციის წევრებს, რომ ა. წ. 2 თებერვალს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ორგანიზაციის წევრი

ამხ. სანდრო ივანეს-ძე
გ ვ ი მ რ ა ძ ე

დაკრძალვა მოხდება კვირას, 5 თებერვალს, შუადღის 1-ლ საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ფარკოფელის ქ. № 18 (ნაძალადევი). ნ. 579

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს კომუნალური სექციის ბიურო აუწყებს საბჭოს წევრებს, რომ ა. წ. 2 თებერვალს ღამით ულმობელმა სენმა უდროოთ იმსხვერპლა საბჭოს წევრი, ძველი რკინის გზელი მუშა-რევოლიუციონერი

ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე
გვიმრაძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 575

ამა წლის 2 თებერვალს ქალაქ თბილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ა. კ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოების სამჭედლო საამქროს მუშა, ძველი რევოლიუციონერი ამხ.

ალექსანდრე გვიმრაძე

რასაც დიდი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, მეგობრებს და ამხანაგებს სამჭედლო საამქროს მუშა-მოსამსახურენი. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან: მაგისტრალის ქუჩა № 18, კვირას, 5 თებერვალს, ნაშუადღევის პირველ საათზე. 1330

რკინის გზის მთავარ სახელოსნოების პარტკოლექტივი აუწყებს თავის წევრებს და მუშა-მოსამსახურეებს, რომ ა. წ. 2 თებერვალს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარტკოლექტივის წევრი

ამხ. სანდრო ივანეს-ძე
გ ვ ი მ რ ა ძ ე

დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას, 5 თებერვალს, შუადღის 1-ლ საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ფარკოფელის ქ. № 18 (ნაძალადევი). ნ. 579

თავზარდაცემული მეუღლე დავითი დ დაობლებული შვილები: შურა, ნიკუშა და ელენე ხერხეულიძეები, ძმა ივანე, რძალი ეკატერინე ერისთავები შვილებით, მაზლები: გიორგი, ალექსანდრე და კოტე, რძლები: დუსა, ანეტა და გაიანე, მული ბარბარე ხერხეულიძეები, სიძე თეოფანე, მული ანიკო ლომინაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 3 თებერვალს, ღამის პირველ საათზე, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი იშვიათი ადამიანი

გაბილინე ნიკოლოზ ერისთავის ასული
ხერხეულიძისა

პანაშვიდი ყოველდღე საღ. 6 საათზე, დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 7 თებერვალს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება შუადღის 4 საათზე, ნიკოლოზის ქ. № 95.

სამუდამოთ გულდათუთქულნი და მუდამ ცრემლშეუშრობელი მშობლები: მამა სარდიონი, დედა აგრაფინა კობახიძეები, და ვარა, სიძე შალიკო ქელიძეები, ძმა პეტრე კობახიძე, დეიდა და დეიდას ქმარი შვილებით: ელენტია, სპირიდონი, თამარა კობერიძეები, ხოდ-აკო კობახიძე აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 3 თებერვალს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

იოსებ სარდიონის-ძე კობახიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 5 თებერვალს შუადღის 2 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—მაგისტრალის ქუჩა № 39, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1319

გაუბედურებული მეუღლე გუგულა გელოვანისა ორი დაობლებული ბავშვით, და ელენე ჩიჩუასი, ძმა ალექსანდრე გიორგის-ძე გელოვანი, რძლები: პასიკო და ანა გელოვანები, ძმისწულები: თამარ გეგეჭკორი, ქეთია გაბიანი, ჟოზეფინა, ჟორჟი, შალიკო, ლილი, სოლომონი და არჩილი გელოვანები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარი

ივანე (ჯიჯუ) გიორგის-ძე
გელოვანის

უდროოთ გარდაცვალებას ქალ. ჭიათურაში. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 7 თებერვალს, დაბა ჩხართან, სოფ. ეწერში. 1318

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: ბიძა დავითი, ბიცოლა ანა, ბიძაშვილები: ქსენია, ვერა და თამარა ლალანიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 5 თებერვალს დანიშნულია ძვირფას და დაუვიწყარ

შალვა კონსტანტინეს-ძე
ლ ა ლ ა ნ ი ძ ი ს

ორმოცი დღის სამოქალაქო პანაშვიდი დღის ორ საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1322

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები: მიშა ბილავაძე, ვასო ბილავაძე, შალვა ბილავაძე, გიორგი ლალანიძე, ლავრენტი ლალანიძე, ლევან ქელიძე, ვალოდია რუხაძე, მელიტონ ქლენტი, კოწია შავრაშიძე, სილოვან პერტია და იოსებ სახელაშვილი აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ

შალვა (შალიკო) კოსტას-ძე
ლალანიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ა. წ. 5 თებერვალს, კვირას, ნაშუადღევის 2 საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე (ავლაბარში). 1328

ს.ს.ს.რ. სახკომსაბჭოს კომუნჯრედი მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 2 თებერვალს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უჯრედის წევრი ამხანაგი

შაქრო ჩიტიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას, 5 თებერვალს, დღის 12 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, სამოვოლნი ქ. № 14. 1329

ხვალ ორშაბათიდან 6 თებერვლიდან

აპოლო არფასტო

კინო თეატრებში

მონოპოლიურად პრემიერა

მოჯადოებული კუნძული

მხატვრული დრ. 8 დიდ. ნაწილად

მთავარ როლებში:

ჰენ ხერიბლ და ჟაკლინა ფორზა

არაჩვეულებრივად ლამაზი და ტეხნიკურად უნაკლო კადრები. მეტად საინტერესო სიუჟეტი. სურათი „მოჯადოებული კუნძული" 6 თვის განმავლობაში არ მოხსნილა პარიზის ეკრანებიდან

პირველად თბილისში მხატვრული ფილმი

„შხამი"

ა. ვ. ლუნაჩარსკის პიესის მიხედვით

მთავარ როლებში: მალიშევა, როგოინი, წერეთელი, ნაროკოვი და სხვ.

ანონსი: მალე „ქალი ბაზრობიდან"

ნ. 583

აპოლო	მსოფლიო ფილმი **სვლა ცხენით** გრანდიოზული დადგმა 10.000 მონაწ. მალე საუკეთესო სურათი „მოჯადოებული კუნძული"
არფასტო	პრემიერა **50.000 ფრანკი** მთავარ როლებში გიუზეტა დიუფლო, ხესიუ ხაიაკავა. მალე მსოფლიო შედევრი „მეორე ძორწინება"
სოლეი	უკანასკნელი 5 და 6 სერია **უთავო მხედარი**
დარბაზი	უკანასკნელად თბილისში „კ უ ლ ი ს ე ბ შ ი" მთავარ როლში მარჩელა ალბანი და ვ. კრაუსი.
ოდეონ	
პროლეტარი (ავლაბარში) 0 4	**მთის კანონი** საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები

სახკინმრეწვის თეატრები

ანონსი მზადდება დასადგმელად „ქალი ბაზრობიდან" საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმოები

ცირკი „კოლოს"
ტელეფ. № 8—64
ნ. 569 3—1

შაბათს 4,ს და კვირას 5 თებერვალს,
საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ სახელგანთქმულ

ანატოლ ანატოლის-ძე დუროვის

პირველი გასტროლები

მისი მხეცების, ცხოველების და ფრინველების არტროპოზოოლოგიური დასით. კვირას, 5 თებერვალს, წარმოდგენა დღისით სახელგანთქმულ ა. ა. დუროვის და მისი მხეცების და ცხოველების მონაწილეობით.

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნ. ქ. გროდზიცკი. ადმინისტრატორი მ. ტადე.

მომხმარებელთა საყურადღებოდ

1 თებერვლიდან მუშკოოპი შეუდგა

შეკერილ ტანთსაცმელის გაყიდვას ნაღდ ანგარიშზე

მიღებულია მამაკაცის, ქალის და ბავშვის პალტოების დიდი პარტია და მამაკაცის დემისეზონიური კოსტიუმები. მ. 582

განათლების კომისარიატში
მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

ახალი ჯგუფისათვის მიღება სწარმოებს მდივანთან ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგე ივანე ზაქარიაძე ტერ-სტეფანოვთან, ბოჭორიშვილის (1-ლი თუმანოვის) ქ. № 13. 132

ვაკანსია

თბილისის უბანზე სამტრედიის უბნის ა—კ. რკ. გზ. სამსახურს ორთქლმავალზე თანაშემწის თანამდებობაზე.

პირობების გაგება: თბილისი, საზონოვის ქ. (ყოფ. ფელდოსიევის ქ.) № 17 ტალიაშვილი. 1317

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კოროლენკოს ქ. № 20 25—4

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და ის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისველე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამო 7—8 საათამდე. 13—1

იონა გაბიჩვაძე
პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65. ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები. დილით 7—8 ნახ. ს. საღ. 5—8 ს. 25—21

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
ალებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადების მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით ძილება საღამოს 5—8 საათამდის. 25—22

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით. რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. ძაისში.

კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.

25—18 გ მ მუხაძე



მოითხოვეთ ახალი წიგნები.

ბალაბანოვი — როგორ ემზადება ინგლისი ომისთვის. ფასი 20 კაპ.

როგორ ემზადება საფრანგეთი ომისთვის გვ. 84, ფასი 20 კაპ.

იორდანსკი — ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები ფასი 20 კაპ.

ზარათოვი — მომავალი ომები ფასი 20 კაპ.

ნ. 42ა 25—24

სახელმწიფო ოპერა

დღეს, კვირას, 5 თებერვალს **სამსონ და დალილა**

მონაწილეობენ: **რეზენოვა, აგრანოვსკი, ორლოვი, ლუმენცოვი**

დირიჟორობს სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვილი.

სამშაბათს, 7 თებერვალს **ევგენი ონეგინი**

ნ. 583

თბ. აღ. ჯანმრთელობის საკურორტო ქ/განყოფილება

აცხადებს რომ ა/წ. საზაფხულო სეზონისათვის მანგლისში, კოჯორში, კიკეთში და წყნეთში ქირავდება აგარაკები, როგორც მუშა-მოსამსახურეებზე აგრეთვე კერძო პირებზე. განცხადებები მიიღება ა/წ. 1-ლ თებერვლიდან ჯანმრთელობის განყოფილების კანცელარიაში (შუა ბაზარი № 4)

აღებულ აგარაკების ქირის გადახდა შეიძლება ნაწილობრივად. დაწვრილებითი ცნობების მიღება ოთახის გაცემაზე საკურორტო ქ-განყოფილების კანცელარიაში.

სეზონი გაიხსნება ა/წ. 1-ლ ივნისს.

ნ. 580 **თბ. აღ. ჯანმრთელობის სახ. ქ/გ.**

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამარ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი

აცხადებს, რომ 11 თებერვალს 1928 წელსა შუადღის 12 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში დალაქიშვილის და ვაშაყმაძის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, გაიყიდება ელისაბედ დუტუს ასულის ცუცხვაია-კიკნაძის და ოლია იოსების ასულის კიკნაძის ქვიტკირის სახლი № 2, რომელიც შეიცავს სამ საცხოვრებელ ოთახს და ერთ სამზარეულოს ქვეშ პადვალს, დახურულთ კრამიტით, აგებულ საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით 160 კვად. საჟენი, მდებარე იმავე ქუჩაზე — ნესტორ კეპულაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 500 მანეთათ, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 314 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 576

ცაგერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
პ. ა. გოლეთიანი

ამით აცხადებს, რომ 16 თებერვალს 1928 წლის, ქალ. ცაგერში დილის 11 საათზე შესდგება **საჯარო ვაჭრობა** ბესარიონ ბენდელიანის და დავით სალინაძის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ორ სართულიან სახლის, რომელიც შეფასებულია ათას (1.000) მანეთად, დასაკმაყოფილებლად ცაგერის თემაღმასკომის ვალისა 1.500 მანეთისა და ხარჯებისა. ნ. 581

ექიმი **ი. ი. ქეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. დ. საღ. 6—8 საათ. კამოს ქუ № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)
25-1ბ

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ეკრონა" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევ. ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—15

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—ა0 25—7

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 9 თებერვალს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 44 19 თებერვლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით სკლიარენკოს მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, გარდეროობს, საწერ მაგიდას, ნიკელის კრავატებს, კამოდს, კედლის საათს და სხვ. შეფასებულს 545 მანეთად, გალკოოპერატივის სალიკვიდაციო კომისიის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე 4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 30 მაისის 1927 წ. თარიღით, № 5955 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 578

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ 11 თებერვალს 1928 წ. დღის 10 საათზე ადგილ. ყარღოზედ დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა იოსებ და გიორგი ვასილის-ძენი ბალიაშვილების, რომელიც აღწერილია 19 იანვარს 1928 წ. მეცხვარეთა კოოპ. ამხ-ბა „მწყემსი"-ს ვალში, თანახმად ქ. თბილისის 1-ლი სახელ. სანოტარო კანტორის მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა. 28 ნოემბ. 1927 წ. 3195. სია გასასყიდი ქონებისა: იოსება ბალიაშვილის: მომგე დიდი ცხვარი 70 სული, დედალი თოხლი 10 სული, მამალი თოხლი ხუთი სული, ორი თხა, ოთხი ფური ხბორებით და ერთი კამეჩი. გიორგი ბალიაშვილის: დედალი მომგე ცხვარი 20 სული, დედალი თოხლი 10 სული, მამალი თოხლი 5 სული, ორი თხა, ოთხი ფური ხბორებით, ერთი კამეჩი და ერთი ფაშატი ცხენი შეფასებული 730 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან ცალ-ცალკე და ჯგუფობრივ. ნ. 577

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. თებერვალს 9-ში, დღის 12 საათზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა ვასილ სპირიდონის-ძე კობიაშვილის, რომელიც აღწერილია 16 იანვარს 1928 წ. მეცხვარეთა კოოპ. ამხ. „მწყემსი"-ს ვალში, თანახმად თბილისის მე-5 უბნ. სახ. მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა. 1 ავგ. 1927 წ. № 2564. სია გასასყიდი ქონებისა: 1) რვა სული ცხენი, 2) სამი ვირი, 3) ხუთი დიდი თხა, 4) სამი სული ყოჩი, 5) ხუთი თოხლი და სამი ჩეფიჩი და 6) 80 სული მომგე ცხვარი შეფასებული 1465 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასიდან ცალ-ცალკე. მსხვილი მომგე ცხვარი შეფასებულია თითო 10 მან. ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ იორზე. ნ. 577

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ 10 თებერვალს ჩათმაში და 15 თებერვალს 1928 წ. შირაქში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა ფირუ წყალობის-ძე პავლიაშვილის, რომელიც აღწერილია ა. წ. 18 იანვარს, 20 იანვარს, მეცხვარეთა კოოპ. ამხ-ბა „მწყემსი"-ს ვალში, თანახმად ალმოს. საქარ. ოლქ. სასამ. უბნის სახ. მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა. 23 ივნისს 1927 წ. № 27231, სია გასასყიდი ქონებისა: ჩათმაში: 1) 202 დიდი მომგე ცხვარი, ერთი ვირი ჩოჯრიანი, ერთი ულაყი ვირი და ერთიც ფაშატი, შირაქში: 2) ოთხი სული ხარი, სამი კამეჩი, სამი ფაშატი ცხენი ორი კვიცით, ერთი ულაყი ცხენი სახედრით, ორი კვიცი სამ სამი წლისა; დედალი თოხლი 100 სული, დიდი ფური 9 სული, 14 სული დეკეულ მოზვრები, მათში ერთი ბუღა და სათიბი მანქანის ნახევარი წილი, შეფასებული 4202 მანეთათ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასებიდან ცალ-ცალკე. ცხვარი შეფასებულია თითო 10 მან. და თოხლი თითო 5 მან.

კბილის ექიმი
დავით სავვატის ძე რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულება, ლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთველის და ლენინის მოედანის კუთხე.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ლესის ქუჩა. № 3. 25—1ბ

ექიმი
მ. ო. ხანდუ...ლი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღის) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

ექიმი **ს. ი. ანდრეევა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. კრის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფ. 11—78

ექიმი **მეზრაბიანცი**
ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონტოფორეზი. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

დაიკარგა აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 14 / 1473 და საანგარიშო წიგნაკი № 207 პეტრე ბუცხრიკიძის სახელზე, ჩ. გ. 1325

დაიკარგა სამხედრო წიგნაკი № 1985 სანდრო ათრიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1325

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 21.879 დავით ნიკოლოზისძე მაჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. 1326

დაიკარგა: 1927 წლის გორის მაზრიდან გამოტანილი მოწმობა № 91 ნინო გრიგორის ასული ქიტიაშვილის გარდაცვალების შესახებ გაცემული გიორგი ივანესძე ქიტიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1323

დაიკარგა: სამხედრო თავისუფლების მოწმობა მოცემული ცაგერში (ლეჩხ. მაზ.) გრიგოლ ჩაჩხიანის სახელზე, ჩ. გ. 1323

დაიკარგა: ხის დამუშავებელ მუშათა პროფკავშირის წევრობის წიგნაკი № 121 ბენიამინ (ბენია) არჩილისძე წულუკიძის სახელზე, ნ. 576

დაიკარგა პირადი ხაქმიანობის მოწმობა, მოცემული ქუთაისის საფინგანიდან 1927 / 1928 წლისა № 1936 დავით მიხეილისძე მიხელაშვილის სახელზე ჩ. გ. ნ. 576

დაიკარგა 7 წლედის დამთავრების მოწმობა № 74 გაცემული ნაჯახოვის 7 წლედის გამგისაგან ვარლამი დიმიტრისძე დანელიას სახელზე ჩ. გ. 1331

დაიკარგა: მუშა-ტყის კავშირის წიგნაკი № 10792 და მონადირეთა კავშირის წიგნაკი № 6931 გერასიმე ... სახელზე ჩ. გ. 1331

პოლიგრაფტრესტის მე-ა-მ სტამბა, კალოუბ ქ. № 65